WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№16 (250) • 15-21.V.2013 წელი • გამოდის ოთხშაბათს • www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი



## კახა კუკავა:

## საქართველოს მოსახლეობას უკან ცოცხს თუ არ ურჭობენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა

დასანანი იქნება თუ ბიძინა ივანიშვილი, ეს დიდი ადამიანი, რომელსაც საქართველოსთვის უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, ისეთივე აგრესიის ობიექტი გახდება ქართული საზოგადოების მხრიდან, როგორც შევარდნაძე და სააკაშვილი...

## სკანდალი მეცნიერებათა აკადემიაში



„საარჩევნო სისტემის მახინჯ ფორმებზე ერთ-ერთმა კანდიდატმა ღია წერილით მთავრობასაც მიმართა. წევრობის პრეტენდენტის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი წესით მისი სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო აღიარების დონე და სამეცნიერო ავტორიტეტი უნდა იყოს, თუმცა მეცნიერებათა აკადემიაში პირიქით ხდება. კერძოდ, სამეცნიერო კრიტერიუმები იგნორირებულია და კანდიდატები პირადი სიმპათიებით ირჩევიან."

## „ვივა, აკადემია! ვავა, პროფესორა!"



## ზურაბ ჩიქოვანი:

## შემზარავი სიცრუე, რომლითაც პაატა ზაქარეიშვილმა ასეულობით თავმოკვეთილ ქართველს ხელმეორედ მოკვეთა თავები

## ხმამაღლა გამოთქმული ფიქრები

(წერილი, რომელიც ადრესატამდე არ მისულა)



## მამა ბასილი:

## ჩემს მრევლთან ერთად ვიწყებ „ჭინჭრების რევოლუციას" მამათმავლების წინააღმდეგ

## ნანა კაკაბაძე:

## კოაბიტაცია — ეს არის ჩიხი, რომელიც დასავლეთმა „შეუკვეთა" საქართველოს

19 მაისს, 14 საათზე ყველანი სპორტის სასახლეში!

## ეს ერთი და სხვა მრავალი ანუ როდის დაიწყება დიდი წმენდა „ქართულ ოცნებაში"?



კომპანია „მექანიზატორის" მაღალჩინოსნების დაკავება შეიძლება „ჯი თი ჯგუფის" ლობისტების მიერ იყო ინსპირირებული, რომლის უკან ვანო მერაბიშვილი მოიაზრება



## რედაქტორის სვეტი



ვახტანგ ხარჩილავა

ქართველი ხალხი ცხრა წელი იტანდა აბუჩად აგდებას, დამცირებას, დაცინვას.

ქართველ ხალხს ახლაც დასცინიან და დასცინიან ისევ ისინი, ვინც ამ ცხრა წლის განმავლობაში ქართველ ხალხს შეურაცხყოფდა.

საქართველოსთვის თავსმოხვეული იძულებითი კოაბიტაციის პროცესი სხვა არაფერია თუ არა უკიდურესი ცინიზმით და სარკაზმით გაჯერებული მორიგი ძალადობა ქართველი ხალხის დასათრგუნად.

— ხომ ყოველდღე გაუპატიურებდით ამ ცხრა წლის მანძილზე, ვძარცვადით, ციხეებში გყრიდით, გკლავდით, გაყაჩაღებდით, მაგრამ ფეხებსაც ვერ მოგვჭამთ... ახლა ისე მოვიქცევით, თითქოს არაფერი ჩაგვიდენია და თქვენ ისევ ვერაფერს ვერ გახდებით — ასე იშიფრება „ნაცმოძრაობის“ უტიფრობა და თავხედობა.

— ჩვენი ვალია, გადავარჩინოთ „ნაცმოძრაობა“ — მრავალმნიშვნელოვნად ბრძანებს დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე, თუმცა ფრჩხილებს არ ხსნის და არ გვეუბნება, რისგან ან ვისგან უნდა გადავარჩინოთ, ან როგორ და რანაირად უნდა გადავარჩინოთ ეს ქვეყნის ამაოხრებელი ძალა.

ვინ და რატომ მიუსაჯა საქართველოს ეს სასჯელი, საიდუმლო სახელით კოჰაბიტაცია, რომელიც არანაკლებ მძიმე და ძნელად ასატანია, ვიდრე იმ ცხრა წლის განმავლობაში გადატანილი ტანჯვა-წამება.

რა ძალა დგას ამ კრიმინალური ბანდის უკან, ვის სურს საქართველოს სულიერად გატეხვა და დაჩაჩანაკება?

— ოქტომბრამდე მოვითმინოთ, ოქტომბრამდე! — ხშირად გაიგონებთ ხოლმე როგორც ხელისუფლებისგან, ასევე რიგითი მოქალაქეებისგან.

ოქტომბერში ისეთი რა ხდება ვითომ?

სააკაშვილი წყნარად და მშვიდობიანად გადადგება, „ნაციონალები“ კი დამწკრივდებიან და თავისი ფეხით წავლენ ციხეებში?

რაღაც არ მჯერა ამ ზღაპრების...

რატომღაც მგონია, რომ „ნაცმოძრაობა“ და მისი ბელადი რაღაც ცუდ სიურპრიზს უმზადებენ საქართველოს და მის ახალ ხელისუფლებას.

— რა შეუძლიათ მათ? მათ ხომ არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ ხალხში? — გვამშვიდებენ მავანნი და მავანნი.

სამწუხაროდ, ზოგჯერ ხალხის მხარდაჭერა არაფერს წყვეტს...

დაუსჯელობით გადათამამებული „ნაციონალები“ ბედავენ და თავიანთი კანდიდატის დასახელებას აპირებენ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე.

აი, ასე ხდება მაშინ, როცა საგნებს და მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი არ დაერქმევა.

კოაბიტაცია გარედან ჭრელა-ჭრულა ფალას-ფულასით შენიღბული მახეა.

აი, ამ მახეში მიგვერეკებიან საერთაშორისო მარეკები და თუ ამ მახეში ამოგვაყოფინებენ თავს, მერე იქიდან ჩვენი დახსნა ძალიან გაჭირდება.

# ეს ერთი და სხვა მრავალი ანუ როდის დაიწყება დიდი წმენდა „ქართულ ოცნებაში“?



გელა ხვედელიძემ თხარა, თხარა, თხარა და გია ფარესაშვილის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნებით საკუთარი თავის მოსახსნელი (და დასაჭერიც) არგუმენტი გამოთხარა.

როგორც ფარესაშვილი ამტკიცებს, ხვედელიძე მანამდეც ინტენსიურად ეწეოდა საგამთხრელო, უფრო ზუსტად, ძირგამომთხრელ საქმიანობს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, თუმცა „ქართული ოცნების“ მესვეურებს ამის დაჯერება უჭირდათ.

გასაკვირი ის არის, საიდან მოხვდა გელა ხვედელიძე, რომელსაც არასოდეს დაუმალავს, რომ უშიშროების სამსახურის ოფიცერი იყო და შევარდნაძის და სააკაშვილის პერიოდშიც უშიშროებაში მუშაობდა, „ქართული ოცნების“ რიგებში და საარჩევნო პერიოდში რატომ მიანდეს მაინცდამაინც მას კადრების შერჩევის საპასუხისმგებლო საქმე?

როგორც ამბობენ, ხვედელიძე უშიშროებიდან წამოსვლის შემდეგ „ეროვნულ ფორუმში“ ჩანერგეს. ძნელი სათქმელია, ვინ გადანერგა „ეროვნულ ფორუმში“ ჩანერგილი ხვედელიძე „ქართულ ოცნებაში“ და



ვინ დაარწმუნა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა, რომ ხვედელიძე იმდენად საიმედო კადრი იყო, რომ კადრების შერჩევა-სელექციის ნდობაც კი შეიძლებოდა.

ცალკე განხილვის საგანია, რა კრიტერიუმებით შეიძლებოდა შეერჩია უშიშროების ყოფილ თანამშრომელს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიდან ყველაზე საიმედონი და ერთგულნი.

ბუნებრივია, ხვედელიძე თავის კარგ ნაცნობებს უშიშროების აგენტურული ქსელიდან უფრო მეტად თუ წყალობდა და თანამებრძოლებსაც სწორედ ამ ნიშნით თუ არჩევდა.

ყოველ შემთხვევაში, არჩევნების წინა პერიოდში ის ადამიანები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს მართლაც გულწრფელად უჭერდნენ მხარს და მზად იყვნენ თავდადებისა და თავგანწირვისთვის, გელა ხვედელიძის სახით ყრუ და შეუვალ კედელს აწყდებოდნენ.

ეჭვები, თანაც ფრიად საფუძვლიანი ეჭვები, მხოლოდ ხვედელიძის მიმართ კი არა ბევრი ვინმეს მიმართ არსებობდა და არსებობს დღესაც.

„ჩანერგილების“ თემის გარშემო საუბარი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ წამოიჭრა, სამწუხაროდ, მალევე შეწყდა და შეწყდა ისე, რომ რეალური შედეგები არ მოჰყოლია.

არადა, უდაოდ გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რა დროს და რა პირობებში შემოვიდა ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში და რა ვითარებაში მოუხდა მას თავისი პოლიტიკური გუნდის ჩამოყალიბება.

ეს ის პერიოდია, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ უზარმაზარ ძალაუფლებას ფლობდა და ყველა სტრუქტურას თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა.

არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ მიხეილ სააკაშვილმა ბოლშევიკურ-ფაშისტური შეფერილობის პოლიციური რეჟიმი შექმნა, თავისი ძალიან ფართო აგენტურული ქსელით, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა.

ეს ქსელი ფრიად მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კონტინგენტისგან შედგებოდა და შედგება დღესაც.

ცხადია, ამ კონტინგენტის ერთი ნაწილი „ქართულ ოცნებაშიც“ შეაგზავნეს და მის სტრუქტურებშიც ჩანერგეს.

წინა საარჩევნო პერიოდში ამ აგენტურის გამოვლენა და გაშიფვრა სრულიად ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელი იყო.

1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ აგენტები ავტომატურად ჩარჩნენ „ქართულ ოცნებაში“ და უნდოდათ ეს თუ არ უნდოდათ, „ქართული ოცნების“ ერთგული ჯარისკაცების როლები მოირგეს.

„ნაც.მოძრაობა“ ოქტომბრის არჩევნებში დამარცხებას არ ელოდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: „ნაცმოძრაობა“ დამარცხდა, ხოლო „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგილმა მისმა აგენტურამ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად „გაიმარჯვა“.

რა უნდა ექნა „ნაცმოძრაობას“ უკან ხომ არ გამოიწვევდა „ჩანერგილებს“ და მათ ლუსტრაციას ხომ არ მოახდენდა?

„ჩანერგილები“ „ქართულ ოცნებაში“ დარჩნენ და მის ნოყიერ ნიადაგში ღრმად გაიდგეს ფესვები.

ვინ ამოთხრის ახლა ამ ჩანერგილებს ფესვებიანად და ვინ გაწმენდს დაბინძურებულ ნიადაგს?

სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯი არ გადაუდგამს და თავისი რიგების გამოცოცხვა-გამოსუფთავება არ დაუწყია, რამაც შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას ორგანიზაციის მუშაობას.

ელემენტარული ლოგიკა გვკარნახობს: „ჩანერგილები“ ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი წესიერი და მართლაც ერთგული ადამიანი გარიყონ „ქართული ოცნებიდან“, რადგან ასეთი ადამიანები მათი პოტენციური ოპონენტები და მოწინააღმდეგეები არიან.

ვფიქრობთ, დადგა დრო, „ქართულ ოცნებაში“ დიდი წმენდა დაიწყოს.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მსოფლიო პრესის მიხედვით

# ფილოსოფოსი გახდება საქართველოს მეთაური?

## ბიძინა ივანიშვილს მიაჩნია, რომ რომ გიორგი მარგველაშვილი იდეალური პრეზიდენტი იქნება

საქართველოს განათლების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი მონაწილეობას მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც წლეულს ოქტომბერში გაიმართება. მისი კანდიდატურა მმართველმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" წამოაყენა. პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მარგველაშვილის წარდგენისას განაცხადა, რომ: „კოალიციის პოლიტსაბჭოს სხვა კანდიდატურაზე არც უმსჯელია".

განათლების მინისტრის პრეზიდენტობის კანდიდატად გამოცხადება ბიძინა ივანიშვილის სიურპრიზი იყო. თუმცა საპარლამენტო არჩევნებამდე შექმნილი ვითარება დღემდე არ შეცვლილა: „ქართული ოცნება", მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება, ამ კოალიციის ნებისმიერი კანდიდატურა ნებისმიერ თანამდებობაზე იგივდება ან უკავშირდება პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პერსონას. ფაქტობრივად, საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც ხელისუფლების ცვლა მოჰყვა, კონკრეტულად და პერსონალურად სწორედ მან მოიგო, თუმცა პირდაპირი მნიშვნელობით არჩევნებში მონაწილეობა არც კი მიუღია. როცა „ქართულ ოცნებას" ან მის მაჟორიტარ კანდიდატებს აძლევდნენ უპირატესობას, ამომრჩეველი ხმას ივანიშვილს აძლევდა. ამ თვალსაზრისით, საპრეზიდენტო არჩევნები საპარლამენტოსგან განსხვავებული არ იქნება. ივანიშვილს შეეძლო, მარგველაშვილის ნაცვლად, პრეზიდენტობის კანდიდატად ასეთივე წარმატებით თავისი გუნდის ნებისმიერი სხვა წევრი წარედგინა.



პრემიერის არჩევანის ახსნა რთულია. რამდენიმე თვის წინ, ივანიშვილმა „საქართველოს იდეალურ პრეზიდენტად" პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე დაასახელა, შემდეგ კი მის მიმართ გულგრილი გახდა. თავდაცვის ახლანდელი მინისტრი ირაკლი ალასანია საპრეზიდენტო სავარძელს უმიზნებდა, მაგრამ ის მეტისმეტმა დამოუკიდებლობამ დაღუპა, ახლა კი „ალასანიას ბევრი საქმე აქვს თავის უწყებაში და ის ბრწყინვალედ თავსართმევს ამ საქმეს" (ბიძინა ივანიშვილი). ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა საგარეო საქმეთა ექს-მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „არ არ არის ჩვენი გუნდის წევრი, მაგრამ მისი მხრიდან ამის მცდელობა იყო".

განათლებით ფილოსოფოსს, არაერთი მონოგრაფიის ავტორ გიორგი მარგველაშვილს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში მუშაობის გამოცდილებაც გააჩნია. მრავალი წლის განმავლობაში უმუშავია სხვადასხვა ორგანიზაციაში, რომელთა სპეციალიზაცია სოციალურ გამოკვლევებს უკავშირდება, პარალელურად — უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიდა, ამ საქმიანობას კი, უცხოეთში სწავლის გამო, დრო და დრო წყვეტდა. განათლების მინისტრობის დროს იგი დაუპირისპირდა ყოფილ სახელმწიფო მინისტრს ეკონომიკის განვითარების დარგში კახა ბენდუქიძეს, რომლის აგრარულ უნივერსიტეტს, კანონმდებლობასთან შეუთავსებლობის გამო, განათლების სამინისტრომ აკრედიტაცია დროებით შეუჩერა.

მარგველაშვილს, სავარაუდოდ, პარლამენტის ექს-სპიკერი დავით ბაქრაძე დაუპირისპირდება. ყოფილ მმართველ პარტიას — „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ქართველი საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები კანდიდატურის წარდგენა გაუჭირდება. ანალიტიკოსთა აზრით, „ნაციონალური მოძრაობის" სხვა ცნობილი წარმომადგენლების სახელები ფიგურირებს სკანდალებში, აგრეთვე არსებობს ეჭვები კორუფციულ სქემებსა და სხვა უღირს საქმეებში მათი მონაწილეობის შესახებ და ამიტომაც არჩევნებში მათ მონაწილეობასაც აზრი ეკარგება.ასეთ მოსაზრებას ამყარებს ინფორმაცია ექსცესების შესახებ, რომლის მუდმივი მონაწილეები არიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები — „ხალხში" მათი გამოჩენა თითქმის ყოველთვის თავგადასავლებით მთავრდება. მაგალითად, შაბათს, თბილისის ერთ-ერთ რესტორანში ყოფილი მმართველი პარტიის ოთხი დეპუტატი სცემეს. არსებობს ინფორმაცია, რომ მათთან ერთად იმყოფებოდნენ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი, რომლებიც დაცვამ მანამდე გაიყვანა, ვიდრე აყალ-მაყალი ატყდებოდა.

საქართველოსთვის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები უწინარესად იმით არის მნიშვნელოვანი, რომ შიდაპოლიტიკური დაძაბულობის გრადუსს მნიშვნელოვანწილად შეამცირებს. ამ არჩევნების შემდეგ, ხელისუფლება სრულად გადავა პრემიერ-მინისტრის ხელში, ხოლო სახელმწიფოს მეთაურის — პრეზიდენტის თანამდებობა ბევრწილად ფორმალური გახდება. მმართველი კოალიციისა და მისი ლიდერისთვის „ქართული ოცნების" კანდიდატის გამარჯვება ხელისუფლების საბოლოოდ ჩამოყალიბებას დაასრულებს; იმავდროულად, არსებითად ამაღლდება მათი პასუხისმგებლობაც — ოპოზიციონერი პრეზიდენტისა და მისი გუნდის წინააღმდეგობა წარუმატებლობის გამართლებად ველარ გამოდგება.

# სპეცდანიშნულების ძალებმა მიზანში სოჭი ამოიღეს

## რუსეთის საზღვრების სიახლოვეს კონფლიქტები შემოდგომაზეა მოსალოდნელი, იგეგმება საქართველოსთან საზღვრის ბლოკირება

რუსეთის არმიაში უახლოეს ხანში ჩამოყალიბდება სწრაფი რეაგირების დანაყოფები, რომლებმაც სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამხედრო უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. გარდა ამისა, 2013 წლის ბოლომდე, სწრაფი რეაგირების დანაყოფების შიგნითვე შეიქმნება სამშვიდობო ქვედანაყოფები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე პოტენციურ კონფლიქტურ ოპერაციებში. ასეთია ორშაბათს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან გამართული იმ შეხვედრის შედეგი, რომელშიც თავდაცვის სამინისტროს და უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. ქვეყნის ხელისუფლებამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სწრაფი რეაგირების ძალები საჰაერო-სადესანტო ჯარებისა და სპეცოპერაციების ძალებით შეივსოს. როგორც აღინიშნა, მობილური ოპერაციების გარდა, მათ მშვიდობისმყოფელთა ფუნქციებიც დაეკისრებათ.

2013 წლის 1-ლ ივნისამდე კონტრაქტორებით სრულად დაკომპლექტდება საჰაერო-სადესანტო ჯარების 31-ე ბრიგადა — მშვიდობისმყოფელთა პროფილით. გარდა ამისა, არაუგვიანეს 1-ლი სექტემბრისა, ამავე ჯარების ოთხ დივიზიაში შეიქმნება მშვიდობისმყოფელთა ბატალიონი, რომელშიც პროფესიონალი სამხედროები იმსახურებენ.

„2013 წლის შემოდგომამდე „ცისფერჩაფხუტიანთა" ქვედანაყოფების დაჩქარებული ჩამოყალიბება იმას მოწმობს, რომ რუსეთის ხელისუფლება უახლოეს პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვითარების შესაძლო



გამწვავებას უშვებს", — აღნიშნავს სამხედრო ექსპერტი, გენერალ-ლეიტენანტი იური ნეტკაჩევი. მისი აზრით, კონფლიქტები შესაძლოა, გაჩნდეს კავკასიაში, სადაც ოქტომბერში აზერბაიჯანსა და საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებია მოსალოდნელილ. „არ არის გამორიცხული, რომ ამ ქვეყნების გარკვეულმა ძალებმა გააჩაღონ პოტენციური ტერიტორიული და ეთნიკური კონფლიქტები, რომელთა ჩასაქრობად რუსი მშვიდობისმყოფელების გამოყენება გახდება აუცილებელი", — აღნიშნავს გენერალი.

გავიხსენოთ: ბოლო ათი წლის განმავლობაში, საჰაერო-სადესანტო ჯარებს სამშვიდობო ფუნქცია არ შეუსრულებიათ და იგი ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციებისას და 2008 წლის აგვისტოში საქართველოსთან ხანმოკლე ომის დროს გამოიყენებოდა. საჰაერო-სადესანტო ჯარებისთვის სამშვიდობო ფუნქციის დაბრუნებას თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ხსნის შემდეგით: აუცილებელია გაიზარდოს ოპერატიულობა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც გაეროს და კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ჩარჩოებში კრიზისების აღმოფხვრას ეხება.

მსგავს ფუნქციებს ასრულებს აგრეთვე სამარაში დისლოცირებული მე-15 მოტომსროლელი სამშვიდობო ბრიგადა, რომელიც 2013 წლის მარტში სრულად პროფესიული გახდა. კონფლიქტში მონაწილე მხარეების დაშორიშორების ჰუმანიტარული ამოცანის გარდა, ჯარისკაცები უცხოურ ენებსაც სწავლობენ.

შეასწავლიან თუ არა მსგავს ჩვევებს ახალჩამოყალიბებულ სამშვიდობო დანაყოფს, უცნობია. თავდაცვის სამინისტოში აზუსტებენ, რომ მშვიდობისმყოფელი დესანტები ძირითადად შეასრულებენ მობილურ ამოცანებს დსთ-ის ტერიტორიაზე: თუკი ვითარება გამწვავდება ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში, აგრეთვე ცენტრალურ აზიაში მას შემდეგ, რაც 2014 წელს ნატო და ამერიკის შეერთებული შტატები ავღანეთიდან ჯარებს გამოიყვანენ. ასეთი დავალებების შესასრულებლად, როგორც ჩანს, ჩაერთვებიან სპეცოპერაციების ძალები. ახლახან მათ ყაბარდო-ბალყარეთის მთაგორიან ადგილებში არსებულ პოლიგონებზე სპეციალური ტაქტიკური სწავლება ჩაუტარდათ. ამ დანაყოფებმა უახლესი ალპინისტური მოწყობილობები და დაზვერვის ტექნიკური საშუალებები, საშტატო და სპეციალური შეიარაღება გამოიყენეს. „ამ სწავლების თავისებურება იყო ის, რომ 6500-ზე მეტი სიმაღლიდან გადასხეს პირადი შემადგენლობა, შეიარაღებითა და ტვირთით. მათ გამოიყენეს სპეციალური საპარაშუტო სისტემა და ჟანგბადის ინდივიდუალური მოწყობილობა", — იუწყება თავდაცვის სამინისტროს ინფორმირებული წყარო.

უწყებაში არ მალავენ, რომ ეს მანევრები სოჭის ზამთრის ოლიმპიადის უსაფრთხოების უზრუნველყოფას უკავშირდება. როგორც ჩანს, სპეციალური სამხედრო ძალების ნაწილები და შენაერთები 2014 წის ოლიმპიადის პერიოდში მოახდენენ კავკასიონის ქედის მთავარი უღელტეხილების ბლოკირებას იმისთვის, რომ „ბოევიკებმა" შეჯიბრების გამართვის ადგილამდე ვერ მიაღწიონ. იმავდროულად, სავარაუდოდ, დაიბლოკება საქართველოსთან საზღვარიც, საიდანაც არასტაბილურობის ექსპორტია შესაძლებელი. საქართველოს ახლანდელი ზომიერი ხელისუფლება ანტიოლიმპიურ კამპანიას არ აპირებს, მაგრამ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო არ გამორიცხავს, თბილისის გარკვეულმა ძალებმა პროვოკაცია მოაწყონ. სხვათა შორის, საქართველოში არცთუ ცოტაა კომანდოსი, რომლებიც სპეცოპერაციების ძალებში არიან გაწვრთნილი. 30 აპრილს, თბილისში, ვაზიანის პოლიგონზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პირადად დაესწრო საჩვენებელ საველე-ტაქტიკურ სწავლებას „ისარი-2013"-ს. ქართული მედიასაშუალებების ინფორმაციით, ამ სწავლებაში ქართული არმიის სპეცოპერაციების ძალების ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ.

მიმოხილვა მოამზადა
გ. ჭავჭავაძე.



# „რუხი კარდინალი“ ჩამოტარებით

## გიგა ბოკერია: „არც ერთი ნაბიჯი უკან!“

გიგა ბოკერიას, ალბათ, გულმა რეჩხი პირველად მაშინ უყო, როდესაც ბატონმა ნოდარ ხადურმა გაიოცა, ამხელა დაფინანსება რატომ აქვს უშიშროების საბჭოს, გრიფი „საიდუმლო“ რომ ადევს საქმეებს, განა რა საიდუმლოებებია ასეთიო? — მაშინ ეს ფრაზა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად შეაფასეს „ნაცებმა“. მართალია, ბატონი ბოკერია დიდად არ გაჯინიანებულა, უხმოდ მიიღო გასულ წლებთან შედარებით მისი უწყების დაფინანსებისთვის მიგდებული გროშები, მაგრამ მაინც არ ეშველა, ურემი დაეწია — ახლა აცხადებს, რომ მისი უწყების მხრიდან საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის საკითხი საჯაროა — საიდუმლოები?

ბატონ ბოკერიას რომ ჰკითხო, ბატონი ივანიშვილი „ვაშინგტონ პოსტის“ კრიტიკულ სტატიაზე გაბრაზდა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში, მაშინ დაიმუქრა, ვიცი, ვინ დგას ამის უკან და ამის შედეგია მისი დაკვეთით ჩემი უწყების დოკუმენტაციაში ქექვაო, თუმცა, იმას აღარ ამბობს, რომ რამდენიმე სხვა უწყებასთან ერთად, მისი უწყება განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა და ელემენტარულად, საინტერესოა, რატომ, რა საიდუმლოებებს ფლობდა?

ბატონი ბოკერიას (და მისი მეგობრების) გამოჩენა საზოგადოებას როგორც იელოველების დამცველები და მამა ბასილთან (მკალავიშვილი) მოჩხუბრები, ასე ჩარჩათ მეხსიერებაში. მას შემდეგ, რაც „თავისუფლების ინსტიტუტი დააფუძნეს (გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ლევან რამიშვილი, დავით ზურაბიშვილი) რამდენი რამ გადახდა „ბოკერია და მეგობრებს“, დაწყებული მკალავიშვილის მრევლის მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფიდან, ვინ მოთვლის, თუმცა, მაინც გადავავლოთ თვალი, როგორ შლიდნენ ფრთებს „გიგა და მეგობრები.“

### „ბოკერია და მეგობრები“ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ

ქვეყნის მართვის სათავეში მოქცევისთანავე მამა ბასილის (მკალავიშვილი) მრევლის მიერ არაერთგზის ნაცემმა „თავისუფლების ინსტიტუტის“ მთავარმა იდეოლოგებმა ერთ-ერთი პირველი, რაც ჩაიდინეს ის იყო, რომ 2004 წლის 12 მარტს გლდანის ეკლესიის გვერდითი კარი „ურალით“ შეანგრეს, ამბიონიდან სპეცრაზმს გამოათრევინეს მთავარანგელოზ მიქაელის ხატს ჩახუტებული მამა ბასილი და მრევლთან ერთად სასტიკად გაუსწორდნენ. ვანდალურ აქტში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ორგანიზაცია „კმარას“ ე.წ ახალგაზრდული ფრთა (ძმები ახალაიები, ჟანი კალანდაძე, ვასილ სანოძე, ამირან მესხელი), ოპერაციას კი გიორგი ბარამიძე ხელმძღვანელობდა (აფრასიძეების ჩაახოცვამდე ზუსტად 12 დღეა დარჩენილი)...

გახმაურებული ამბავია, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ აღმასრულებელმა და იმ დროს უკვე გადეპუტატებულმა გიგა ბოკერიამ ლევან რამიშვილთან ერთად სპეციალური ანგარიში წარუდგინეს როგორც აშშ-ის მაშინდელ ელჩს საქართველოში, ასევე, საქართველოში მყოფ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაზვერვის ცენტრალური ბიუროს წარმომადგენლებს. მამა ბასილის (მკალავიშვილი) სამაგალითოდ დასჯისთვის „თავისუფლების ინსტიტუტმა“ იმ დროისთვის წარმოუდგენელი გრანტი 1 მლნ დოლარი მიიღო — დონორი ორგანიზაცია „ამერიკის დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი“ იყო.

მანამდე თუ ჭორად იცოდა საზოგადოებამ, 2012 წლის დეკემბერში უკვე დადასტურებულად გაცხადდა, რომ სპეცოპერაცია, რომელსაც გიგა ბოკერიას „თავისუფლების ინსტიტუტში“ კოდური სახელი „აღსარება“ ერქვა, რეალობა იყო — საპატრიარქოში, ქორეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების, თვით პატრიარქის სამუშაო და სასტუმრო ოთახებშიც კი ფარული მინიატურული მოსასმენი აპარატურა იყო დამონტაჟებული. (აღარაა საუბარი სახელმწიფოს მიერ სასულიერო პირებისთვის ნაჩუქარ ავტომობილებზე, რომლებშიც ასევე ჩამონტაჟებული იყო მოსასმენი მინიატურული აპარატურა, რომელიც ძრავის ჩართვისთანავე მწყობრში მოდიოდა და გამორთვის შემდეგ კიდევ 2 საათი მუშაობდა ავტომატურად)

როგორც გამოირკვა, „თავისუფლების ინსტიტუტს“ კიდევ ერთი კოდური სახელწოდების გეგმა ჰქონდა „ორი პატრიარქი“, რომელიც 2006 წელს დაიწყო, 5 მლნ დოლარზე მეტი დაუჯდა სხვადასხვა ამერიკულ ფონდებს (საწყის ეტაპზე „ოპერაცია“ დააფინანსა „ამერიკის ტოლერანტობის ცენტრმა“). მაგრამ ფულიც და ძალისხმევაც წყალში ჩაეყარათ. გეგმის ჩავარდნის მიზეზი — უმაღლეს სამღვდელოებაში ვერავინ მოიძიეს ისეთი, ვინც „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფავორიტ ეპისკოპოსობას შეიფერებდა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს წინ მეტოქედ დაუდგებოდა...

დირექტივები საიდან მოდიოდა, იმდენად არ აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იმას, ვინ ახდენდა ამ დირექტივების სხვადასხვა დროს დახვეწა-ამუშავებას, ვინ აწყობდა რეგულარულ თავდასხმებს ყველა საშუალებით ქართულ ეკლესიაზე — ქართველები: გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, ლევან რამიშვილი, გიგი უგულავა, აკაკი მინაშვილი, გიგი თევზაძე, დავით პაიჭაძე, ვანო მერაბიშვილი, ამირან მესხელი, მამუკა ახვლედიანი, გიორგი მელაძე.

ფერიის მთაზე ტაძრის დანგრევის გამო დღემდე არავის აუღია პასუხისმგებლობა, თუმცა ტაძრის დანგრევის ბრძანების გამცემი ირაკლი ოქრუაშვილმა დაასახელა, მან ღიად განაცხადა ეთერში, რომ ფერიის მთაზე ტაძრის დანგრევის გადაწყვეტილება გიგა ბოკერიამ მიიღო...

სხვათა შორის, გიგა ბოკერია იყო პატრიარქს რომ უთხრა, არც შენი სიკვდილია პრობლემაო...

„კავკასიის“ პირდაპირ ეთერში ერთ-ერთი დაკავებული და პატიმრობამისჯილი რატი მაისურაძე: — „ეს პროვოკაცია უშუალოდ გიგა ბოკერიამ და „თავისუფლების ინსტიტუტმა“ დაგეგმეს. მალე მივმართავთ შესაბამის უწყებებს, რომ ხელახლა გადახედონ ამ საქმეს. იმ ცრუმოწმე პოლიციელებიდან ბევრი იტყვის ვისგან იღებდა დავალებებს...“

### ერთი შეხედვით ვითომ უმნიშვნელო ამბები მედიასთან დაკავშირებით

გავრცელდა ხმა, რომ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“ იდეოლოგი გიგა ბოკერია ბრძანდებოდა და საერთოდ, მის ინტერესებში იყო მაუწყებლობების (ზოგადად, მედიის) კონტროლი. როგორც ჩანს, ამ ხმებმა მის ყურამდეც მიაღწია და ვანო ჯავახიშვილს რამდენჯერმე მოუხდა თავის შოუში „ხუმრობა“, რომ ბოკერია უწერდა ხუმრობის ტექსტებს.

ვნახოთ, რას ამბობს ნათია აბრამია, „რუსთავი-2-ის“ ყოფილი ერთ-ერთი სახე არხის სარედაქციო საქმეებში გიგა ბოკერიას ჩარევის შესახებ: — „რევოლუციიდან, ალბათ, ერთი თვის თავზე, მაშინ „კურიერი პოსტ სკრიპტუმის“ ჟურნალისტი ირმა ნადირაშვილი ტელეფონით გიგა ბოკერიას თავისი სიუჟეტის ტექსტს უკითხავდა. ერთ-ერთი წამყვანი მივიდა და ყურმილი გამოართვა, გიგა, რატომ გიკითხავს ჟურნალისტი ტექსტსო. ბოკერიამ უპასუხა, რა იყო, რა მოხდაო და დაკიდა, თუმცა, მეორე თუ მესამე დღეს ისევ დარეკა ეთერში გასვლამდე ტექსტში რაღაც დეტალის დასაზუსტებლად და ცვლილების შესატანად... ასეთი და უარესი ბევრი მინახავს ან გამიგია. ჩემს პროფესიაში ყველა დაწერილი და დაუწერელი ნორმა ჩემს თვალწინ ირღვეოდა, მაგრამ კონკრეტული სახელები და გვარები, კონკრეტული ამბები, არასდროს მომიყოლია“.

რაღა მოყოლა უნდა, როცა ფაქტები მეტყველებენ — გიგა ბოკერიამ ირაკლი იმნაიშვილის გადაცემა „მზეზე“ პირდაპირ ეთერში დახურა; ეკა ხოფერიამ პირდაპირ ეთერში დროზე ადრე დაასრულა „რუსთავი-2-ზე“ გადაცემის წაყვანა რის მიზეზადაც „ყურში“ ბოკერიას უხეში ჩარევა დასახელდა; თეო ტლაშაძეს პირდაპირ მიახალა ბოკერიამ, თუ „თრიალეთი“ არ შეწყვეტს რეალობის ამსახველი სიუჟეტების გაშვებას, ყველას დაგიჭერთო...

მიხეილ სააკაშვილს რომ დღემდე აწუხებს რას იტყვის მასზე მედია, ცნობილია და როგორც ამბობენ, ბოკერიამ იტვირთა „შავი საქმე“ და წარბშეუხრელადაც ასრულებდა.

გიგა ბოკერიას (სააკაშვილს თუ ზოგადად „ნაცმოძრაობას, მნიშვნელობა არ აქვს) განსაკუთრებით აღიზიანებდა „იმედი“, იმდენად, რომ პარლამენტის ტრიბუნა გამოიყენა და ღიად შეუტია „იმედს“, რას ჰქვია, სტალინზე ფილმი გაუშვით და სისხლიანი ტირანის ნაცვლად ძლიერ ქართველ პოლიტიკოსად წარმოაჩინეთო; მე კი არა, საქართველოს ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს აქვს პროტესტი, როგორ იქცევა პატარკაციშვილის ტელევიზიაო — ჯერ კიდევ წინ იყო „იმედის“ დარბევა.

როგორ მიიწევდა წინ, როგორ ამყარებდა ურთიერთობებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მოკლედ რომ ვთქვათ, რა ქვებუდანობას ეწეოდა ბოკერია, იმდენად აღარ არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც, იმ დროისთვის უკვე სახეზე გვყავდა პირი, რომელიც არა თვალსაჩინოდ, მაგრამ პრეზიდენტის შემდეგ პირველი პირი იყო.

გიგა ბოკერიამ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და სააკაშვილს მოსთხოვა, რომ „იმედში“ სპეცრაზმი გაეგზავნა და ასე აღეკვეთა არხის მაუწყებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოკერია თავისი გუნდით ოპოზიციაში გადასვლით დაემუქრა.

სააკაშვილისთვის ბოკერიას გუნდის ოპოზიციაში გადასვლა არანაკლები უბედურება იყო, ვიდრე რევოლუცია — მას ხელისუფლება ჩამოეშლებოდა და აშშ-ისა და ევროპის კეთილგანწყობას დიდწილად დაკარგავდა.

სააკაშვილმა, ალბათ, ეს ყველაფერი გაიაზრა, რადგანაც, ის ბოკერიას უყოყმანოდ დათანხმდა იმ პირობით, რომ ამის ნებართვა აშშ-ის ადმინისტრაციიდან უნდა მიეღოთ.

სწორედ ამის შემდეგ დაავალა მიხეილ სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილს „იმედის“ დარბევა და იქ მომუშავე ჟურნალისტების სამაგალითოდ დასჯა...“

### გიგა „ჩამოტარებით“

კონკრეტულად გიგა ბოკერიას ბიზნესი არ ჩანს, მაგრამ მამას სწორედ რომ მზრუნველ შვილად გამოადგა ფულის „გაიმასქნების“ საქმეში, თუმცა, რადგან ლევან ბოკერიას სამშენებლო საქმიანობა გამოძიების თემაა, ამიტომ, გვერდზე გადავდოთ. ასევე გამოძიების თემაა და გვერდზე გადავდოთ ბოკერიას ცოლის დის სამშენებლო საქმიანობები (კომპანია „არტექსი“), მოგებული ტენდერები და „ვარსკვლავების აკადემიას“ შეწირული ორი ჟურნალისტის გარდაცვალება.

2007 წელს ზეობის ხანაში გიგა ბოკერია პირდაპირ ჩაერია ფეხბურთის ფედერაციიის მუშაობაშიც და ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე გამარჯვებიდან რამდენიმე წუთში გიორგი ნემსაძემ უარი თქვა მასზე...

როგორც ქალბატონმა თეო ტლაშაძე აცხადებდა, გიგა ბოკერიას მუშაობის სტილში ასინეთობაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. იგი არა მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებზე, საკუთარი გუნდის წევრებზეც ითხოვდა გარკვეული ნეგატიური ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც, ძირითადად, პირად ცხოვრებას შეეხებოდა და სიბინძურეს წარმოადგენდა. ამ ფონზე არაფერს წარმოადგენს ის, რომ იწერებოდა ბოკერიას მიერ შეკვეთილი სტატიები, რაშიც, ცხადია, სოლიდური თანხა იყო გადახდილი და ამის შესახებ მისი გუნდის წევრებმაც იცოდნენ...

2008 წლის აგვისტოს ხუთდღიან ომთან დაკავშირებით კვლავ გაისმა ბოკერიას გვარი „ბოკერიამ, უგულავამ და გაბაშვილმა დაგეგმეს, რომ საქართველოს უნდა მიეღო მაქსიმალური მსხვერპლი როგორც მშვიდობიანი მოსახლეობის, ასევე სამხედრო მოსამსახურეების“, — საპატიმროდან ერთი დღის განთავისუფლებული გენერალ ტრისტან წითელაშვილის ამ ფრაზამ არა მხოლოდ საქართველოს, რუსეთის მედია-სივრცეც მოიარა.

ბოკერიას გვარს უკავშირდება სასჯელაღსრულების ადგილებში მომხდარი ცალკეული შემთხვევები და 2006 წლის ე.წ „ციხის ბუნტის“ დროს პატიმრებისთვის ცეცხლის გახსნის ბრძანების გაცემაც. იმასაც ამბობენ (მამა ბასილი), რომ ციხეში შევარდნილ ერთ-ერთ ნიღბიანში გიგა ბოკერია ამოიცნეს, რომელმაც თვითონ ვერ (არ) მოკლა პატიმარი და თანმხლებს უბრძანა მისი ლიკვიდაცია...

კონტროლის პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა განაცხადა, რომ დაკავების პირველივე ღამეს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბოკერია და ადეიშვილი მას წამების საშინელი მეთოდებით გაუსწორდნენ, რათა მიეღოთ მათთვის სასურველი აღიარებითი ჩვენება. „გიგა ბოკერია იყო ის ადამიანი, ვისაც ჰქონდა დასაჭერი ხალხის სია. სიას ადეიშვილთან ერთად განიხილავდნენ და ის გოგო-ბიჭები, კალმახელიძეები და ახალაიები, ამ მზაკვრულ გეგმას პიონერებივით ასრულებდნენ,“ — განაცხადა სულხან მოლაშვილმა.

**თამარ მჟავია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# კოჰაბიტაცია — ეს არის ჩიხი, რომელიც დასავლეთმა „შეუკვეთა“ საქართველოს

**19 მაისს სპორტის სასახლეში ჩატარდება ყრილობა დევიზით „სამართალი უნდა აღსდგეს!“ ყრილობის ორგანიზატორია ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“. რატომ გახდა საჭირო ყრილობის ჩატარება და რა მოთხოვნები აქვს საზოგადოებას ხელისუფლების მიმართ? ამ საკითხებზე „საერთო გაზეთს“ უფლებადამცველი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ესაუბრა.**



**— ქალბატონო ნანა, დღემდე არც ერთი ბრალდება და ეჭვი სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლების მიმართ არ დამტკიცებულა და არ გამორკვეულა, ნაციონალები თავს დამნაშავედ არ მიიჩნევენ და საზოგადოებასაც ამით ერთგვარად ყელში ბურთს ჩრიან — უდანაშაულოები ვართ, შეურაცხყოფას ნუ გვაყენებთო.**

— ამის დამტკიცება, თუკი პოლიტიკური ნება იქნება, არცთუ ისე ძნელია.

დავიწყოთ იქედან, რომ მთელმა საქართველომ ნახა ადამიანის ღირსების შემლახავი ციხის კადრები. ყველამ ვიცოდით, რომ საპატიმროებში საშინელებები ხდებოდა, მაგრამ ფაქტების სააშკარაოზე გამოტანა არ იყო ადვილი საქმე, მეტიც, ეს შეუძლებელი იყო. დღეს, როცა არსებობს დამამტკიცებელი კადრები, არსებობს მტკიცებულებანი, რატომ არ ისჯებიან დამნაშავეები არა მხოლოდ შემსრულებლების დონეზე, არამედ დამკვეთები, თვით სისტემის შემქმნელები, რადგან, შემიძლია გითხრათ, რომ ეს შემთხვევა არ იყო გამონაკლისი, ეს იყო ფორმა, სისტემის მართვის ფორმა. ასე იმართებოდა სისტემა. ასე ხდებოდა მასიურად და წარმოუდგენელია, დაუსჯელი დარჩეს ნებისმიერი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ვინც იმ პერიოდში სასჯელაღსრულებაში მუშაობდა. როგორ შეიძლება მინისტრი, რომელიც სისტემას ხელმძღვანელობდა, პასუხისგებაში არ მიეცეს. ეს არ მოხდა. უფრო მეტიც, შაშკინი იქნება ეს თუ სხვა ვინმე არ არის დაკავებული. მხოლოდ ბაჩო ახალაიაა ციხეში, სამწუხაროდ, არაადექვატური ბრალდებით. ჩემი აზრით, ასეთი ბრალდების შემთხვევაში ის, როგორც წამების სისტემის შემქმნელი, მარტო ვერ იქნებოდა და ის მთელ ნაციონალურ მოძრაობას ამხელდა. ამიტომ მოფიქრებული იქნა ისეთი დანაშაული, რომლის გაიგივება ვერ ხდება მთლიანად ნაცმოძრაობაზე. რატომ უნდა მოხდეს დანაშაულის დაფარვა? იმიტომ რომ ეს ე.წ. კოჰაბიტაცია განხორციელდეს? რას ვეუბნებით ასობით მორალურად და ფიზიკურად, მატერიალურად დაზარალებულ ადამიანს?

ასეთმა ქმედებებმა იმ შედეგებამდე მიგვიყვანა, რომ დღეს ზოგიერთი პოლიტიკოსი აცხადებს: ახალაიები რეჟიმის მსხვერპლნი არიანო.

ამის გამო გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ახალ ხელისუფლებას, რა არის ხალხის სურვილი და რისთვის აირჩია 1 ოქტომბერს „ქართული ოცნება“.

**— ისიც კოჰაბიტაციის ნაწილია თანამდებობებზე რომ კვლავ ნაცმოძრაობის ნარჩენები რჩებიან? განსაკუთრებით ძნელად შესაგუებელი ხალხისთვის ის არის, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და ციხეების უფროსებად და სხვა პასუხსაგებ ადგილებზე ისევ ძველი კადრები გვევლინებიან. სპეციალისტები არ გვყავს თუ რაშია საქმე?**

— საქართველოში პროფესიონალი კადრების დეფიციტი არაა, პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულებიც ბევრნი არიან, ამ სისტემიდანაც უამრავი თანამდებობის პირი თუ სხვა თანამშრომელი არის წამოსული იმის გამო, რომ რეჟიმს ვერ გაუძლო, მაგრამ აქაც არაა პოლიტიკური ნება ხელისუფლების მხრიდან, როგორც კი დადგება ასეთ შემთხვევებზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებელი გახდება ყოფილი რეჟიმის გასამართლება — წამება და ღირსების შემლახველი მოპყრობა, თვალთვალი და მიყურადება, პოლიტიკური პატიმრების არსებობა, განუკითხაობა, უდანაშაულო ადამიანების განუკითხავი ხოცვა ქუჩებში, ბიზნესრეკეტი და ა.შ. ეს იმდენად მასშტაბური დანაშაულებებია, რომ საერთაშორისო დონეზე როგორც კი მოხდება ამ საქმეებზე მსჯელობა, კიდევ უფრო ნათელი გახდება იმ მითის აბსურდულობა, რომელიც დასავლეთმა შექმნა სააკაშვილის რეჟიმისთვის. სააკაშვილის მმართველობის პერიოდი — ნეობოლშევიკური ტირანული რეჟიმი, უფრო მძიმე იყო, ვიდრე 70-80-იანი წლების კომუნისტური წყობა.

დღევანდელი ხელისუფლება დასავლეთთან ერთად არ არის მზად იმისთვის, რომ თქვას სიმართლე!

**— მწვავედ დგას პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა პოლიტიკურ პატიმრად არაღიარების საკითხიც. რატომ ფერხდება ეს პროცესი?**

— იმიტომ, რომ ეს ზრდის პოლიტპატიმართა რაოდენობას და რატომ არ სურთ ამ რაოდენობის დაფიქსირება, ეს, ჩემი აზრით, თვით ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ. ესენი ძველ ხელისუფლებას „სახეს“ უნარჩუნებენ, მაგრამ რატომ? რას ემსახურება ეს? რა შეიცვალა 1 ოქტომბრის შემდეგ, მხოლოდ გვარ-სახელები? თუ ნაციონალებს ძველი დანაშაულები შერჩათ, არაა გამორიცხული რომელიმე მმართველმა შემდეგში იგივე გაიმეოროს.

**— ქალბატონო ნანა, კოჰაბიტაციის პროცესი ხელს უშლის დანაშაულის აღიარებას?**

— საქმე ისაა, რომ ისეთი ტიპის დანაშაულებს, რაც ჩაიდინეს ნაციონალებმა საქართველოში, კაცობრიობა არ იცნობს. არ არსებობს შემთხვევა, არ დასჯილიყოს მსგავსი არაადამიანური ქმედებები. ამის პატიება არის გამორიცხული. ეს კარგად იცის, როგორც ნაცმოძრაობამ, ისე დღევანდელმა ხელისუფლებამ. ესაა ჩიხი, რომელიც დასავლეთმა დაუკვეთა საქართველოს და დამღუპველია ჩვენთვის.

**ნაციონალების დანაშაულობათა დაფარვა, არა მხოლოდ ახლანდელი ხელისუფლების სურვილია, არამედ დასავლეთის სახელმწიფოებისაც.**

მათ არ სურთ აღიარონ, რომ დემოკრატიის ოაზისად წოდებულ საქართველოში ხელისუფლება ადამიანების ტოტალურ ჩაგვრას და წამებას ახორციელებდა 9 წლის განმავლობაში.

შედეგი რომ გვქონდეს, საზოგადოება მეტად მომთხოვნი უნდა იყოს. ამიტომაც ცდილობს ჩვენი ორგანიზაცია სიმართლის და სამართლიანობის დასამკვიდრებლად ყველაფერი გააკეთოს, მაგრამ ძალიან დიდ დაბრკოლებებს ვაწყდებით.

**— ხელს გიშლიან? ვინ? რა ფორმით?**

— გვხვდება ძალიან სერიოზული წინააღმდეგობა არა მხოლოდ ძველი, არამედ ახალი ხელისუფლების მხრიდანაც. როდესაც ვეუბნებით, რომ რეჟიმი აუცილებლად უნდა გასამართლდეს და გველაპარაკებიან კოჰაბიტაციაზე, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ხედვები გაცალკევებულია. როცა ჩვენ ვეუბნებით, რომ ხალხის მოთხოვნაა გასამართლდეს რეჟიმი და გვპასუხობენ, რომ მათ ეს არ სურთ, ეს უკვე სერიოზული სიგნალია.

**— ხომ არ ამბობენ, ჩვენ ვიცით ხალხს რაც სურს და რასაც ამბობთ, ის არ არის ხალხის მოთხოვნაო?**

— არა. ამას ვერ იტყვიან, რადგან თვითონ მართვადი მედიაც კი ვერ უვლის ამას გვერდს. იქაც, მართვად მედიაშიც კი ხდება ამის აქტიური აფიშირება, რადგან სერიოზულია ეს პრობლემა. თუმცა დღევანდელი ხელისუფლება თვლის, რომ ყველანაირად უნდა დაიბლოკოს და გადაიკეტოს გზები, არ გაირკვეს სიმართლე და არ დაისაჯონ დამნაშავეები.

**— რატომ სურს ეს ახალ ხელისუფლებას?**

— ისინი არიან ზეწოლის ქვეშ. ეს არის საერთაშორისო ზეწოლა და იძულება, რადგან არ უნდა იქნას გამოაშკარავებული ის სისაძაგლეები, რასაც დასავლეთის მხარდაჭერით ჩადიოდა ნაცმოძრაობა 9 წლის განმავლობაში.

**— ადამიანის უფლებები დაცვა დღესაც აქტუალური თემაა საქართველოში, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მარტო აპირებთ ბრძოლას? როგორც ვხვდები, დასავლეთის ადამიანის უფლებათა დამცველებიც კი არ დაგვიჭერენ მხარს...**

— კიდევ უფრო სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ. პოლიტიკა მძლავრობს არასამთავრობო ორგანიზაციებზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, რისი შედეგიც არის ის, რომ ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციები იმ პოლიტიკის გამტარებელია, რასაც ატარებს ესა თუ ის რეჟიმი. თავიანთ ქვეყნებში არასამთავრობოები მეტნაკლებად იცავენ ადამიანთა უფლებებს, მაგრამ რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, სადაც გარკვეულ პოლიტიკას ატარებს სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციები ხუჭავენ თვალს. ამიტომ ჩვენ თვითონ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ უნდა დავიცვათ საკუთარი უფლებები და როცა გარე ძალებს ეცოდინებათ, რომ ქვეყნის მოსახლეობა იბრძოლებს საკუთარი უფლებებისთვის, ისინი გარედან ვეღარ დასვამენ თავიანთი ნდობით აღჭურვილ ხელისუფალს.

ამის მაგალითია ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, სადაც, ფაქტობრივად, აზრი არ აქვს ხელისუფალთა „დასმას“, რადგან თუ ხალხის დაკვეთას არ შეასრულებს, ძალიან მარტივად ეტყვის საზოგადოება უარს.

**— ახალი ხელისუფლებაც დასავლეთის „დასმულად“ გეჩვენებათ?**

— „დასმული“ არის თუ არა, ეს გამოჩნდება, მაგრამ დღეს ფაქტი არის ასეთი — **ახალი ხელისუფლება ვერ უმკლავდება დასავლეთის ზეწოლას, რომელსაც განიცდის ნაცმოძრაობის გამო**. ეს არის აშკარა ზეწოლა დასავლეთიდან.

ჩვენ ვაქტიურობთ, მაგრამ გვერდით გვიდგას ადამიანის უფლებათა დამცველი ისეთი ორგანიზაციები, რომლებსაც დასავლეთიდან არ მიუღიათ არავითარი სახის მხარდაჭერა. ის ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დასავლეთიდნ „იკვებებიან“, ხშირად დუმილს ამჯობინებენ, ან აქტიურობენ შედარებით მსუბუქად, როგორც იტყვიან, არც მწვადი რომ არ დაწვან და არც შამფური.

საკუთარი უფლებების დაცვისთვის, სამართლიანობისათვის ბრძოლაში ჩვენ, ქართველი ხალხი, ამ შემთხვევაში ვართ მარტო, და თუ გვაქვს ძალა და შესაძლებლობა ჩვენს სიტყვას ვიტყვით, მაგრამ თუ დღევანდელი ქართული საზოგადოება ამ უნარს მოკლებულია და ბრძოლა აღარ შეუძლია, მაშინ ნებისმიერი ხელისუფლება შეძლებს პრობლემით მანიპულირებას, საზოგადოება ყოველთვის იქნება დაჩაგრული, უფლებაშელახული, ღირსებააყრილი და არც უნდა ჰქონდეს პრეტენზია, რომ ჩაგრავენ.

**— საზოგადოების უკმაყოფილების ტალღა შეიძლება ქუჩაში გადავიდეს?**

— ჯერჯერობით ხალხს კვლავ აქვს იმედი და მოლოდინი. კვლავ არსებობს ხელისუფლებისადმი ნდობა. ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს ნდობა გაქრეს. მაშინ ხალხი გამოვა ქუჩაში, მაგრამ სანამ გამოვლენ და სამართალს ქუჩებში დაუწყებენ ძებნას, ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ, შეასრულოს ის დაპირებები, რაც აღუთქვეს მოსახლეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი შეიძლება წარიმართოს არა ქართველი ხალხის და საქართველოს საკეთილდღეოდ. ასეთ დროს კი არც ერთი ხელისუფლება მოგებული არ რჩება.

სანამ არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა. ახალ ხელისუფლებას თუ სურს, რომ იყოს მშვიდად, სამართლიანობა უნდა დაამყაროს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18




## 19 მაისს, 14 საათზე სპორტის სასახლეში!



# საქართველოს მოსახლეობას უკან ცოცხს თუ არ ურჭობენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა

## დასანანი იქნება თუ ბიძინა ივანიშვილი, ეს დიდი ადამიანი, რომელსაც საქართველოსთვის უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, ისეთივე აგრესიის ობიექტი გახდება ქართული საზოგადოების მხრიდან, როგორც შევარდნაძე და სააკაშვილი...

**გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა:**

**— კახა, ბოლო დროს მოვლენებზე დაკვირვებით შეიძლება დავასკვნათ, რომ „ნაცმოძრაობა“ რაღაცისთვის ემზადება როგორ ფიქრობ, რისთვის შეიძლება ემზადებოდეს „ნაც.მოძრაობა?**

— სავარაუდოდ, წლის ბოლოს, საქართველოში, ეკონომიკური ვითარება უკან წავა და არა წინ, რაც, ბუნებრივია სააკაშვილს საშუალებას მისცემს ისაუბროს იმაზე, რომ „ნაცმოძრაობის“ ხანა სჯობდა. მეორეა, რაც თავად ახსენე, საერთაშორისო ურთიერთობები, გავლენები. ივანიშვილის ირგვლივ ეს წრე შეკრულია და ვფიქრობ, უბრალოდ ქვეყნის შიგნით გარკვეული კრიზისის შექმნას ელოდებიან და არც ჩქარობენ, რაც დასავლური პოლიტიკის სტილია. კრიზისი შეიძლება შეიქმნას ნახევარი წლის, წელიწადნახევრის, ან ორი წლის შემდეგ, მაგრამ თუ ივანიშვილმა მოკლე პერიოდში დასავლეთის განწყობის შექმნა ვერ მოახერხა, შესაძლებელია, დრამატული სცენარის განვითარება. ამის პრაქტიკა, მსოფლიოში, ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე მრავლად გვახსოვს. რაც შეეხება სააკაშვილის უბრალოდ დევნილად წასვლას, კერძო საქმიანობის გაგრძელებას და მილიარდების წაღებას, ესეც, ალბათ ერთ-ერთი ვარიანტია, თუმცა ამ გზას ყოფილი პრეზიდენტები ნაკლებად ირჩევენ. მით უფრო, ისეთი აგრესიული სტილის, როგორიც სააკაშვილია.

ბოლო დროს შევამჩნიე, რომ ივანიშვილის მომხრე ექსპერტების ტონალობა შეცვლილია. რეალობა ასეთია — რა თქმა უნდა, ივანიშვილი სამართლიანობის აღდგენით არ დაკავდება, ეს 100 პროცენტით შემდგარი ფაქტია. სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად, მივიღებთ კორუფციულ პროცესს, რასაც კეზერაშვილის ბიზნესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა და რაც ძალიან შორსაა სამართლიანობის აღდგენისგან. სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს დამნაშავეების დასჯას და არა მათ გამოსყიდვას და რაც მთავარია, სამართლიანობის აღდგენა თანასწორობას უნდა გულისხმობდეს — ყველა დამნაშავე დაისაჯოს ერთნაირად და ყველა უდანაშაულოს თანასწორი შანსი ჰქონდეს, რათა თავისი უფლებები აღიდგინოს. ის, რასაც დღეს „ქართული ოცნება“ გვთავაზობს, წმინდა წყლის კორუფციაა, როდესაც ადამიანები უთანასწორონი არიან — ზოგი იბრუნებს უფლებებს, ზოგი ვერა და რაც მთავარია, ეს შერჩევითად ხდება. ჯერჯერობით, არცერთი მსჯავრდებული „ნაციონალი“ არ გვინახავს.

**— მაგრამ როდემდე გაგრძელდება ასე ხავერდოვნად კოაბიტაციის პროცესი?**

— „ქართული ოცნება“ როგორც ბიზნესში, ისე პოლიტიკაში „ნაციონალური მოძრაობის“ კადრებს უკვე ერწყმის. ფორმალურად „ნაც. მოძრაობის“ წევრები საკუთარ მანდატებს ტოვებენ, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. ამ ლოგიკით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს საქართველოში არა „ნაციონალური მოძრაობის“, არამედ „კომუნისტური პარტიის“ პრობლემაა. ვინ არიან დღევანდელი „ნაციონალები“? — ყოფილი „მოქ. კავშირელები“. ვინ არის „მოქალაქეთა კავშირი“? — ყოფილი პარტ. ნომენკლატურა, კომკავშირის და კგბ-ს ნომენკლატურა. აქედან გამომდინარე, თუ ისე მოხდა, რომ ტყავი მეოთხეჯერაც გამოიცვალეს და ამ კომკავშირელებმა „ქართული ოცნება“ დაირქვეს, ამით მხოლოდ დასახელება შეიცვლება. რეალურად კი ქართულ პოლიტიკაში ყველაფერი იგივე დარჩება. დღეს ეს პროცესი მიმდინარეობს. უფრო სწორი იქნებოდა ამას კოაბიტაციის კი არა რეინკარნაციის პროცესი თუ დაერქმეოდა. მიმდინარეობს კომკავშირული ნომენკლატურის უკვე მესამე რეინკარნაცია.

ვფიქრობ, ივანიშვილი უხეშ შეცდომას უშვებს, როცა ოპოზიციასთან დიალოგზე უარს ამბობს, როცა არ უნდა სცნოს „თავისუფალი საქართველო“ და სხვა რეალური ოპოზიციური ძალები და ცდილობს კულუარულად ჩამოაყალიბოს სატელიტი ორგანიზაციები. იგი, რა თქმა უნდა, დღეს, ხვალ, საპრეზიდენტო არჩევნებზე ამას ვერ იგრძნობს იმიტომ, რომ მისი რეიტინგი ჯერ კიდევ ძალიან მაღალია. მაგრამ როგორც სააკაშვილისთვის გარდაუვალი იყო ის, რაც 2004-2006 წლის მოვლენებს მოჰყვა, ასევე ვარწმუნებ ბატონ ივანიშვილს, რომ ის მცდარი პოლიტიკური კურსი, რასაც ის და მისი ხელისუფლება ატარებს, მაქსიმუმ სამი წლის შემდეგ, ქვეყანაში, აუცილებლად შექმნის ძალიან ღრმა პოლიტიკურ კრიზისს.

დასანანი იქნება თუ ბიძინა ივანიშვილი, ეს დიდი ადამიანი, რომელსაც საქართველოსთვის უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, ისეთივე აგრესიის ობიექტი გახდება, ქართული საზოგადოების მხრიდან, როგორც შევარდნაძე და სააკაშვილი.

**— თუმცა, როგორც NDI-ს კვლევებიდან გამოჩნდა, ივანიშვილის რეიტინგი უკვე 5 პროცენტით დაეცა...**

— **NDI**-ს კვლევებს ამ ქვეყანაში არავინ ენდობა და მოდი, ჩვენც ნუ ავიღებთ საფუძვლად. რაც შეეხება შუალედურ არჩევნებს — ის ფაქტი, რომ მმართველი პარტიის კანდიდატმა თამარ კორძაიამ 50 პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა, მაშინ, როცა ჩემთან შედარებით მას უზარმაზარი სასტარტო პოლიტიკური და ფინანსური უპირატესობა ჰქონდა, ეს ბევრის მანიშნებელია. დემოკრატიულ ქვეყნებში დასაშვებია მმართველმა პარტიამ შუალედურ არჩევნებში 40 პროცენტი მიიღოს. უბრალოდ, ეს საგულისხმოა. ეს შედეგი არ არის ტრაგედია, ამით ვერ ვიტყვით, რომ „ქართული ოცნება“ გაკოტრდა, თუმცა ფაქტი საგულისხმოა. რეალურად, თუ საარჩევნო უბნების მიხედვით გადავხედავთ შედეგებს, გაუყალბებელი უბნები „ქართულმა ოცნებამ“ წააგო, რამოდენიმე უბანზე პირველი ადგილი მივიღეთ. უბრალოდ, მათ, მერე უმისამართო უბნებისა და კარუსელის წყალობით, შედეგების გადაფარვა მოახერხეს. ხელისუფლებას ვურჩევდი ასეთ მომენტებს ყურადღება მიაქციოს. ჯერ პროცესები შეუქცევადი არ არის. თუკი ივანიშვილი პროცესების კორექტირებას მოინდომებს, ეს ადგილობრივ არჩევნებამდე მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იქნება. თუმცა, ერთი რამის მეშინია: ბოლო ერთი თვეა საქართველოში ძალიან ცუდი პროცესები, ნეგატიური მოვლენები ვითარდება, მაგრამ უფრო დიდი ნეგატიური მოვლენაა ის, რომ ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები ამ მოვლენებზე ადეკვატურ რეაგირებას ვერ ახერხებენ. აშკარად ნერვებს არიან აყოლილნი, იგივე ფარულ ჩანაწერებთან, პატრულის მიერ ახალგაზრდული აქციების დარბევასთან, კირვალიძის სკანდალთან დაკავშირებით. სრულიად აშკარაა, რომ ხელისუფლება თანდათანობით ადეკვატურობას კარგავს. შეიძლება ფარესაშვილის ჩანაწერის გამოქვეყნება ან ერთი ახალგაზრდული აქციის დაშლა დიდი ტრაგედია არ არის, მაგრამ ეს ცუდი სიმპტომებია, რომელიც თუ არ აღმოიფხვრა, ისეთი ტიპის მოვლენების წინაშე დავდგებით, რასაც საქართველოში 2006-2007 წლებში ადგილი ჰქონდა. მერე უკვე პროცესები შეუქცევადი იქნება და ივანიშვილი მის მართვას ველარ შეძლებს.

**— ახლა ახსენე, რომ უკვე პროცესების შეუქცევადობის ნიშნები იკვეთება და ამის მაგალითები თვალნათლივ ჩანს. როგორ ფიქრობ, თუ „ქართული ოცნება“ 9-წლიანი რეჟიმის დანაშაულებრივი კლანისგან გამიჯვნას ვერ შეძლებს, თავად ხომ არ იქცევა დანაშაულის თანამონაწილედ და მას ხელისუფლების შესანარჩუნებლად იგივე სცენარით ხომ არ მოუწევს მოქმედება?**

— კი, ასეა. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. სააკაშვილის რეჟიმისთვის X წერტილი 7 ნოემბერი იყო. 7 ნოემბრამდე, გირგვლიანის მკვლელობის შემდეგაც კი, ჩემი აზრით, სააკაშვილს ჰქონდა რესურსი სწორი გადაწყვეტილებები მიეღო და საზოგადოებაც ამას მხარს დაუჭერდა. 7 ნოემბრის შემდეგ, სააკაშვილი ისეთ ვითარებაში მოექცა, როცა რა გადაწყვეტილებაც აღარ უნდა მიეღო, საზოგადოების ნდობის აღდგენის შანსი აღარ ჰქონდა. დღეს ჩავთვალოდ, რომ ახალგაზრდული აქციის დარბევა, ფარესაშვილის ფარული ჩანაწერები, დავუშვად იყო ის, რაც მაშინ ბათუმის ბაზრის დარბევა, ან გამომცემლობიდან ჟურნალისტების გამოყრა. ასეთი ტიპის დარღვევებს საქართველოში ადგილი აქვს. ღმერთმა ნუ ქნას, 7 ნოემბრის მსგავსი მასშტაბური მოვლენა განმეორდეს, მერე უკვე რჩევებს აზრი აღარ ექნება. მერე უკვე ინტერვიუში ველარ ვიტყვი თუ რას ვურჩევ ივანიშვილს. ასეთ შემთხვევაში უკვე ყველანი ქუჩაში უნდა დავდგეთ და მთავრობის გადადგომა მოვითხოვოთ.

ამიტომ **მინდა ივანიშვილს ვთხოვო, ჩემს ნათქვამს ნუ მიიღებს კრიტიკად, მე ავტორიტარულ რეჟიმთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება გამაჩნია, დღევანდელი პროცესები, ძალიან ემსგავსება მაშინდელს და ეს ივანიშვილმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.**



შეგიძლიათ ნახოთ, თუ რა ხდება სოციალურ ქსელებში, მაგრამ ამის გამო წელს, ხალხი ქუჩაში არ გამოვა. მაგრამ თუ გაგრძელდება კეზერაშვილის ხუხაშვილით ჩანაცვლება, ასევე სააკაშვილის რეჟიმის სხვა უარყოფითი პირების დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ჩანაცვლება, ბუნებრივია, ეს დაგროვდება, იმ X წერტილს გადალახავს და ფართომასშტაბიანი პროტესტით დაგვირგვინდება. შეიძლება ივანიშვილი ფიქრობს, რომ იგი გამონაკლისია და ეს კანონზომიერება, რაც შევარდნაძეზე, სააკაშვილზე გავრცელდა, მასზე არ იმოქმედებს, მაგრამ ასე ამაოდ ფიქრობს. სააკაშვილიც თვლიდა, რომ იგი ყველაზე ჭკვიანი, ახალგაზრდა, ნიჭიერი და გამონაკლისი იყო, ასე ეგონა შევარდნაძესაც — რომ მას არაფერი შეეშლებოდა. ივანიშვილი თვლის, რომ მილიარდერია, ქართველი ხალხის სიყვარულითაა აღჭურვილი და ამიტომ მას არ შეეხება ის, რაც შევარდნაძეს და სააკაშვილს შეეხო. ისტორია გვასწავლის, რომ ეს კანონზომიერებები, ყველაზე, თანაბრად ვრცელდება.

ჩვენ ქართველები ვართ. რო-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გორც ოჯახში, მეგობრებში, პარტნიორებს შორის ხდება ჩხუბი, ისეთივე კონფლიქტი ხდება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის — ხელისუფლებამ მათ ყელში უნდა ამოუყვანოს თავისი საქციელი. ეს ყველაფერი უკვე მეხუთედ-მეშვიდედ რომ განმეორდება, საზოგადოება რეაქციას მერე მისცემს. ევროპისგან იმით განვსხვავდებით, რომ თუკი ევროპაში ეს არის ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ერთჯერადი, ლოკალური კონფლიქტი, საქართველოში ეს ვენდეტაა. საქართველოში როცა ხალხი ქუჩაში გამოდის, იგი უკან აღარ შედის, სანამ სისხლს — დამხობილ ხელისუფლებას არ დაინახავს. ამიტომ, ამ მანკიერი წრიდან უნდა გამოვიდეთ. ჩვენ ვნახეთ კონფლიქტი გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის დროს. ჩვენს საზოგადოებაში ეს საკითხი ცივილური ფორმებით ვერასდროს მოგვარდა. ჯერჯერობით, „ქართულ ოცნებასა“ და საზოგადოებას შორის კონფლიქტი არ არის, მაგრამ მწიფდება. ხელისუფლებამ კი არ უნდა დაელოდოს სანამ კონფლიქტი კრიზისში გადაიზრდება, არამედ ეს ყველაფერი დინამიურად უნდა განვითარდეს. ივანიშვილის მიზანი ის ხომ არ არის, რომ პრემიერ-მინისტრობის მერე არ გაასამართლონ?! მას უნდა იყოს პირველი ხელისუფალი, რომელიც პრეცენდენტს შექმნის, რომ პენსიაზე მშვიდობიანად გავაცილებთ. თუ ეს მართლა უნდა, მაშინ სხვაგვარად უნდა მოიქცეს. როგორც ახლა იქცევა, ასე დატოვებს იგივე მემკვიდრეობას, რაც შევარდნაძემ და სააკაშვილმა დატოვეს. შედეგად, მომავალ ხელისუფლებას მოუწევს „ქართულ ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩადენილი დანაშაულობების გამოძიება. ვფიქრობ, ივანიშვილი თუ ამ საკითხს ჩაუკვირდება, მას ამის კორექტირების საშუალება ექნება. მეორე საკითხია ის, რომ მის გარშემო არცერთი ადამიანი არაა, ვინც ეს ერთდროულად კიდეც იცის და უნდა რომ მას ამაში დაეხმაროს. დავით უსუფაშვილმა იცის, ის რაზეც ახლა მე ვსაუბრობ, ჩვენ ეს ყველაფერი ერთად გავიარეთ, მაგრამ იგი სულაც არაა ივანიშვილის წარმატებით დაინტერესებული.

რატომ? იგი ცალკე პოლიტიკური პარტიის ლიდერია, რომელსაც ივანიშვილმა რამდენჯერმე მიაყენა ღია შეურაცხყოფა. ყველას კარგად გვესმის, რომ ივანიშვილისა და „რესპუბლიკური პარტიის“ თაფლობის თვე ესაა „Äî ï àðè äî âðåì åí è“. ეს არაა სამუდამო. გაიხსენეთ ივანიშვილის ბოლო გამონათქვამი: უსუფაშვილი იმისთვის მჭირდება, რომ ჩემი ტელეფონი ატაროსო. მანახეთ, მსოფლიოში რომელიმე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც პრემიერ-მინისტრის ტელეფონს ატარებს. ამით ივანიშვილმა უსუფაშვილისადმი თავისი უდიერი დამოკიდებულება გამოხატა. „რესპუბლიკელებმაც“ უპასუხეს ამაზე, როდესაც პარლამენტში განსახილველად შეიტანეს კანონპროექტი, რის მიხედვითაც ადგილობრივ არჩევნებში გადასალახი ბარიერი 1 პროცენტი იქნება. ანუ „რესპუბლიკური პარტია“ არჩევნებში ცალკე სუბიექტად მონაწილეობისთვის ემზადება. აქედან გამომდინარე, მათთვის „ქართული ოცნების“ წარმატება სასურველი არაა.

**— კახა, წეღან ახსენე, კეზერაშვილი ხუხაშვილმა ჩაანაცვლაო...**

— შემიძლია ვთქვა, რომ ხუხაშვილის აღიარებით ჩვენებას, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, კორუფცია ეწოდება. საქართველოში ვერ ნახავთ იურისტს, რომელიც გეტყვით, რომ ეს კანონიერია. როდესაც ადამიანი ოფიციალური სახელმწიფო უფლებამოსილებების გარეშე, უბრალოდ იმის გამო, რომ პრემიერ-მინისტრის მეგობარია, კერძო საკუთრების რეკვიზიციას, კონფისკაციას ახდენს და ამას სახელმწიფო საკუთრებაში გადასცემს, ამას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რეკეტი და კორუფცია ეწოდება. რაც შეეხება იმას, რომ ქურდის ქურდი ცხონდა, შეიძლება ქურდულში ხუხაშვილი მართალია, კეზერაშვილს საწარმო რომ აახია. ამაზე არ ვსაუბრობ. კანონის მიხედვით, იგი რეკეტიორი და კორუფციის ორგანიზატორია. ქურდული კანონი კარგად არ ვიცი.

**— კახა, ბოლო დროს საზოგადოების ყურადღება ხელოვნურად სხვა საკითხებზე გადადის — ვუყურებთ ხელისუფლების და ოპოზიციის კამათს, კოაბიტაციას, უკვე ბრალსაც აღარავის უყენებენ.**

— სტრატეგიული გრძელვადიანი ხაზი, რაც ნებისმიერი ქვეყნის განვითარებას სჭირდება, „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია. ერთი თვის წინ იუსტიციის მინისტრი ამბობდა, რომ კანონპროექტი პირადობის მოწმობების შესახებ საპატრიარქოს სინოდს უნდა გადავუგზავნოთო. სიმართლე გითხრათ, არც ეს კომენტარი მომეწონა, ზედმეტი კლერიკალიზმი არ მომწონს. ნორმალური ნამდვილად არაა, რომ იუსტიციის მინისტრი კანონპროექტებს საპატრიარქოსთან ათანხმებდეს. დღეს, იგი ლგბტ გეი-აღლუმის მთავარი პროპაგანდისტი გახდა. ანუ წულუკიანი გუშინ თავსაფარმოხვეული მართლმადიდებელი იყო, დღეს აღვირახსნილი ლიბერალი გახდა. ქვეყანა ასე არ იმართება. ნურავინ იტყვის, რომ რადგან საქართველოს მოსახლეობას უკან ცოცხებს არ ურჭობენ და ახალგაზრდებს ქუჩაში არ ხოცავენ, ყველაფერი კარგადაა. ასე არაა. ქვეყანას ზრდა სჭირდება, ის, რომ უბრალოდ არაფერი გააფუჭო, საკმარისი არაა.

**— კახა, ისევ იმას თუ დავუბრუნდებით, რითაც საუბარი დავიწყეთ, როგორ ფიქრობ, ხომ არ არის საფრთხე აგვისტოში, სერიოზული დაპირისპირებები, დესტაბილიზაცია დაიწყოს?**

— კი ამის საფრთხეები არსებობს. წეღანაც ვახსენე, ეს დასავლური პოლიტიკის სტილია, ე.წ. „სოფთ-ფაუერ“, ანუ თუ გიპირებენ მოკვლას ამას არ გეტყვიან, არამედ ჩაიზე მიგიწვევენ და ხელსაყრელ მომენტს დაელოდებიან. თავის დროზე, ამ მეთოდით მოხდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა. ადამიანს, რომელიც მოსახლეობის 87 პროცენტმა მაისში აირჩია, უცებ 2 სექტემბერს კრიზისი შეექმნა. ანუ ის, რომ ქვეყნის შიგნით მღელვარება არ არის და ამიტომ არაფერი მოხდება, ეს მოლოდინი არასწორია. ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში ბევრი რამ მართვადია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ საზოგადოებაში დღეს ნამდვილად არანაირი საპროტესტო მუხტი არ არსებობს სამაგიეროდ, არსებობს ინსტრუმენტები, რომელსაც საპროტესტო ბიძგების გამოწვევა შეუძლია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# დავით უსუფაშვილმა იცის, ის რაზეც ახლა მე ვსაუბრობ, ჩვენ ეს ყველაფერი ერთად გავიარეთ, მაგრამ იგი სულაც არაა ივანიშვილის წარმატებით დაინტერესებული






# xa l xis az r iT

თქვეჩემა, მიშა აირჩიეთ 92% და მარგველაშვილზე ქილიკობთ?

თბილისის მერის კანდიდატურებზე მსჯელობა იმას მაგონებს, კაცი რო ცოცხალია ჯერ და ოჯახში უკვე თევზზე და ღვინოზე ჩალიჩობენ, ქელეხისთვის... ;

კლინტონი რომ გამოსულიყო ჰარვარდის უნივერსიტეტში და სტუდენტებისთვის დაეწყო მტკიცება მონიკა ლევინსკის ჩემთვის არაფერი მოუჭამიაო, ხო გაკოჭავდნენ ეგრევე?

ნაცმოძრაობა შეყრილა და ზეიმობს - ყველა წიგნგამომცემელი ჩვენს კანდიდატს დაუჭერს მხარსო!

ეხლა მარგველაშვილი წარმოვიდგინე პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის გუმბათის ქვეშ შერონ სტოუნთან ერთად.. და სააკაშვილი კი აქუბარდიასთან გადაცემა ბარიერში

პრემიერმა, ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს (დრო ზუსტად არ მახსოვს), დაახლოებით ასეთი რამ განაცხადა - საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანი და მესიას არ უნდა ველოდოთო! ეს კაცი არასდროს იტყუება!!!! ბატონი ივანიშვილის მმართველობა თანდათან ანგრევს დრომოჭმულ, პოსტსაბჭოური პოლიტიკური თამაშების არქიტექტურას. ამ ქვეყანაში სრულდება დრო, როცა მესიებს კი არ ავირჩევთ, არამედ ჩვეულებრივ, წესიერ მოქალაქეს და მას თავის დროზე წასვლაც არ გაუჭირდება. აღარ იქნება საჭირო “ბრძოლა” ვიღაცის მოსაყვანად და მერე გაორმაგებული ძალისხმევით ბრძოლა მის გასაშვებად!

ამ ნაცემ “ხალხს” თუ ცემასგადარჩენილ პრეზოსა და გაღლეტილ მერაბიშვილს დავამატებთ, გამოდის, რომ ნაცშპანას საიდუმლო სერობა ჰქონდა დანიშნული და ჩაეშალა! შესაბამისად, რესტორნის ზარალი უვნებლად გადარჩენილების ასანაზღაურებელია პარტიული სალაროდან!

საყვარელიძისთვის ექიმს უთქვამს, ეს რაღაც ბუჩქი რო გადევს შუბლზე, ცემამდე გქონდა თუ ნერვიულობისგან ამოგივიდაო.

სხვათა შორის, კობა დავითაშვილი და ვალერი გელაშვილიც დეპუტატები იყვნენ სააკაშვილმა ზონდერების ხროვას სასიკვდილოდ რომ აცემინა.

ეგ სულ არ მადარდებს ვის და როგორ მოხვდა, ჩხუბია ან ერთი იცემებოდა ან მეორე... მე ის უფრო მადარდებს, ზოგიერთი ძალიან ტვინი რომ ამბობს — ცემა ველურობის ნიშანიაო... ქალს შეურაცხყოფა მიაყენაო და გირგვლიანი ამის გამო მოკლეს, ქალის ინტერესი დაიცვეს, ბიჭებმა... რაც და როგორც მიუსაჯეს იმათ და როგორც მოიხადეს ვიცით, ხომ? აი, ეს დაივიწყა ნაროდმა და ახლა წიწინებენ თურმე არაკაცური ყოფილა ხელის შებრუნება..

ახალი ეროვნული მოძრაობის სულის ჩამდგმელი და მთავარი იდეოლოგი ჩხუბის დროს რესტორნიდან გაიპარა? არა, მართალია, ეს ამბავი თუ მორიგ პოლიტიკურ ცილისმწამებლურ და ახალი ეროვნული სულის ჩასახშობ ამბავს უვრცელებენ მარად წამებულ ოჯახურ წყვილს? თაკო გარბოდა წინ თუ ვინმე სხვა?

„ნერონის ცხენი“, „დამსხდარი ზვიგენები“ და “ცოცხიანი პროქტოლოგი”!! წარმოადგინეთ ახლა, ამას რომ 5 ენაზე გაუკეთებს ტირაჟირებას! არ შეიძლება, რომ პირი მოკუმოს (ან სკოჩი გადავაკრათ) და მხოლოდ ვუყუროთ? ჩარლი ჩაპლინი უსიტყვოდაც აცინებდა ხალხს! ეგება, ამასაც გამოუვიდეს, ნიჭიერია, ოხერი!

როგორც ყოველთვის, სურენა იტყუება. მოტყდა რესტორნიდან და ის 22 ქათამი, რომელიც მან დატოვა, 2 ჟურნალისტმა გაძუყნა.

აბაა, როგორ ხართ ნაც-თახსირებო?! დააჩოქა თუ არა დღეს ყველა ყოფილი ნაც-შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილმა ერთი გელა ხვედელძის დაკავებით????.... ადამიანის პირადი ცხოვრების ხელყოფისა და პირადი ინტიმური ურთიერთობების ამსახველი ერთი კასეტის, ინტერნეტ-სივრცეში განთავსებისთვის, ირაკლი ღარიბაშვილმა თავისი პირველი მოადგილე გელა ხვედელიძე დააკავა, მიხეილ სააკაშვილი კი მსგავსი ქმედებებისთვის, ვანო მერაბიშვილის სპეცდანაყოფების სოდის და კუდის თანამშრომლებს ფინანსურადაც და ღირსების ორდენებითაც აჯილდოვებდა. მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დროს რაც იყო წახალისებული, ის ამ ხელისუფლების პირობებში სასტიკად დასჯადი იქნება. აი, ეს განსხვავებაა მიხეილ სააკაშვილის რეჟიმსა და ახალ ხელისუფლებას შორის! გაიგეთ, ხომ, იდიოტებო?!

ნაციონალებს ქეიფის მერე ითვლიანო. :))

# ბავშვის ცრემლიდან დანახული საქართველო

ვახტანგ ხარჩილავა

... ეკრანზე ნახევრად დანგრეული პატარა ქოხი. იატაკზე წვიმის გუბეები, ფანჯრებზე მინის ნაცვლად ცელოფანია აკრული. კედლის გასწვრივ გრძელი ტახტი, უფრო ზუსტად, გრძელი ნარია მიგმული.

აი, ამ ნარზე ექვს ბავშვს სძინავს...

ეს ოჯახი ექვს ქართველს უზრდის სამშობლოს, თუმცა ეს ამბავი, როგორც ჩანს, ნაკლებად აინტერესებს, უფრო ზუსტად, სულაც არ აინტერესებს პატივცემულ სამშობლოს.

ეს ოჯახი ექვს ქართველს უზრდის სამშობლოს-მეთქი, ვთქვი და მივხვდი, რომ ეს ფრაზა ძალზე მაღალფარდოვნად და პათეტიკურად, შეიძლება ითქვას, ყალბადაც კი ჟღერს, იმდენად არის იგი ამოვარდნილი დროის კონტექსტიდან.

**სამშობლო — დავიწყებული დიადი სიტყვა, თანდათან კარგავს ხიბლს და მაგიურ ძალას.**

**თანდათან იკარგება და წყდება კავშირი სამშობლოსა და ადამიანებს შორის — თითქოს სამშობლო კი არა, უსახლკაროთა თავშესაფარია, სადაც შეიძლება, დროებით გადაიღამო, ხვალ და ზეგ კი სხვა თავშესაფრის საძებნელად გაეშურო.**

... ქოხის წინ ამ ექვსი ბავშვის მშობლები დგანან და ჟურნალისტის კითხვებს პასუხობენ.

ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან — 40-45 წლისანი, მაგრამ მოტეხილები და შემკრთალნი.

დაბნეულები ჩანან, რაღაცნაირად დამორცხვებულები და ფერმკრთალნი.

— ღმერთმა გვაჩუქა ეს ბავშვები... პირველი სამი წელი შვილი არ გვეძლეოდა, მერე კი ერთმანეთს ექვსი მიჰყვა — ჯერ სულ გოგოები, ბოლოს კი ორი ბიჭი... ძალიან გვიჭირს, მაგრამ რა ვქნათ, უნდა გავუძლოთ... ღმერთმა გვაჩუქა ეს ბავშვები და ღმერთი არ მიგვატოვებს, — ამბობს დედა და მკერდზე მიხუტებულ ნაბოლარას თავშალს აფარებს.

მამა თავდახრილი, თითქოს თავისთვის ჰყვება სხვა დროს და სხვაგან უამრავჯერ გაგონილ სევდიან ისტორიას, რომ თბილისში ბინა ჰქონდა, მერე ბიზნესი წამოიწყო და ბინა ბანკში დააგირავა, მაგრამ საქმე ჩაუვარდა და ბინა ბანკმა გაუყიდა.

ახლა დადის და სამუშაოს ეძებს, მაგრამ ამაოდ — დაპირების იქით საქმე არ მიდის, ოჯახს კი შენახვა უნდა.

— სახელმწიფო არ გეხმარებათ? — ეკითხება ჟურნალისტი გოგონა.

როგორც ირკვევა, ეხმარება თურმე — ერთ ბავშვზე თვეში 30 ლარს უხდის. (ახლა ეს თანხა, მგონი, გაიზარდა).

როგორც გითხარით, ორივენი დათრგუნულნი ჩანან — თითქოს რაღაც დანაშაული ჩაედინოთ და ახლა თავი უნდა იმართლონ.

მათ იციან: — როცა ეს კადრები ტელევიზიით გავა, მაყურებლებიდან ბევრმა შეიძლება უსაყვედუროს — თუ რჩენის თავი არ გქონდათ, ამდენ ბავშვს რატომ აჩენდით ან ვისი იმედით აჩენდითო?

მათ მსგავსი საყვედური ბევრჯერ მოუსმენიათ ჩინოვნიკების კაბინეტებში, სხვადასხვა ორგანიზაციებში, მოუსმენიათ ნაცნობებისგან და უცნობებისგან, მოუსმენიათ ახლობლებისგანაც.

მართალია, ამ საყვედურს ქალბატონმა პასუხი გასცა, როცა თქვა: — ღმერთმა გვაჩუქა ეს ბავშვებიო, მაგრამ ამ სიტყვების შინაარსიც და მათი მნიშვნელობა, ბევრ ქართველს, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან, ბოლომდე მაინც არ ესმით.

ისე, როგორც არ ესმის მათ სამშობლოს — ქართულ სახელმწიფოს, რომელიც ისე დააყვედრებს ამ ბავშვს — მათხოვრულ 30 ლარს, თითქოს დიიიდი დახმარება გაეწიოს.

* * *

— აბორტზე სანქციები უნდა გამკაცრდესო, — თქვა პატრიარქმა და ეს თემა მყისვე დიდი დისკუსიის და აზრთა შეჯახების საგნად იქცა.

ბევრი საინტერესო აზრი გამოითქვა ამ დისკუსიების დროს, ბევრი საგულისხმო არგუმენტი გაჟღერდა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, არავის დასცდენია სიტყვა იმის შესახებ, რომ მართლმადიდებლობა კატეგორიულად კრძალავს მშობიარობის ხელოვნურად შეწყვეტას, როგორც უმძიმეს ცოდვას.

როგორც ჩანს, ამ დისკუსიებში მონაწილე საერო საზოგადოების წარმომადგენელთათვის, რწმენა და რელიგია არგუმენტი არ არის.



არადა, როგორც ვთქვით, ქართველები მართლმადიდებელი ერი ვართ და თუ მართლაც ჭეშმარიტად მართლმადიდებლები ვართ, ეს საკითხი საერთოდ არ უნდა იდგეს დღის წესრიგში.

არ უნდა იდგეს, მაგრამ, როგორც ხედავთ, დგას და თანაც როგორი სიმწვავით და სიმძაფრით, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ორმაგი სტანდარტით ვცხოვრობთ.

დიდი ფარისევლობის ჟამი დგას საქართველოში, ფარისევლობა კი ურწმუნოებასა და ურჯულოებაზე უარესია...

**აი, ის ქალბატონი, ის ექვსი შვილის დედა, დამნაშავესავით თავდახრილი რომ დგას ჩვენს წინ, ცუდად ჩაცმული, შიმშილისაგან გაცრეცილი, ნაადრევად დანაოჭებული სახით, აი, ის ქალბატონია სწორედ ღვთისნიერი, ღვთის მორჩილი, ღვთის ნების აღმსრულებელი, ჩვენ კი მაძღრები და გაფუჟულები, იმის ნაცვლად, რომ მის წინ ვიჩოქებდეთ და კალთაზე ვეამბორებოდეთ, ზემოდან დავყურებთ და ვსაყვედურობთ: — ამდენ შვილს რას აჩენდი, თუ რჩენა არ შეგეძლოო.**

რიგით მოქალაქეებს რომ თავი დავანებოთ, ქართული სახელმწიფოც კი ზემოდან დაჰყურებს ამ ქალბატონს და მისნაირებს, 30 თუ 60 ლარს გადმოუგდებს თითო შვილზე და თვლის, რომ ვალი მოიხადა და პასუხისმგებლობაც ამით მოიხსნა.



— სახელმწიფო მეწველი ძროხა ხომ არ გგონიათ თქვენ? ისეთი ტონით იკითხა „თეთრი ბაირაღების“ ერთმა კრიმინალური მენტალიტეტის პერსონაჟმა, რომ საკანში მსხდომებს სახელმწიფო შეეცოდათ.

ამ რიტორიკულ კითხვას ახლაც ბევრი უსვამს საქართველოს მოქალაქეებს, განსაკუთრებით ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული საზოგადოებიდან.

არ ვიცი, მოქალაქეებს რას ფიქრობენ, მაგრამ გონივრული ეჭვი მაქვს, რომ ჩინოვნიკურ დიდკაცობას მართლაც მეწველი ძროხა ჰგონია სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ თვითონ უნდა წველონ.

უპოვართათვის და ქვრივ-ობლებისთვის აქვს გამშრალი ჯიქანი ამ საბრალო ძროხას, თორემ წინა თუ ახალი თაობის ჩინოვნიკურ-პოლიტიკური ელიტისთვის შესანიშნავად იწველება...

* * *

ცხადია, აბორტზე სანქციები უნდა გამკაცრდეს, მაგრამ რა ვუყოთ იმ ბავშვებს, რომლებიც უკვე დაიბადნენ.

რას ეუბნება ქართული სახელმწიფო იმ მშობლებს, რომლებმაც არა მკაცრი კანონის შიშით, არამედ შინაგანი ხმისა და რწმენის კარნახით უარი თქვეს აბორტზე და 4, 5, 6, 7, 8 შვილი ჰყავთ?

რას ეუბნება და სანუგეშოს და დამაიმედებელს — არაფერს!

არადა, სანქციების გამკაცრებაში კი არა სახელმწიფოს პასუხში, ბავშვებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისადმი მის დამოკიდებულებაში დევს იმ შემაკავებელი ფაქტორი, რომელმაც ხელი უნდა აალებინოს ადამიანს ახლად ჩასახული სიცოცხლის მოკვდინებაზე.

— ადამიანი — ეს ამაყად ჟღერს! — ეს სიტყვები ძალიან მკაცრ და სასტიკ დროში ითქვა. ითქვა, როგორც გაფრთხილება, როგორც შეხსენება იმისა, რომ ამ სამყაროში მთავარი ღირებულება, მთავარი ფასეულობა ადამიანია.

ჟღერს თუ არა თანამედროვე საქართველოში ადამიანი ამაყად!

არა, არ ჟღერს!

ყოველ შემთხვევაში, ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ადამიანი ამაყად კი არა, საბრალოდ და საცოდავად ჟღერდა, რომელსაც, შეგიძლია, როგორც გინდა, ისე მოექცე — გალახო, დაჩაგრო, დილეგში ჩააგდო მოკლა, ცოცხებით და რეზინის ხელკეტებით გააუპატიურო, დაამშიო, დააბეჩავო.

არ ვიცი, როგორ იჟღერებს სიტყვა ადამიანი 1 ოქტომბრის შემდეგ მოსული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, თუმცა ჯერჯერობით რევოლუციური გარღვევები ამ მიმართულებით არ იგრძნობა.

სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლება წინამორბედისგან დატოვებული ძველი სისტემის გადალებვა-შეფერადებით უფროა დაკავებული, ვიდრე ამ მახინჯი სისტემის ძირფესვიანი დემონტაჟით.

* * *

დღეს ბევრისგან გალანძღულ იმ ცუდ პერიოდში, რომელსაც საბჭოთა პერიოდი ერქვა, ასეთი წოდება არსებობდა — გმირი დედა.

გმირი დედის წოდებას მრავალშვილიან ქალბატონებს ანიჭებდნენ და ისინი სახელმწიფოსგან სერიოზული შეღავათებით სარგებლობდნენ.

ამას წინათ ტელევიზიით აჩვენეს შემაძრწუნებელი სიუჟეტი, თუ როგორ ცხოვრობს მიტოვებულ მატარებლის ვაგონში ოჯახი, სადაც ხუთი ბავშვი იზრდება.

**გმირი დედაა ამ ხუთი შვილის დედა და გმირობისთვის მატარებლის ვაგონში ცხოვრებით ისჯება.**

**სხვა გმირი დედები სხვა ფორმით და სხვანაირად ისჯებიან...**

ისეთ რა ადგილას დგას ის ვაგონი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის თუ სახელმწიფო სტრუქტურების ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ ნახა და ვერ შეამჩნია?

**მიუხედავად იმისა, რომ, როგორც გაეროშ გვახარა, მილევადი, გადაშენების პირას მდგარი ერი ვართ, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანს, თითოეულ ბავშვს ქართული სახელმწიფო თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს, ის კი ვაგონში შეყრილ ხუთ ბავშვს ვერ ამჩნევს, ისევე როგორც ვერ ამჩნევს ათასობით სხვა ბავშვს, რომლებსაც დუხჭირი ყოფის გამო გაუხარელი და სევდიანი ბავშვობა აქვთ.**

მაინც რამდენი არიან ისინი — მრავალშვილიანი ოჯახები?

ნუთუ იმდენად ბევრია, რომ სახელმწიფო უძლურია მათი პრობლემები მოაგვაროს?

არა მგონია, მიზეზი ეს იყოს...

მიზეზი უფრო უგულისყურობაშია, ალბათ...

უგულისყურობა ისაა, გული რომ გაქვს, მაგრამ ამ გულს სხვისი გასაჭირის დანახვა და სხვისი სასოწარკვეთილი ხმის გაგება რომ არ შეუძლია...

* * *

დღეს საქართველოში ძალიან ბევრი ეკლესია შენდება.

უამრავი სარეკლამო რგოლი ტრიალებს ტელეკრანზე — დარე-

კეთ „მაგთიდან“, „ბანიდან“, „ჯეოსელიდან“ და შეეწიეთ ამა და ამ ეკლესიის მშენებლობას. ზარის ღირებულება 1 ლარი ქველმოქმედებისკენ მოგვიწოდებენ ერთმანეთს მიყოლებული სარეკლამო რგოლები.

ეს ძალიან კარგია, მაგრამ **ცუდი ის არის, რომ ჯერ არც ერთი სარეკლამო რგოლი არ მინახავს, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, თუნდაც უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანებისთვის საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას რომ გვაუწყებდეს და მოქალაქეებს თანადგომას რომ სთხოვდეს.**

განა ასეთი კორპუსის აშენება ეკლესიის აშენებაზე ნაკლებ ღვთიური და მადლიანი საქმე იქნება?

ლოცვა ღია ცის ქვეშაც შეიძლება, მაგრამ ადამიანები ღია ცის ქვეშ ვერ იცხოვრებენ, მით უმეტეს ბავშვები...

საქართველოში უამრავი სამშენებლო კომპანიაა.

რატომ არ შეიძლება ამ კომპანიებმა მოილაპარაკონ და თუნდაც ერთი სახლი ააშენონ უსახლკაროთათვის, უპოვართათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის.

თბილისის მერია მილიონებს ისვრის აქეთ-იქით, მაგრამ ერთი მუნიციპალური შენობის აშენება უბინაოთათვის აზრადაც არ მოსვლია.

უამრავი რაღაცის მოფიქრება შეიძლება, უამრავი რაღაცის გაკეთება შეიძლება, უგულისყურობა და გულგრილობა რომ არ გვჭირდეს.

რევაზ კვერენჩხილაძე იგონებს: გოგლა ლეონიძე თავისი ხელფასიდან ყოველივე 20 მანეთს უხდიდა ერთ გაჭირვებულ ოჯახს.

რამდენი ქართველი ცხოვრობს დღეს საქართველოში, გოგლა ლეონიძეზე ათასჯერ მეტი ფული და შეძლება რომ აქვს, მაგრამ მსგავსი რაღაცის გაკეთებაზე არც უფიქრია.

კეთილი შურით მშურს იმ ქვეყნებისა, სადაც ქველმოქმედება ასე თუ ისე შეძლებული ყველა მოქალაქისთვის სავალდებულო ნორმა და ცხოვრების წესია.

გასული საუკუნის ბოლოს საქართველოში იყო. მცდელობა ქველმოქმედება საკანონმდებლო აქტებით გაემაგრებინათ და ქველმოქმედი ქველმოქმედების სანაცვლოდ გარკვეული საგადასახადო შეღავათებით წაეხალისებინათ.

არაფერი არ გამოვიდა აქედან — ვიღაც-ვიღაცებმა სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული საგადასახადო შეღავათები ფულის კეთების საშუალებად აქციეს და ეს ამბავიც ამით დამთავრდა.

დღეს რაღაც ახალია მოსაფიქრებელი და გასაკეთებელი. თორემ ამდენი გაჭირვების, ამდენი ცრემლის გულგრილად ყურება დანაშაულია.

**ბავშვის ცრემლიდან დანახული საქართველო — პირქუში, გულცივი, გულგრილი — აუცილებლად უნდა შეიცვალოს და დიდი სიკეთის სინათლით უნდა გასხივოსნდეს...**

# სკანდალი მეცნიერებათა აკადემიაში

*ცოტა ხნის წინ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) ასარჩევად არჩევნები ჩატარდა. მიღებულმა შედეგებმა კანდიდატების დიდი ნაწილი იმ მანკიერების ბუნაგზე აალაპარაკა, რაც უკვე წლებია მეცნიერებათა აკადემიაში სუფევს. საარჩევნო სისტემის მანკიერ ფორმებზე ერთ-ერთმა კანდიდატმა ღია წერილით მთავრობასაც მიმართა. წევრობის პრეტენდენტის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი წესით მისი სამეცნიერო შედეგების საერთაშორისო აღიარების დონე და სამეცნიერო ავტორიტეტი უნდა იყოს, თუმცა მეცნიერებათა აკადემიაში პირიქით ხდება. კერძოდ, სამეცნიერო კრიტერიუმები იგნორირებულია და კანდიდატები პირადი სიმპათიებით ირჩევიან. ამჯერად მკითხველის ყურადღებას, ძირითადად საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაზე გავამახვილებთ, კერძოდ საქართველოსა და აღმოსავლური ქვეყნების ისტორიაზე, სადაც ადგილი*



# „ვივა, აკადემია! ვავა, პროფესორე!“

*საერთოდ ჩავარდა. კანდიდატების ნაწილი საარჩევნო კომისიის, რომლის შემადგენლობაში ბევრი ღირსეული აკადემიკოსია, დამოკიდებულებამ აღაშფოთა. არჩევნებში მონაწილენი საარჩევნო სისტემის მიმართ უკმაყოფილებას არ მალავენ და მომავალ არჩევნებში არცერთი მათგანი განაცხადის შეტანას აღარ აპირებს. აღნიშნულ ადგილზე, რომელიც გაურკვეველი მიზეზების გამო ჩავარდა, ოთხი კანდიდატი იყრიდა კენჭს — ელდარ ნადირაძე, ნოდარ შენგელია, გოჩა ჯაფარიძე და ნოდარ ლომოური. ვითარების გასარკვევად „საერთო გაზეთი“ მათ დაუკავშირდა:*

**ნოდარ შენგელია**: როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ აკადემიკოსების ასარჩევ ერთ-ერთ კანდიდატად მიმიწვია, ჩემი ნაშრომები წარვადგინე — მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. 20 წუთიანი მოხსენებით გამოვედი, ვისაუბრე, იმის შესახებ, რაც ჩემი ცხოვრების მანძილზე მეცნიერებაში თურქოლოგიასა და ოსმანისტიკაში გავაკეთე. 1977-79 წლებში ბულგარეთში ვიყავი, სადაც საქართველოს შესახებ მოვიძიე დიდი რაოდენობით ოსმალური დოკუმენტური წყაროები და აქ ჩამოვიტანე. 1997-99 წლებში თურქეთში, სტამბოლისა და ანკარის არქივ-საცავებში ვიყავი, სადაც საქართველოს შესახებ უნიკალური დოკუმენტური მასალა მოვიპოვე. მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს — სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში წელიწადნახევარი გავატარე. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია თოფკაფის სასახლის არქივი, სადაც საკმაოდ დიდი დრო დავყავი. ხშირად დავდიოდი სულეიმანის არქივშიც. საქართველოში რამოდენიმე ათასი დოკუმენტი ჩამოვიტანე. სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივში ერთი კედელია, სადაც 300-ამდე ტომია, სადაც მოთხრობილია ყოველდღიური ისტორია, ის, რაც ქართლის ცხოვრებაში არ არის. 300-მდე ტომს გადავხედე, თითო ტომი დაახლოებით, ორი ათასი გვერდისგან შედგება, რისი დამუშავებაც ძალიან დიდ ცოდნას მოითხოვს. რაზეც ხელი მიმიწვდა, ყველა დოკუმენტი საქართველოში ჩამოვიტანე. ამის გასაშიფრად სპარსულისა და არაბულის კარგი ცოდნაა საჭირო. თანამედროვე თურქული, ამ საქმეში, საერთოდ არ გამოდგება. ამ საქმის მცოდნე საქართველოში თითქმის არ გვყავს. მხოლოდ ერთი ბათუმელი ბიჭი — ჩემი მოწაფე, რომელიც თურქეთში მახლდა, ამ ყველაფერში ერკვევა. საიდუმლო კოდების გაშიფვრა ძალიან ძნელია, რაც მხოლოდ მე ვიცი. არის კიდევ ერთი ისტორიკოსი ცისანა აბულაძე, თუმცა იგი ამ კოდებიდან ბევრ რამეს ვერ კითხულობს. ამის ცოდნას ყოველდღიური, შრომატევადი მუშაობა სჭირდება. აკადემიაში ჩემი ნაშრომების მიხედვით ანგარიში გავაკეთე. ასევე, ჩემთან ერთად მოხსენება გააკეთა გოჩა ჯაფარიძემ. ელდარ ნადირაძეს და ნოდარ ლომოურს მოხსენება საერთოდ არ გაუკეთებიათ, ისინი არც კი მოსულან. ლევან ალექსიძემ აღნიშნა, რომ კონკურსანტებს შორის ყველაზე კარგი ჩემი მოხსენება იყო. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში — საქართველოსა და აღმოსავლური ქვეყნების ისტორიაში ვიყავი წარდგენილი. ფაქტობრივად, ოთხი კანდიდატიდან, მხოლოდ ორი — მე და გოჩა ჯაფარიძე ვიყავით დარგის სპეციალისტები. გამოქვეყნებული მაქვს ათასამდე დოკუმენტი. იმედი მქონდა, რომ ამირჩევდნენ. წარვადგინე — 14 მონოგრაფია და 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მძიმე ავადმყოფობის — ინსულტის გადატანის გამო მარჯვენა ხელს ველარ ვხმარობ და ქართულ, თურქულ, სპარსულ და არაბულ საბეჭდ მანქანებზე მარცხენა ხელით მიხდება მუშაობა. საიდუმლო კოდები დედნიდან სულ მარცხენა ხელით მაქვს გაშიფრული და გადაბეჭდილი. დედნიდან გაშიფრული მაქვს არაბულად, შემდეგ ლათინურად და ლათინურიდან ქართულად. ეს ჩემს გარდა არავინ იცის, ჩემი მოწაფისა და იმ ქალბატონის გარდა, ვინც ზემოთ ვახსენე. ფირმანების ლათინური ტრანსკრიფცია, რაც მე გადმოთარგმნილი მაქვს საერთოდ ბუნებაში არ არსებობს. არსებობს არაბული ტრანსკრიფცია. ის, რაც მე მაქვს გაკეთებული თურქოლოგიაში არასდროს არავის გაუკეთებია — ლათინური და მერე ქართული თარგმანი, პირველად მე გავაკეთე. არც ევროპაში, არც თურქეთში ეს არავის გაუკეთებია.

**— რა მოხდა რეალურად, როგორ ჩატარდა არჩევნები?**

— ვიცი, რომ დიდი ბრძოლა გაიმართა. არჩევნების დღეს ჩვენი იქ ყოფნა აუცილებელი არ იყო. არჩევნების დასრულებიდან ორი საათის მერე გავიგე, რომ ამ დარგში — საქართველოს და აღმოსავლური ქვეყნების ისტორიაში — ადგილი საერთოდ გაუქმდა. ეს ხმების გაყოფამ განაპირობა. გამსვლელი 5 ხმა იყო. კომისიაში სულ 8 წევრი იყო, კანდიდატები კი — ოთხი. ადგილის გაუქმება, ვფიქრობ, დიდი შეცდომაა. ასევე, გაუქმდა ადგილი ბიოლოგიის დარგშიც.

**— როცა ხმები იყოფა, წესით ხომ მეორე ტური უნდა დაინიშნოს?**

— დიახ, მაგრამ არ ვიცი, რატომ არ დაინიშნა. ვფიქრობ, თავად საარჩევნო სისტემა ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. აკადემიის დაარსების დღიდან გრძელდება ის, რომ ვინც წინასწარ ჩააწყობს, ადგილიც მისია. ასევე, არასწორია ის, რომ ზოგ დარგში მხოლოდ ერთი ადამიანია დასახელებული, რაც კონკურენციას გამორიცხავს და თავისთავად ცხადია, რომ ეს ადგილი უკვე წინასწარ მისთვისაა განსაზღვრული.

**— საქართველოსა და აღმოსავლური ქვეყნების ისტორიის გაერთიანება რამდენად სწორია?**

— არაა სწორი. მაგალითად, ჩვენ ოთხიდან ერთ-ერთ კონკურსანტს ელდარ ნადირაძეს, რომელიც ეთნოგრაფია, ამ დარგთან შეხება არ აქვს.

**— როგორ ფიქრობთ, შეფასებისას რა კრიტერიუმებს ექცევა ყურადღება. იმ ფონზე, როცა მხოლოდ თქვენ ამდენი ნაშრომი გქონდათ წარდგენილი, ადგილი როგორ ჩავარდა?**

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში კრიტერიუმი არ არსებობს. არჩევა მხოლოდ იმის მიხედვით ხდება, თუ ვისი გაყვანა უნდათ. ანუ კომისიის წევრების სურვილის მიხედვით ხდება არჩევა და არა ნაშრომების. სამწუხაროდ, ამას ყურადღება არ ექცევა. საზომი არაა ის, თუ ვის უფრო მეტი ნაშრომი, მონოგრაფია აქვს წარდგენილი.

**— აბა, მაშინ რაღა საჭიროა მონოგრაფიების წარდგენა, რისთვის ითხოვენ ამას?**

— ამაშია საქმე. ნაშრომებს, მონოგრაფიებს ყურადღებას არავინ აქცევს.

**— რაც შეეხება ციტირების ინდექსს, რითაც სამეცნიერო ნაშრომის ხარისხი იზომება, თუ მიექცა ყურადღება?**

— შემიძლია რამოდენიმე ასეული ციტირება მოვიყვანო, რომელიც ჩემი ნაშრომებიდან გამოყენებულია, მაგრამ აკადემიაში ეს არ მოუთხოვიათ. როგორც გითხარით, არჩევისას მთავარი პირადი სიმპათიები იყო და არა ის, თუ ვის რა ღვაწლი მიუძღვის დარგის განვითარებაში. უცხოეთშიც ძალიან ბევრს აქვს გამოყენებული ჩემი ციტატები. დღეს განმსაზღვრელი კრიტერიუმები, თუ რატომ უნდა აგირჩიონ. აკადემიკოსად, არ არსებობს.

**— თქვენ ახსენეთ, თავად სისტემაა შესაცვლელიო. უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ, რა არ მოგწონთ ამ სისტემიდან და რა არის შესაცვლელი?**

— არჩევნების წესიდან დაწყებული ყველაფერი შესაცვლელია. ძალიან ბევრი ადამიანი არ უნდა მოდიოდეს ერთ ადგილზე, წინასწარ უნდა მოხდეს კანდიდატების გაცხრილვა, მათი ხარისხი უნდა დადგინდეს, ესაა მთავარი. გარდა ამისა, ერთ კომისიის წევრს არ უნდა შეეძლოს რამდენიმე კანდიდატისთვის ხმის მიცემა. ეს არაა სამართლიანი მიდგომა. სუბიექტური დამოკიდებულება კანდიდატებისადმი უნდა მოისპოს.

**ნოდარ ლომოური**:

**— ბატონო ნოდარ, მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნებზე დარგი, სადაც თქვენ წარდგენილი იყავით, საერთოდ ჩავარდა. რას უკავშირებთ ამას?**

— აბა, რა გითხრათ, ვერაფერს გეტყვით. ვინც წარმადგინა — ორმა ადამიანმა, მათ მომცეს ხმა. დანარჩენმა კანდიდატებმაც ორი-ორი ხმა მიიღეს, ანუ ხმები განაწილდა. ვინც დამპირდა გაგიყვანო, არ შემისრულა.

**— თქვენ ვინ წარგადგინათ?**

— ოთარ ჯაფარიძემ და დათუნა მუსხელიშვილმა. ხმები გაიყო და გამსვლელი ხმა ვერავინ მიიღო.

**— მეორე ტური თუ ჩატარდა?**



— არა. ასე გვითხრეს, არ ჩატარდებაო. თვითონ სისტემის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ოღონდ, ზოგიერთ შემთხვევაში, პირადული განწყობა ძალიან მიკერძოებულია, რასაც მგონი, არაფერი ეშველება.

**— რა კრიტერიუმებს მიექცა ყურადღება ამ არჩევნებში?**

10 gv.

# „ვივა, აკადემია! ვავა, პროფესორე!“

9 gv.

— წესით, ყურადღება ვითომ შემდეგ კრიტერიუმებს მიექცა: კონკრეტულად, მეცნიერულ დამსახურებას, ნაშრომების სიას, გამოცხადებულ დარგთან შესაფერისობას. ამ თვალსაზრისით, ყველა კრიტერიუმს ვაკმაყოფილებდი. წარვადგინე ნაშრომების სია, რომლშიც 180 მეცნიერული ნაშრომი შედის. იქ მივიტანე მთავარი ნაშრომები, დაახლოებით — 30.

**— ამ ნაშრომებმა კომისიის წევრები — როინ მეტრეველი, მარიკა ლორთქიფანიძე, ლევან ალექსიძე და სხვები არ დააკმაყოფილა, თუ რატომ ვერ მიიღეთ სათანადო მხარდაჭერა?**

— ვერ გეტყვით. თითქოს ყველანი შეპირებულნი იყვნენ ჩემს გაყვანას, მათ შორის, თქვენს მიერ დასახელებული პირებიც, მაგრამ საბოლოოდ ხმა არ მომცეს.

**— რაც შეეხება, თქვენს კონკურენტებს, რას გვეტყვით მათ თაობაზე?**

— ჩემს კონკურენტებში ყველაზე ღირსეულად ნოდარ შენგელიას ვთვლი. შემდეგ გოჩა ჯაფარიძეს, თუმცა იგი დიდი მეცნიერი არ არის, მაგრამ მაინც საზოგადო მოღვაწეა. რაც შეეხება ელდარ ნადირაძეს, მასზე ძალიან დაბალი აზრის ვარ. მას, როგორც მეცნიერს არაფრით გამოუჩენია თავი.

აკადემიაში დიდი არეულობაა, ვერაფერს გეტყვით.

**— ბატონო ნოდარ, როგორც ამბობენ ოთხი კანდიდატიდან მხოლოდ ორი იყო სპეციალისტი...**

— მე ბიზანტინისტი ვარ და ეს აღმოსავლურობასაც ნიშნავს.

**— აკადემიაში არეულობააო რომ ახსენეთ, რას გულისხმობთ?**

— იცით რა, ერთმანეთს რაღაცებს აბრალებენ, ინსტიტუტების დირექტორები დამოუკიდებლობას მოითხოვენ. ნოდარ შენგელია ნამდვილად ღირსეული კანდიდატი იყო, მაგრამ ჩემი ყოფილი სტუდენტია და არ უნდა დამპირისპირებოდა. სამივე კონკურენტი ჩემი ყოფილი სტუდენტები არიან და არ უნდა დამპირისპირებოდნენ. კარგით, დავანებოთ ამ ყველაფერს თავი. აუცილებელი არაა ყველა აკადემიკოსი იყოს. აწი კიდეც, რომ გამოცხადდეს კონკურსი, განაცხადს აღარ შევიტან.

**გოჩა ჯაფარიძე:** სამმა კაცმა ორ-ორი ქულა მიიღო, მარტო მე მივიღე სამი ხმა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და ადგილი ჩავარდა. განმსაზღვრელი კრიტერიუმი იყო აკადემიური მხარე, თუ ვინ რა გააკეთა მეცნიერებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ გამიხარდებოდა თუ ამირჩევდნენ, არ ამირჩიეს. რა ვქნა?! რომ არ ჩამეთვალა აკადემიის ნამდვილ წევრობას ვიმსახურებდი, მაშინ ხომ არ შევიტანდი საბუთებს?! ადგილი ერთი იყო, მსურველი ბევრი. ასეთი დიდი კონკურსი საზოგადოებრივი მეცნიერების არცერთ განყოფილებაში არ ყოფილა. კონკურენტები — ნოდარ ლომოურიც და ნოდარ შენგელიაც ქართული ისტორიოგრაფიის ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ.



**— ელდარ ნადირაძეც ხომ თქვენი კონკურენტი იყო. მას არ მიიჩნევდით ღირსეულად?**

— ელდარ ნადირაძე არ ჯდება საქართველოსა და აღმოსავლური ქვეყნების ისტორიის დარგში. ნადირაძემ ორი ხმა მიიღო, მაგრამ ორ-ორი ხმა მიიღო ასევე ნოდარ ლომოურმა და ნოდარ შენგელიამ, რომელსაც მრავალი წერილი აქვს გამოქვეყნებული. ნოდარ ლომოური ცნობილი ისტორიკოსია. მე შეიძლება არ ვიყო ისეთი ცნობილი, ამდენი წიგნი არ მაქვს გამოქვყნებული, მაგრამ საკმაოდ მაქვს ნამუშევარი. 117 ნაშრომი წარვადგინე.

**— თქვენ წინა არჩევნებშიც იღებდით მონაწილეობას. მაშინ რატომ ვერ გახვედით?**

— საშინელი კონკურსი იყო, ორ ადგილზე 22 კაცი მოდიოდა. დამატებითში არ გამიმართლა და წავაგე. ასე ხდება, ამის გამო კაცმა ხარაკირი არ უნდა გაიკეთოს.

**— როგორ ფიქრობთ, ეს პრობლემა — დარგის ჩავარდნა რამ განაპირობა?**

— პრობლემა ისაა, რომ ოთხი კაცი ვიყავით, აქედან პროფილით — სამი, კიდევ უფრო თუ დავავიწროვებთ — ორი. ერთი ადგილი ცოტა იყო ოთხი ადამიანისთვის. ასე ხდება. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა მესამე ცდაზეც ვერ გაუმარჯვია კანდიდატს. უკვე, ორჯერ ვცადე ბედი და მესამეჯერ ნამდვილად აღარ ვაპირებ.

შევეცადე ღირსეული კანდიდატებისთვის ღირსეული კონკურენცია გამეწია, მაგრამ ცდა ცდად დარჩა. 42 წელი ახლო აღმოსავლეთში დავდიოდი, 16 წელი კი ვიცხოვრე. რამდენიმე ქვეყანას უკეთ ვიცნობ, ვიდრე საქართველოს. როცა დიპლომატიურ სამსახურში ვიყავი, შრომებს ყოველწლიურად ვაქვეყნებდი. ნოდარ შენგელიას და ჩემს მასწავლებელს — ნოდარ ლომოურს უამრავი შრომები აქვთ. ვთვლი, რომ ადგილი არ უნდა გაფუჭებულიყო. მოგვთხოვეს 50 ნაშრომზე მეტი არ წარგვედგინა და პატიოსნად მეც და ნოდარ ლომოურმაც 50 ნაშრომი მივიტანეთ. სხვამ შეიძლება მეტი წარადგინა. ვინც გაიმარჯვა, ყველას ვულოცავ.



„საერთო გაზეთი“ ერთ-ერთ კომისიის წევრსაც დაუკავშირდა და არჩევნების თაობაზე მოსაზრება სთხოვა.

**დავით მუსხელიშვილი:**

**— ბატონო დავით, თქვენ კომისიის ერთ-ერთი წევრი ბრძანდებით. რატომ გაუქმდა საქართველოს და აღმოსავლური ქვეყნების ისტორიაში ადგილი?**

— ძალიან სამწუხარო ფაქტი მოხდა. მგონი, ეს გაუგებრობა იყო, წესით ამ დარგში ადგილი არ უნდა ჩავარდნილიყო. ხმები ისე განაწილდა, სამწუხაროდ გამსვლელი ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო. მეორე ტური არ ჩატარდა იმიტომ, რომ ოთხი ხმა, რაც მეორე ტურის დანიშვნისთვის აუცილებელი იყო, ვერცერთმა კანდდატმა ვერ მიიღო. ყველამ ორ-ორი ხმა, მხოლოდ ერთმა — ჯაფარიძემ მიიღო სამი. პირველივე ტურიდან გამსვლელი ხუთი ხმა იყო.

**— რა კრიტერიუმებს აქცევდით ყურადღებას. კანდიდატების ნაწილი აღნიშნავს, რომ ისეთი არჩევითი სისტემაა, კომისიის წევრებს ვინც სურთ, ის გაჰყავთ.**

— პირველ რიგში, მეცნიერულ დონეს, მეცნიერის ავტორიტეტს, პროფესიონალიზმს ვაქცევთ ყურადღებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ დარგში ოთხი კანდიდატი იყო, ყველა ღირსეული და ყველას დაახლოებით ერთნაირი რეიტინგი ჰქონდა, ანუ ერთი თავით მაღლა მდგომი არცერთი არ იყო. ამიტომაც მოხდა ეს უბედურება.

**— ეს გარკვეულწილად სისტემის ნაკლიც ხომ არაა?**

— სხვა სისტემის შემუშავება, ძნელია. ასეთი აზრიც არსებობდა — შეიძლება სწორი არაა, როცა კანდიდატს აკადემიკოსი ადგენს. იმიტომ, რომ ერთი ადამიანი, კომისიის რამდენიმე წევრს, ერთდროულად შეუძლია წარადგინოს. მაგალითად, მე წარვადგინე ნანა ხაზარაძე და ჩემთან ერთად იგივე ადამიანი წარადგინა მარიკა ლორთქიფანიძემ და ოთარ ჯაფარიძემ. ანუ იგი სამმა წარვადგინეთ. როცა წარადგენ, გამორიცხულია ხმა არ მისცე. აი, ასეთი ვითარებაა. ამიტომ გამოითქვა აზრი, წარდგენა მოახდინონ არა აკადემიკოსებმა, არამედ დაწესებულებებმა.

**— ასევე ერთიდაიგივე პირს, შეუძლია რამდენიმე კანდიდატს მისცეს ხმა ხომ? ეს რამდენად სწორია?**

— დიახ, ასეა. თუ სურვილი აქვს, შეუძლია ყველა კანდიდატს დაუჭიროს მხარი, მაგრამ საქმეც ეგეაა — თუ ყველას დაუჭერ მხარს, გამოდის, რომ სინამდვილეში არცერთ მათგანს არ აძლევ ხმას. ამიტომ ასე გამოდის, რომ არც იმ კანდიდატს აძლევ ხმას, ვინც წარადგინე. ეს ხარვეზია, მაგრამ როგორ უნდა გამოსწორდეს ჩემთვის გაუგებარია.

**— ბატონო დავით, რამდენად მართებულია დარგში მხოლოდ ერთი კანდიდატის დასახელება, ეს ხომ ნიშნავს, რომ მისთვის ადგილი წინასწარ გარანტირებულია?**

— დიახ, მაგრამ ვთვლი, რომ ეს სწორია. როცა არჩევნებია, ისეთი კანდიდატები უნდა დასახელდეს, ვინც ღირსეულია. განაცხადის შემოტანა ყველას შეუძლია — არამარტო წევრ.კორ-ს, არამედ ხარისხის არმქონე ადამიანსაც, ესეც უხერხულობაა. ასე შეიძლება ღირსეული დაიჩაგროს და ვინც არ იმსახურებს, მან გაიმარჯვოს.

**— საუბრობენ, რომ არჩევანი პირადი სიმპატიებით კეთდება და არა ნაშრომების მიხედვით.**

— მართალი ბრძანდებით, აი, ამაშია საქმე, შეიძლება ვიღაცაზე ნაწყენი იყო და ხმა ამიტომ არ მისცე, ან შეიძლება მეგობარია და ამის გამო მისცე ხმა და არა იმიტომ, რომ ღირსია. მაგალითად, ჩემი ახალგაზრდობის დროს სულ სხვაგვარად იყო — საქართველოს ისტორია ცალკე იყო გამოყოფილი. ამ დროს შეიძლება ბევრმა კანდიდატმა მიიღოს მონაწილეობა და მათი დიდი ნაწილი ამის ღირსი არ იყოს. ასე, რომ ზოგად წარდგენასაც ნაკლი აქვს. მგონია, რომ მიმართულებების დაკონკრეტება, როგორც ახლა იყო, სწორია. მაგალითად, ზაზა ალექსიძე დიდი ხანია აკადემიკოსობის ღირსია. წინა არჩევნები 12 წლის წინ ჩატარდა. მაშინ ზაზა წარდგენილი იყო, მაგრამ ვერ გავიდა იმიტომ, რომ ვიღაცას პირადი პრეტენზია თუ დამოკიდებულება ჰქონდა.

**— ახლა ახსენეთ ზაზა ალექსიძე დიდი ხნის ღირსია აკადემიკოსი იყოსო. იმ განყოფილებიდან, რომელიც ჩავარდა, დავიჯერო არავინ იყო აკადემიკოსობის ღირსი? სხვათა შორის, ჩემთან საუბრისას ნოდარ ლომოურმა აღნიშნა, რომ გაყვანას დაჰპირდნენ, მაგრამ აღარ შეასრულესო.**

— ამაშია საქმე. დასამალი არაფერი მაქვს — ნოდარ ლომოური, მე და ოთარ ჯაფარიძემ წარვადგინეთ. ამიტომ პრინციპულად, მხოლოდ ნოდარ ლომოურს მივეცი ხმა. ნოდარ ლომოური ჩემი წარდგენილი იყო და უხერხულად ვგრძნობდი თავს სხვისთვისაც მიმეცა ხმა. თორემ, მაგალითად გოჩა ჯაფარიძე ძალიან კარგი მეცნიერია და წინა არჩევნებზე მას მივეცი ხმა. რომ არა ეს უხერხულობა, ახლაც სიამოვნებით მივცემდი ხმას იმიტომ, რომ ღირსია. ასევე ნოდარ შენგელაიასაც. მას ვიცნობ და დიდ პატივს ვცემ. ლომოურს ალბათ, სხვებიც დაჰპირდნენ და ხმა მერე აღარ მისცეს. მე ვიცი, რომ დაჰპირდნენ და მერე აღარ მისცეს ხმა.

*ჩატარებული არჩევნების შედეგად, ორ — ბიოლოგიურ-მეცნერებათა და საზოგადოებრივ-მეცნერებათა განყოფილებებში ადგილბი ჩავარდა. თუმცა, არც სხვა განყოფილებებში ჩატარებულა არჩევენბი სამართლინად. „საერთო გაზეთისთვის“ ფიზიოლოგიის განყოფილების — ნეირო-ფიზიოლოგიაში კანდიდატმა ზაალ კოკაიამ ამ საკითხზე მოკლე კომენტარი გააკეთა.*

**ზაალ კოკაია:**

უკვე 22 წელია შვედეთში ვმუშაობ. ვარ ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ლუნდის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი (**PhD**), ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი, ლუნდის ღეროვანი უჯრედების ცენტრის დირექტორი, ლაბორატორიის გამგე, შვედეთის ღეროვანი უჯრედების და აღდგენითი მედიცინის სტრატეგიული კვლევითი დარგის კოორდინატორი, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო კონსორციუმის ხელმძღვანელი. ამავდროულად ვარ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი და სამედიცინო ფაკულტეტის დოქტორანტებთან ყოველსემესტრულად მიმყავს 2 კურსი, ვხელმძღვანელობ (როგორც მეცნიერი და მენეჯერი) რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ 2 სამეცნიერო პროექტს.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პირადი თხოვნის საფუძველზე მონაწილეობა მივიღე აკადემიის არჩევნებში სპეციალობით "ნეიროფიზიოლოგია". მე მივიღე მხოლოდ 4 ხმა. "ნეიროფიზიოლოგიის" სპეციალობით 8 ხმით გაიმარჯვა ბიოქიმიკოსმა, რომელსაც არა მარტო არაფერი აქვს საერთო ნეიროფიზიოლოგიასთან, არამედ თავის რეზიუმეში და ნაშრომებში სიტყვა "ნეიროფიზიოლოგია" ერთხელაც არ აქვს ნახსენები. ამასთან, ბიოსამედიცინო დარგში მეცნიერის დონის და მისი წვლილის შეფასების საერთაშორისოდ მიღებული ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი!) ობიექტური კრიტერიუმი არის ციტირების ინდექსი და ჰირშის (h)-ინდექსი. ნეიროფიზიოლოგიის სპეციალობაში გამარჯვებული ბიოქიმიკოსის ციტირების ინდექსი არის 276 და h-ინდექსი — 8, ხოლო მე მაქვს ციტირების ინდექსია 10 694 (დაახლოებით 40-ჯერ მეტი) და h-ინდექსი — 51 (დაახლოებით 6-ჯერ მეტი). სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების სხვა რა კრიტერიუმებმა გადაწონა ეს ჩემი მონაცემები, უნდა კითხოთ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობას.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# შემზარავი სიცრუე, რომლითაც პაატა ზაქარეიშვილმა ასეულობით თავმოკვეთილ ქართველს ხელმეორედ მოკვეთა თავები



წერილი, რომელიც 12.12.12-ში, ანუ 2012 წლის 12 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოს და ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II, პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილსა და 16 თანამდებობის პირს აშშ-ს ელჩის საქართველოში რიჩარდ ნორლანდის ჩათვლით გავუგზავნე დღემდე არცერთ ადრესატამდე არ მისულა. ფოსტაში მაცნობეს, რომ წერილი სამი დღის ვადაში მასზე დამისამართებულ ყველა პირს ერთდროულად უნდა მისწოდებოდა. მიუხედავად ამისა წერილი უგზოუკვლოდ დაიკარგა ფოსტიდან ადრესატამდე მონაკვეთში. წერილის გაგზავნიდან კი სამი თვის თავზე პასუხის ნაცვლად ჩემს საკუთარ სახლში მივიღე საკმაოდ სერიოზული და წონიანი ექსპერტ-ეკონომისტი, რომელმაც ჩემი დადებიდათ შეფასების შემდეგ 50 მილიონიანი საერთაშორისო ფონდის დამფუძნებლობა და ხელმძღვანელობა შემომთავაზა და იქვე დასძინა, რომ ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია, რადგან ცოტა ხანში ფონდი გაოთხმაგდება. ჩემს შეკითხვაზე თუ რას ემსახურება ეს ფონდი, სტუმარმა მიპასუხა, რომ ფონდი სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დახმარებას გაუწევს აფხაზებს აფხაზეთში, რამაც ჩემი მორიგი კითხვა გამოიწვია. არის თუ არა ამ ფონდში გათვალისწინებული აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა, რაზეც ურყოფითი პასუხი გამცა. ჩვენი საუბარი აქვე დასრულდა. მე ღიმილით ხელი ჩამოვართვი და უარით დავემშვიდობე, რაზეც ის სახტად დარჩა.

ქვემოთ მოყვანილ წერილში, რომელიც ადრესატამდე არ მისულა გამოხატულია ჩემეული ხედვა ახლად დანიშნული რეინტეგრაციის მინისტრის საზოგადოდ ცნობილი მცდარი შეხედულებების შესახებ, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს უკავშირდება. 2001 წლის სოჭის კომფერემციაზე ჯერ კიდევ კომლიქტოლოგად მოღვაწეობის პერიოდში პაატა ზაქარეიშვილმა პირველად გააჟღერა სურვილი აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ. მას შემდეგ ზაქარეიშვილი პერმანენტულად პრესისა და მედიის საშუალებებით მსგავს განცხადებებს ახმოვანებდა, რის გამოც მას ქართული საზოგადოების წინაშე არაერთხელ მოუწია ახსნა-განმარტების გაკეთება. სწორედ ეს გარემოება და ზაქარეიშვილის საზოგადოდ ცნობილი ქვეყნის მთლიანობისთვის საკმაოდ სახოფათო შეხედულებები, ასევე დანიშვნისთანავე ამ მიმართულებით გააჟღერებული არაერთი მინიშნება, ჩემთვის ძირითად წინაპირობად იქცა დამეწერა წერილი „ხმამაღლა გამოთქმული ფიქრები“, რომელიც როგორც დასაწყისში ავღნიშნე 18 ადრესატს გავუგზავნე. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ პრესის საშუალებით ზაქარეიშვილისა და არეშიძის შეხმატკბილებულ, აკვიატებულ განცხადებებს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფისა და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების თაობაზე პრესის საშუალებით არაერთხელ მკაცრი შეფასება მივეცი. 2004 წელს გაზეთ „რეზონანსში გამოქვეყნდა ჩემი წერილი -„მე მეამაყება, რომ ჩემს ძარღვებში აფხაზური სისხლიც ჩქეფს“, ხოლო 2011 წელს „საერთო გაზეთში“ გამოვაქვეყნე ორი წერილი - „სამშობლოს არვის წავართმევთ, ნურც ნურვინ შეგვეცილება „ და „ისევ ღალატი?“ (უჭკუოდ კაცის სიკეთე ვაი რა ცარიელია“).

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ხელისუფლების გადაბარების პროცესი მიმდინარეობდა და რევანშისტულად განწყობილი ძალები ახალი ხელისუფლების მიმართ ჩასაფრებულის პოზიციიდან მოქმედებდნენ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩავთვალე წერილისთვის საჯარო სახე არ მიმეცა. არსებობდა ალბათობა იმისა, რომ წერილში გამოხატული ჩემი ხედვა გამხდარიყო ჩასაფრებული ძალების სპეკულაციისა და ვიწრო პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილების საგანი, რაც დააზარალებდა იმ პრობლებას, რომელიც ჩემთვის უზენაესია.

წერილის გაგზავნიდან 2 თვენახევრის თავზე აგორდა გაგრიის ტრაგედიის გათეთრების მიზნით შემზარავი, გაუგონარი სეპარატისტული პროპაგანდა, რომლის უშუალო მოწმედ პაატა ზაქარეიშვილი დასახელდა. თავის მხრივ სახელმწიფო მინისტრი ამ აღვირახსნილ ანტიქართულ კამპანიაში აქტიურად ჩაერთო. მან ბოლო თავისი საგანგაშო განცსადებებით დაამოწმა და დაასტურა, რომ გაგრის სტადიონზე და ზოგადად ქალაქში ალების დღიდან ეთნიკური ნიშნით წამების, კერძოდ თავების კვეთის ფაქტებს ადგილი არ ქონია და ეს ლეგენდაა, რომელიც ომმა გამოიგონა. ზაქარეიშვილმა სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ და გადაცემა „პოლიტმეტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაგრაში გამეფებული საკმაოდ უწყინარი და მშვიდობიანი გარემო აღწერა, რისი უშუალო თვითმხილველად დეპუტატი გია ბარამიძე დაასახელა, რომელიც დღემდე უცნაურად სდუმს. აქვე უნდა აღინიშნოს აფხაზური პროპაგანდისა და ზაქარეიშვილის ერთგვაროვანი ლექსიკა გაგრის ტრაგედიის ლეგენდა მითად შერაცხვის შესახებ და ის უწყინარი გარემო, რაც ქალაქში ალების დღიდან სუფევდა. გაგრის ტრაგედიის გათეთრების მიზნით და ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის არაადამიანური წამებისა და მათთვის თავის მოკვეთის ფაქტების მისაჩქმალად ზაქარეიშვილმა გამოიგონა და შეთხზა ყოვლად აბსურდული და ანომალიური ლეგენდა იმის თაობაზე, რომ ასეულობით ქართველის გვამს თავები მის თვალწინ ძვრებოდა, რადგან აფხაზეთი ნესტიანი მხრეა და საკმარისია ერთი ორი დღე ნესტის პირობებში, რომ გვამს თავი მოძვრეს. ამ შემზარავი სიცრუით ზაქარეიშვილმა თავმოკვეთილი გვამები ნესტიან კლიმატს ჩამოწერა, რაც სახელმწიფო ღალატია და დანაშაული ღვთისა და ერის წინაშე! რაოდენაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს ზაქარეიშვილმა მის მიერ შეთხზული სიცრუით ღია ეთერში აღიარებითი ჩვენება მისცა ქართულ საზოგადოებას, რომ მის მიერ ნესტიან კლიმატს დაბრალებული უთავო გვამები, სინამშვილეში თავმოკვეთილი გვამებია ძალადობისა და გარეშე ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, როგორიცაა მჩეხავი, მჭრელი საგნის მოქმედება. დამოუკიდებელმა სასამართლო ექსპერტიზის ცეტრმა „ვექტორმა“ - ალეკო გეჯაძემ ჩემს ოფიციალურ თხოვნაზე დანემარტა ზაქარეიშვილის მიერ გაჟღერებული განცხადების ტექსტი დადო გამაოგნებელი საექსპერტო დასკვნა, რომლის მიხედვით „ რაც შეეხება თავის ქალას მოცილებას სხეულიდან, მოგვიანებითი გვამური მოვლენების განვითარების შედეგად (ლპობა და ა.შ) ცალსახად შეიძლება ითქვამს, რომ ამის განვითარება აბსურდია და მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. თავის მოცილება სხულიდან შესაძლებელია მხოლოდ გარეშე ფიზიკური ძალის ზემოქმედებით, როგორიცაა მჩეხავი, მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით და სხვა“.

ექსპერტიზის დასკვნით რეინტეგრაციის მინისტრი ამაზრზენ სიცრუესა და გაუგონარ დანაშაულში მხილებულ იქნა. ასევე თავის დასკვნაში პროფესორი პათანატომი ზაზა თოფურია იგივეს ადასტურებს და დასძენს, რომ „რაც შეეხება ხერხემლის სვეტს თავის ქალასთან ერთად, ხრწნითი, ანუ ლპობითი პროცესი მის მთლიანობას ათეული და ასეული წლების განმავლობაში ნაკლებად აზიანებს“.

საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის დანაშაულებრივ განცხადებებს, ასევე მის ურთიერშეთანხმებულ და კარგად კოორდინირებულ ქმედებას აფხაზური ბინძური პროპაგანდის მესვეურებთან ერთად მიუძღვენი ვრცელი ანალიზი თანდართული ოფიციალური მტკიცებულებებით ექსპერტ ალეკო გეჯასის სამედიცინო ცენტრის „ვექტორის“ ოფიციალური დასკვნისა და პროფესორ პათანატომის ზაზა თოფურიას განმარტების სახით. სტატია სახელწოდებით „პაატა ზაქარეიშვილმა აფხაზეთის ომიდან 20 წლის თავზე, ასეულობით თავმოკვეთილ ქართველს თავისი სიცრუით ხელმეორედ მოკვეთა თავები“ 2013 წლის 24 ოქტომბერს გამოქვეყნდა „საერთო გაზეთში“ 614. ხოლო 2013 წლის 29 ოქტომბერს გაზეთ „ასავალ დასავალში“ ჩემი ანალიზის საფუძველზე ჟურნალისტმა გიორგი გიგაურმა გამომართვა საკმაოდ ვრცელი ინტევიუ, სადაც მე ზაქარეიშვილი სახელმწო ღალატში ვამხილე და დავძინე, რომ ქართველების სისხლით ვერგამძღარი არძინბა ვერც კი იოცნებებდა ისეთ ადვოკატზე, როგორიც საქართველოს მთავრობის მინისტრი პაატა ზაქარეივილია. აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ორივე გაზეთს იმ გმირობისათვის რასაც საქართველოს ღირსების დაცვის საქმე ქვია, სწორედ ამ გამბედაობისთვის გმირი გაზეთების დაბლოკვა დაიწყო, კერძოდ რუსთავი 2-ზე გადაცემა „დილა მშვიდობისა საქართველოს“ ეთერში, როდესაც ქართული პრესის მიმომხილველმა ოთარ ქირიამ თავისი მიმოხილვიდან შეგნებულად ამოაგდო „ასავალ დასავალი“ და „საერთო გაზეთი“, რომლებიც ზუსტად იმ პერიოდში განსაკუთრებული სკანდალურობით გამოირჩეოდნენ, რაც ზურაბ ჟვანიას მკველობასთან დაკავშირებული ექსკლიუზიური, სკანდალური მასალების გამოქვეყნებას ეხება, ასევე რეინტეგრაციის მინისტრის შემზარავ სიცრუეში მხილებას. ამავდროულად Facebook-ის ჩემს ოფიციალურ გვერდზე (facebook-ის მისამართი zurab chikovani/ზურაბ ჩიქოვანი) გამოქვეყნებულია პაატა ზაქარეიშვილის გარშემო 2001 წლიდან დღემდე საგანგაშო განცხადებების ვრცელი ანატილიტიკური მასალები, რომელიც უკვე 40.000-მდე ადამიანმა იხილა.

აქვე მინდა დავიფიქსირო ჩემი პოზიცია ქართულ-აფხაზური შერიგების აუცილებლობის დიდ სურვილზე, მაგრამ არა საქართველოს დამცირების, დაკნინების ფასად, ომში დაღუპულ გმირთა და ათასობით ქართველობის გამო წამებით მოკლული ჩვენი თანამემულის სულის წაბილწვის ფასად გაგრაში კამანში, გალში, ახალსოფელში, ცაგერაში, არადუში, ბიჭვინთაში, ალახაზეში, განთიადში, სოხუმში, ოჩამჩირეში.... არა ჭუბერის გოლგოთას გზაზე ჩახოცილთა ფასად, მსოფლიოში არნახული დანაშაულის აფხაზეთის მთელი მთავრობის ლაჩრული ამოჟლეტის პატიების ფასად, არა 300.000 დევნილის საკუთარი მიწა-წყლიდან გაძევების ფასად, არა ასეულობით თავმოკვეთილთა გათეთრების ფასად, არა გაგრის სტადიონზე ქართველთა თავებით თამაშის ლეგენდად შერაცხვის ფასად, არა ზაქარეიშვილის ყალბი, აღვირახსნილი, ცრუ შერიგების ფასად, რომელმაც უზნეოდ განაცხადა:

„დაუშვათ დადასტურდა. დავუშვათ თამაშობდნენ თავებით, ჩვენ დღეს გვჭირდება ამაზე ლაპარაკი, თუ შერიგებაზე მივდივართ? თუ ჯობია რაღაცეები გვერდზე გადავდოთ და შევრიგდეთ და მერე ვილაპარაკოთ ამაზე. რას მოგვიტანს დღეს ოცი წლის თავზე ამაზე ლაპარაკი, თუ ჩვენ ისევ შერიგებისკენ მივდივართ“.

მთელმა მსოფლიომ ნიურბერგის პროცესზე ფაშიზმს, როგორც ზოგადსაკაცობრიო დანაშაულს სამართლებრივ ენაზე შეფასება მისცა და შერიგება ამის შემდგომ მოხდა და არა ისე, როგორც გვთავაზობს ვირეშმაკურად „ბრძენი“ რეინტეგრატორი, ჯერ შევრიგდეთ და მერე ვილაპარაკოთო. 260 ტომი აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ 1992 წლიდან ინახება პროკურატურაში, რომელიც იმთავითვე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევრო სასამართლოში უნდა გაგზავნილიყო, მაგრამ დღემდე ტაბუ ადევს. აფხაზებსაც აქვთ თავისი ტომები. მასალები ორივე მხრიდან უნდა გაიგზავნოს მიუკერძოებელ ორგანოში სტრასბურგის ევრო სასამართლოს სახით, რომელიც გამოიძიებს მხარეთა ბრალეულობას და 1991-1992 წლებში აფხაზეთში მომხდარ მოვლენებს ობიქტურ სამართლებრივ შეფასებას მისცემს. მხოლოდ ეს გარემოება იქნება ეთადერთი და უპირობო წინაპირობა ქართველთა და აფხაზთა შერიგებისა.



12 gv.

11 gv.

იმ ფონზე, როდესაც სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე მის უწყებაში თაღლითობასა და კორუფციულ გარიგებებში მხილებული თანამშრომლების გამო ნებაყოფლობით გადადგა თავისი თანამდებობიდან და ეყო ვაჟკაცობა გამოეთქვა სინანული იმის გამო, რომ ისინი მისი მეგობრები იყვნენ. იმ ფონზე, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრმა დააპატიმრა თავისი მოადგილე, რომელმაც უღირსი და უკანონო მეთოდებით ოპონენტზე პირადი ანგარიშსწორება სცადა, ყოვლად გაუმართლებელია შემზარავ დანაშაულში მხილებული პაატა ზაქარეიშვილი იყოს სახელმწიფო მინისტრი. მეტიც, სამართალდამცავმა ორგანოებმა როგორც ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში, ამ შემთხვევაშიც ასევე ოპერატიულად დაიწყონ საფუძვლიანი გამოძიება ზაქარეიშვილის ლეგენდის — ნესტიანი კლიმატის გამო სხეულს თავმოცილებული ასობით გვამების თაობაზე. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა სამართალდამცავების მიმართ, რომ გამოძიებაში ჩართულ იქნან მიუკერძოებელი, პროფესიონალი, გამბედავი ექსპერტი ალეკო გეჯაძე და პათანატომი ზაზა თოფურია.

**„მე ვასვენებდი იმ გვამებს, რომლებსაც თავები არ ჰქონდათ. რატო არ ჰქონდათ, იმიტომ რომ ზემოდან ეყარა გვამები მიწაზე და აფხაზეთი მოგეხსენებათ ნესტიანი მხარეა. საკმარისია გვამი ზემოდან იყოს ერთი დღე, თუ ორი დღე, ბოლოში ამ ნატურალიზმისათვის, რომ უკვე სხეული იშლება. მარტო მე ვაკეთებდი ამას. არავინ არ მეხმარებოდა. როგორც კი გვამს მოკიდებდი ხელს იშლება და ხშირად ტომარაში ვდებდით ცალკე გვამს და ცალკე თავს. კიდე უარესი რაღაცეები შემიძლია მოვყვე. ამიტომ ხშირად ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე მერე მოყვებოდა ლეგენდები , რომ თავმოკვეთილი გვამი ჩააბარა პატრონს. მე ხომ კარგად ვიცი რა მოხდა. ჩემი ხელით კეთდებოდა ყველაფერი ესა. ამიტომ მე ვარ ის პირველი ადამიანი, პირველწყარო, რომლის მოქმედებების შემდეგ იწყებოდა ლეგენდები სხვადასხვა მიმართულებით“ — აცხადებს ზაქარეიშვილი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენში“.**

**„ჭირისუფალს ვერც აუხსნიდი და ძნელიცაა. მე ვუხსნიდი ყველაფერს, მაგრამ მერე იქ სხვები მოდიოდნენ, იქ სხვები იყვნენ და ამას რომ უყურებდნენ, იგებოდა, იგებოდა. ასეთი ფაქტები არის ათეულობით და ასეულობით. ჩემი მონაწილეობით, სხვისი კი არა, სხვისი კი არ მომიყოლია არაფერი. ასე შემიძლია მოვყვე ათასობით რაღაცეები, მაგრამ ეს ეხლა, არ არის ეხლა ამის დრო□ – ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“.**

დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრი
INDEPENDET CENTRE OR FORENSIC EXPERTISE

№ 03/08 07 მაისი 2013 წ.

მოქ. ზურაბ ჩიქოვანს

თქვენი 2013 წლის 06 მარტის განცხადებაში აღწერილ ე.წ. "ექსპერტის" მიერ მოყვანილ გარემოებასთან დაკავშირებით გპასუხობთ:

საზოგადოდ თანატოლოგიაში და სასამართლო მედიცინაში ცნობილია, რომ სიკვდილის შემდგომ მაშინვე ვითარდება ე.წ. გვამური ცვლილებები. კერძოდ, ადგილი აქვს ჯერ ნაადრევ გვამურ ცვლილებებს, როგორიცაა გვამური გაციება, გაშეშება, გვამური ლაქების ჩამოყალიბების პროცესი და გვამის გაშრობა, ხოლო უკვე მოგვიანებით დროის სტადიაზე, დაახლოებით 24-48 საათის გავლის შემდგომ, იწყება მოგვიანებითი გვამური ცვლილებების განვითარება, როგორიცაა ლპობა, მუმიფიკაცია, ქონცვილი, ტორფით დათრიმვლა. მოგვიანებითი გვამური ცვლილებების განვითარების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და ძირითადში მოიცავს რბილი ქსოვილების და შინაგანი ორგანოების აუტოლიზურ პროცესებს. ხოლო რაც შეეხება თავის ქალას მოცილებას სხეულიდან, მოგვიანებითი გვამური მოვლენების განვითარების შედეგად (ლპობა და ა.შ.) ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამის განვითარება აბსურდია და მოკლებულია ყოველგვარ რეალობას. თავის მოცილება სხეულიდან არამც თუ დაუმარხავი გვამიდან ერთ-ორ დღეში, არამედ წლების განმავლობაშიც პრაქტიკულად ძნელი წარმოსადგენია. თავის მოცილება სხეულიდან შესაძლებელია მხოლოდ გარეშე ფიზიკური ძალის ზემოქმედებით, როგორიცაა მჩეხავი, მჭრელი თვისებების მქონე საგნის მოქმედებით და სხვა.

პატივისცემით,

ალექსანდრე გეჯაძე

ცენტრის დირექტორი
სასამართლო სამედიცინო ექსპერტი
სახელმწიფო სერტიფიკატი №
სპეციალობით მუშაობის სტაჟი

ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-9 კმ. ტელ: 214 41 62, 218 24 47, 577 40 41 52
info@expertise.ge www.expertise.ge

სახელმწიფო მინისტრის ზემოთაღნიშნული დანაშაულებრივი განცხადებების ფონზე საჯარო სახეს ვაძლევ 2012 წლის 12 დეკემბერს გაგზავნილ წერილს ‘ხმამღლა გამოთქმული ფიქრები“, რომელმაც ადრესატამდე ვერ მიაღწია. აქვე გთავაზობთ ზაქარეიშვილის ზღვარგადასულ განცხადებებს უცვლელად, რომელიც მან სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენში“ და გადაცემა „პოლიტმეტრში“ გააჟღერა და ასევე ექსპერტიზის ოფიციალურ დასკვნას.

“ჩვენ შეგვიყვანეს სტადიონზე, სადაც ბალახი ბიბინებდა. იმ შემთხვევაში, თუ იქ რამოდენიმე დღის წინ ომი მოხდა, შეუძლებელია იქ ბალახი დაერგოთ. სტადიონს არა თუ ომის, ტალახის კვალიც არ ეტყობოდა. ჩანდა, რომ ამ სტადიონზე არანაირი საომარი ქმედება განხორციელებული არ იყო“ - აცხადებს ზაქარეიშვილი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენში“.

„მე და გია ბარამიძე ერთად ვიყავით გაგრის სტადიონზე 7 ნოემბერს 1992 წელს. 3 ოქტომბერს იქნა აღებული გაგრა, ერთი თვის თავზე ჩვენ ვიყავით გაგრაში. მოვიარეთ მთელი გაგრა. არძინბამ მოგვცა სრული თავისუფლება და იაზიჩბა იყო იქ გაგრის გამგებელი და ვნახეთ ყველაფერი, რისი ნახვაც შეიძლებოდა. თქვას რა, რაც ჩვენ მაშინ ვნახეთ. ეხლა გაიმეოროს. მე მასზე უფროსი ვარ და არ დამწყებია ჯერ სკლეროზი. ახლა ბარამიძე ჩემზე ახალგაზრდაა. თქვას ის, რაც ჩვენ ერთად ჩამოვიტანეთ იქედან. არანაირი ნიშანი, არანაირი მტკიცებულებები ჩვენ არ გვქონდა“- აცხადებს ზაქარეიშვილი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენში“.

„ეს არ არი ქართული მხარის მიერ გამოგონილი ლეგენდა - ეს ომის მიერ გამოგონილი ლეგენდაა. ამგვარ ლეგენდებს ყველა კონფლიქტში ყვებიან“ -აცხადებს ზაქარეიშვილი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენში“.

„გენოციდის თქმის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, მეტი არავის. არავის აქვს უფლება, მე, ან სხვა ვინმეს თქვას, რომ ვინმემ ვინმეს წინააღმდეგ განახორციელა გენოციდი, გარდა სასამართლოსი“ - აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“.

**„სად ვთქვი მე, რომ დადგინდა, რომ გაგრის სტადიონზე არ თამაშობდნენ თავებით. მე არსად არ მითქვამს.** ჩემ ხელთ არსებული ინფორმაციით მე ვერ ვამტკიცებ ამას, იმიტო რომ მე ვერ ვნახე დღემდე ვერც ერთი ადამიანი, ვერც ერთი ადამიანი ცოცხალი, ვინც იტყვის, რომ აი, მე შევესწარი. ხომ ამბობენ : თამაშობდნენ. ანუ ვიღაცამ ხომ ნახა ეს, ვიღაცა ხო თამაშობდა. უნდა არსებობდეს მოწმე, ვინ დაინახა. გარდა ამისა, ამბობენ, რომ ფირები არსებობსო. რომ, აი მე ვიცი კაცი, ვინც ნახა ფირი. მე ვერ ვნახე კაცი, რომელმაც ნახა ფირი. ყველამ იცის ვიღაცა სხვა, რომელსაც გაუგია“-აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“.

„კეთილი ინებოს გამოძიებამ, სასამართლომ გამოიძიონ და დაადასტურონ. როგორც კი მე მივიღებ ფაქტებს, მე ვაღიარებ“- აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“.

**„მოდით ვისწავლოთ ყოველთვის ზუსტად, იმიტო რო დიპლომატები, პოლიტიკოსები კარგად წონიან სიტყვებს. ამიტომაა, რომ მე ვერავინ მიჭერს სიტყვებში. თუმცა, ჩქარა ვლაპარაკობ ძალიან, მაგრამ შეცდომებს არ ვუშვებ არასდროს. ამიტომ ყოველთვის ვიცი რას ვლაპარაკობ. არასდროს მითქვია რა, რო მე მომხრე ვარ, სიტყვაზე, აფხაზეთის დამოუკიდებლობისა. ყოველთვის ვიღაცეებს ეს შთაბეჭდილება რჩება. ვერასდროს ვერ მოაქვთ ვერანაირი მტკიცებულებები“- აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“ .**

**„დაუშვათ დადასტურდა. დავუშვათ თამაშობდნენ თავებით, ჩვენ დღეს გვჭირდება ამაზე ლაპარაკი, თუ შერიგებაზე მივდივართ? თუ ჯობია რაღაცეები გვერდზე გადავდოთ და შევრიგდეთ და მერე ვილაპარაკოთ.**

რას მოგვიტანს დღეს ოცი წლის თავზე ამაზე ლაპარაკი, თუ ჩვენ ისევ შერიგებისკენ მივდივართ“ აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“.

„თუ ჩვენ დრო დავკარგეთ და გავიდა თვეები და მათ მოლოდინებს არ უპასუხეთ, ჩვენს მიმართ უკვე აღარ ექნებათ ეს ნდობა“-მივდივართ“ აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“..

„მე მესმის, რომ ეხლა სხვა თემები უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ არის უამრავი თემები, უამრავი საკითხები, რაც აუცილებლად მოითხოვს გამოძიებას. მაგალითად 22 მაისის ამბავი ხურჩაში 2008 წელს არჩევნების დღეს. რა მოხდა იქ, ორი ავტობუსი რო დაიწვა. მაგალითად 3 ივლისის ტერაქტი სანაკოევის წინააღმდეგ, რასაც მოყვა შეუქცევადი დაბომბვები ქართული სოფლების , რამაც მიგვიყვანა 8 აგვისტომდე შემდეგ. ანუ ბევრი კითხვებია. მე არ ვამბობ, რომ ვიღაც კონკრეტული დამნაშავეა. მე ვამბობ, რომ უამრავ კითხვაზე პასუხი არაა. უამრავ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი და ჩვენ აღვადგენთ ნდობას აფხაზებთან და ოსებთან“-აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“.

„აფხაზებსაც აქვთ ლეგენდები ჩვენს წინააღმდეგ დამერწმუნეთ. ეს არ ნიშნავს რომ სისასტიკეები არ იყო. ძალიან ბევრი სისასტიკე იყო ორივე მხარეს. მე შემიძლია ერთიც მოვყვე და მეორეც მოვყვე“- აცხადებს ზაქარეიშვილი გადაცემა „პოლიტმეტრში“.

„Ñàì à ñèòóàöèÿ ïîðàçèëà íàø èõ ãîñòåé, ïîòîì ó ÷òî îíè ðàçãîâàðèâàëè ìåæäó ñîáîé, ñðàâíèâàëè ïîëîæåíèå â Ñóõóìè è â Ãóäàóòà è áûëè âûíóæäåíû ïðèçíàòü, ÷òî óíàñ î÷åíü âûñîêàÿ äèñöèïëèíà. Ìû ïðèåõàëè â Ãàãðû, â ðàéîí ñòàäèîíà, ãäå îñòàâàëîñü î÷åíü ìíîãî ëþäåé ãðóçèíñêîé íàöèîíàëüíîñòè. Ìû îáõoäèëè âñå äîìà, ïðè÷åì ìû ñ Ðóñòàìîì äàâàëè âîçìîæíîñòü ïîîáù àòüñÿ ñ òåìè ëþäüìè, ñ êåìîíè õîòÿò áåç íàñ. Â èòîãå îíè íàì ñêàçàëè: ñïàñèáî áîëüøîå, ìû óáåäèëèñü, ÷òî ýòî íåïðàâäà, íèêàêèõ çâåðñòâ íå áûëî è ò. ä. Ê ñîæàëåíèþ ýòîò ìèô ïðîäîëæàåò äåéñòâîâàòü, è ê ñîæàëåíèþ, ëþäè, êîòîðûå áûëè ñ íàìè òîãäà, êîòîðûå ñåãîäíÿ çàíèìàþò âûñîêèå äîëæíîñòè â Ãðóçèè, ýòîò ôàêò íå îïðîâåðãëè"” აცხადებს კობახია. ფრაზაში - „ìû óáåäèëèñü“ - ჩვენ დავრწმუნდით, ზაქარეიშვილთან ერთად ბარამიძეც იგულისხმება, რომელიც დღემდე უცნაურად დუმს.

„კამპანიას ვერ ვხედავ. ეს არის მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ გახსენებული ეპიზოდი. კამპანიის ნიშნები კი ჯერ არ ჩანს”- აცხადებს ზაქარეიშვილი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენში“.

# ხმამაღლა გამოთქმული ფიქრები

## (წერილი, რომელიც ადრესატამდე არ მისულა)

ამ წერილის დაწერა მხოლოდ და მხოლოდ იმ დიდმა გულისტკივილმა მიკარნახა, რომელიც ყველა ქართველს და განსაკუთრებით მთელს მსოფლიოში იძულებით მიმოფანტულ, 20 წლის მანძილზე საკუთარ მიწა-წყალს, აფხაზეთს მოწყვეტილ დევნილ მოსახლეობას აწუხებს. თავის დროზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების, გამოთქმული მოსაზრებებისა და ხედვების გამო, რომლებმაც დღეს უკვე ოფიციალური განცხადებების იერი მიიღეს და მოსახლეობის ნეგატიურ რეაქციას იწვევენ, იძულებული გავხდი თქვენთვის ჩემი მოსაზრებები გამეზიარებინა.

„ჟენევის ფორმატში სოხუმისა და ცხინვალის მხარეებად აღიარებას არ ვაპირებთ" - განაცხადა ფორ.გე-ს პრესკლუბში ყოფილმა კონფლიქტოლოგმა, აწ უკვე ახალი მთავრობის სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილმა.

ამ ერთი შეხედვით დამაიმედებელ განცხადებას ზაქარეიშვილისეული განმანათლებელ-შემეცნებითი შინაარსის შემცველი გაგრძელება მოყვება. კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ მიუხედავად კონფლიქტის მკაფიოდ გამოკვეთილი ორი მხარისა რუსეთ-საქართველოს სახით, ასევე სხვა მიმართულებებიც არსებობს. მიმართულებებში ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მხარეებს მოიაზრებს და აქვე აღნიშნავს: „ როგორც არსებობს მცნება საქართველო-რუსეთის კონფლიქტი, ასევე ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მიმართ მუშაობა უნდა იყოს". განცხადების ბოლო ფრაგმენტში ექს-კონფლიქტოლოგი ცდილობს ფრთხილი იყოს და ქართულ-აფხაზური, ქართულ- ოსური კონფლიქტების მიმართ კონკრეტული სტატუსის მინიჭებას ერიდება. უბრალოდ სურვილს გამოთქვამს, რომ მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს.

„კონფლიქტების მხარეები ჩვეულებრივი კლასიკური ფორმაა. იქ, სადაც არ არსებობს სტატუსი, ანუ როცა სტატუსი სადაოა და მხარეები ვერ თანხმდებიან ერთმანეთში, იქ ირჩევენ ისეთ შედარებით უწყინარ ფორმას, როგორიცაა კონფლიქტის მხარე. ჩვენ ვაპირებთ, მაშინ, როცა დაგვჭირდება, როცა აუცილებელი იქნება ოსურ და აფხაზურ მხარესთან, რაღაც გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას. მათ, როგორც კონფლიქტის მხარეებს ისე დაველაპარაკებით, მაგრამ როდის მოხდება ეს, ამას დინამიკა გვიჩვენებს" -განაგრძობს შემეცნებითი სახის განმარტებას სახელმწიფო მინისტრი. ზემოთქმულიდან ირკვევა, რომ ზაქარეიშვილი საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისთვის მუშაობას მოლაპარაკებების პროცესში „უწყინარი ფორმის" შემოღებით გააგრძელებს, რომლის მიხედვითაც აფხაზი და ოსი კონფლიქტის მხარედ დასახელდება. შესაბამისად, ეს უწყინარი ჩანაცვლება, მისი თქმით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მხარეებად აღიარებას არ ნიშნავს, უბრალოდ ეს კლასიკური ფორმაა, რომელსაც კონფლიქტის მხარეები ქვია. მთელი ეს სიბრძნე, მიუხედავად მისი უწყინარი ზნისა, ერთ უცნაურ კითხვას ბადებს. თუ მოლაპარაკებების პროცესში მყოფნი კონფლიქტის მხარეებად ერთმანეთს მოიაზრებენ, ნიშნავს თუ არა ეს გარემოება მხარეთა დამოუკიდებლობის ირიბ აღიარებას? თუ ზაქარეიშვილს მოლაპარაკებათა პროცესში მაინც და მაინც კლასიკური ფორმის ე.წ. მხარის გამოყენება სურს, მაშინ მას აქვს შესაძლებლობა მკაფიოდ განსაზღვროს მხარეთა მდგომარეობები მათი რანგის მიხედვით. ერთის მხრივ ერთიანი საქართველო, როგორც მხარე, მსოფლიოს მიერ აღიარებული საზღვრებით, რომელშიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები შედის და მეორეს მხრივ, ცხინვალისა და აფხაზეთის მხარეები, რომლებიც "დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად რუსეთმა, ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ აღიარეს.



როგორც ჩანს, პაატა ზაქარეიშვილი სახელმწიფო მინისტრის ამპლუაშიც მისთვის დამახასიათებელი აზროვნების მანერას არ ღალატობს, რომელშიც პროლოგი, როგორც ყოველთვის, უცნაურად განსხვავდება ეპილოგისგან. ასეთი უცნაურობის ნათელ მაგალითად, ჯერ კიდევ მისი კონფლიქტოლოგად მოღვაწეობის ჟამს, გაზეთ „Àáõàçñêèé ìåðèäèàí "-ში გამოქვეყნებული სკანდალური ინტერვიუ უნდა მოვიყვანო, რომლის გამოც ზაქარეიშვილს არაერთხელ მოუწია ქართული საზოგადოებისთვის განმარტების მიცემა და ის ხშირ შემთხვევაში, არადამაჯერებლად ჟღერდა.

**გაზეთი „Àáõàçñêèé ìåðèäèàí ", 2004 წელი. 3 თებერვალი, №2 (22):**

ჟურნალისტის შეკითხვაზე შესაძლებელია თუ არა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება იმ ფონზე, როდესაც აფხაზური მხარე საკუთარ თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოიაზრებს და საქართველოსთან არანაირი სახის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებას არ აპირებს, ზაქარეიშვილი პასუხობს:

**„ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთთან შესაძლოა დაიდოს, აუცილებლად უნდა შეიცავდეს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის მექანიზმს, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში, რაღაცა გარკვეული ეტაპის შემდეგ ამოქმედდება". ასევე ის დასძენს, რომ ამ მექანიზმის რეალიზაციისას აფხაზური მოსახლეობის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება.**

კონფლიქტოლოგი დარწმუნებულია, რომ თუ საქართველო დაანახებს აფხაზებს, რომ მისი დამოუკიდებლობის აღიარების საკითხზე მსჯელობა საქართველოსთან შესაძლებელია, მსგავსი პერსპექტივა მოტივაციას შეუქმნის ორივე მხარეს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის საკითხი სამომავლოდ დღის წესრიგიდან მოხსნას. ზაქარეიშვილისეული ლოგიკით იმისათვის, რომ აფხაზებმა საქართველოდან გამოყოფის სურვილი დაკარგონ, საქართველომ აფხაზეთს საქართველოდან გამოყოფის მექანიზმი უნდა შეუქმნას. ალბათ, ეს მექანიზმიც ასეთივე კლასიკური და უწყინარი ფორმაა (როგორც მხარეების შემთხვევაში), რომელიც კონფლიქტოლოგის აზრით, ერთის მხრივ მექანიზმია, მაგრამ მეორეს მხრივ, ეს მექანიზმი ილუზიაა. უბრალოდ ხელშეკრულების ფარატინა ქაღალდზე დაწერილი აფხაზური ოცნებაა, რომელმაც აფხაზური დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ამბიცია უნდა ჩაანაცვლოს.

კონფლიქტოლოგი თავის მოსაზრებაში პროგნოზებზეც გადადის და დამაჯერებლად ირწმუნება, რომ რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობით დაინტერესებული არ არის. „დღეს უკვე მსოფლიოში აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე სერიოზულად არავინ საუბრობს და მათ შორის, რუსეთი. რუსეთი პირველ რიგში აფხაზეთის დამოუკიდებლობით დაინტერესებული არ არის, არც მასთან რაიმე ასოცირებული ურთიერთობების დამყარებით." - ამბობს ზაქარეიშვილი. ამ მოსაზრებას ის 2004 წელს გამოთქვამდა, ხოლო ოთხი წლის შემდეგ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიების დამატებით 20%-ც დაიპყრო. გამომდინარე აქედან, საქართველოს უახლეს ისტორიაში მოვლენები ზაქარეიშვილის პროგნოზის საპირისპირო მიმართულებით განვითარდა. უფრო მეტიც, აქვე გვმოძღვრავდა, რომ „საქართველომ ნამდვილად უნდა შეწყვიტოს აგრესიული ქმედებები, მათ შორის პარტიზანული მოძრაობის მხარდაჭერა." თუმცა ომის შემდეგ, ე.წ. „მშვიდობის" დროს, გალის რაიონში აფხაზების მიერ 1 600 კაცი დაიხვრიტა, აღარაფერს ვამბობ სხვა რაიონებზე. ამიტომ სავსებით საფუძვლიანად უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტოლოგს რეალური სურათის შეფასებისთვის არც ობიექტურობა, არც შორსმჭვრეტელობა და არც პოლიტიკური ალღო ეყო.

ამავე ინტერვიუში ზაქარეიშვილი ორიგინალური აზრების გამოთქმას განაგრძობს და მსოფლიოში წარმოქმნილ კონფლიქტებსა და აფხაზეთს შორის მისეულ პარალელებს ავლებს. კონფლიქტოლოგს მაგალითად მთიანი ყარაბახის, კვიპროსის, ჩრდილო ირლანდიისა და ჩეჩნეთის კონფლიქტები მოყავს, სადაც თითოეული დაპირისპირებულის უკან ძლიერი გარეშე ძალები დგანან. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში იქაურ სომხებს არა მხოლოდ სასომხეთი, არამედ უცხოეთიდან ძლიერი სომხური დიასპორა ეხმარება. კვიპროსის შემთხვევაში სტატუს კვოსთვის იბრძვის კვიპროსის თურქული მხარე, რომელსაც მხარს უჭერს დიდი თურქეთი. ჩრდილო ირლანდიის შემთხვევაში კათოლიკეების მხარდასაჭერად ირლანდიის რესპუბლიკა დგას. რაც შეეხება ჩეჩნეთს, ზაქარეიშვილი აღნიშნავს, რომ მის უკან მთელი მუსულმანური სამყაროა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც აფხაზეთის შემთხვევაში, მისი თქმით, კარდინალურად განსხვავებული ანტურაჟია. „აფხაზეთის უკან არავინ არ დგას, მხოლოდ რუსეთის პოლიტიკური ინტერესები". -ამბობს ზაქარეიშვილი. მის მოსაზრებაში რუსეთის როლისა და გეოპოლიტიკური ინტერესების ასეთ უხეშ დაკნინებას ერთი ახსნა უნდა ჰქონდეს. თუ ჩვენ კონფლიქტოლოგის მოსაზრებას დავეთანხმებით, ცოტა ხნით მაინც და რუსეთს, ერთ ჩვეულებრივ, უმწეო სახელმწიფოდ ჩავთვლით, რომლის გეოპოლიტიკური მისწრაფებები თავისი ძალითა და დატვირთვით ლამისაა აფხაზურს ჩამორჩეს, მაშინ რა გამოდის? 1992 წლის 27 სექტემბერს 5 მილიონიანი საქართველო მცირერიცხოვანი აფხაზი ერის წინააღმდეგ (რომლის მთლიანი რაოდენობა იმ პერიოდისთვის 90 ათას შეადგენდა), წარმოებულ სამხედრო ინტერვენციაში დამარცხდა. ამ შემთხვევაში დამარცხებული „აგრესორი" საქართველოს სახით, ბუნებრივია იძულებული ხდება გამარჯვებულის პოზიცია გაითვალისწინოს და შესაბამისად, დათმობებზეც წავიდეს. მანამდე კონფლიქტოლოგი გვირჩევს აფხაზ ერს განხორციელებული აგრესიისთვის ბოდიში მოვუხადოთ და ვაღიაროთ, რომ უდიდესი შეცდომა დავუშვით და ასე აღარ მოვიქცევით. „რაც უფრო მეტი რეალური დათმობა იქნება ჩვენი მხრიდან, მით უკეთესია ჩვენთვის" - ასრულებს ზაქარეიშვილი თავის მოსაზრებას, რომლის მიხედვით საქართველომ უწესო ბავშვის მსგავსად საკუთარი თავი კუთხეში უნდა დააყენოს. მთელი ამ აბსურდული შეხედულების გავრცელებისა და დამკვიდრების მთავარი და ერთადერთი დაინტერესებული პირი ისევ და ისევ რუსეთია, რომელიც კონფლიქტოლოგმა ამ ისტორიიდან, ჟარგონი რომ ვიხმაროთ, ტექნიკურად „მოტეხა". შედეგად "Äîáðàÿ ìàòóø êà Ðîññèÿ "- მშვიდობისმყოფელის მანტიაში წარსდგა ორ დაპირისპირებულ მხარეთა შორის, გამშველებლის „კეთილშობილური" მისია ჯერ შეიფერა, მერე მას შეერწყა და საბოლოოდ, თითქოს შეესისხლხორცა კიდეც სამუდამოდ, მაგრამ ეს იდილია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაირღვა.

მოლოდინი, რომელსაც რუსეთი ომის შედეგად ელოდა, კერძოდ, საქართველოზე თავისი ზეგავლენის გადამწყვეტ ფაზაში შეყვანასა და მასზე საბოლოოდ გაბატონებას, არ გამართლდა. ამის სანაცვლოდ რუსეთმა დიპლომატიური შოკი მიიღო. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა რუსეთს ოკუპანტის სტატუსი მიანიჭა, რომელიც შემდეგში უკვე მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ აიტაცა და აღიარა.

ცხადია, მოვლენების ასეთი დინებით განვითარება რუსეთს მენტალურ დონეზე შეურაცხყოფს, რომელიც საკუთარ თავს საუკუნეების მანძილზე საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ერთპიროვნულ განმკარგავად თვლიდა. ამ ფონზე რუსე-

14 gv.

13 gv.

# ხმამაღლა გამოთქმული ფიქრები

თისა და საქართველოს, როგორც სტატუს-მხარეებად ჩამოყალიბება რუსეთის მიერ მის ეროვნულ უსაფრთხოებაზე პირდაპირ თავდასხმად აღიქმება.

ზემოთ ნათქვამის დასტურად რამოდენიმე ისტორიულ ფაქტს მოვიყვან. იმისათვის, რომ ტექსტის თვითმყოფადობა არ დაირღვეს, გარკვეულ ფრაგმენტებს ორიგინალში, უკომენტაროდ წარმოგიდგენთ.

**Í î âî ñòè Çàêàâêàçüÿ, 1904 ã. 6 ô åâðàëÿ - Ì àðêî â-II**

…."Ãî âî ðÿò, ÷òî ÿ ðàçäðàæàþ ñâî åé ðå÷üþ òóçåì öåâ, í î êàê ðóññêèé ÷ëåí Äóì û, ÿ äî ëæåí ñêàçàòü èí î ðî äöàì : Áëàãî äàðèòå Áî ãà, ÷òî âû ðóññêèå ïîääàííûå, í î òî ëüêî ïî ä ðóññêèì çí àì åí åì : í å í àäåéòåñü í à àâòî í î ì í ûå ðåñï óáëèêè, èõ í å áóäåò, èáî ðóññêèé, âåëèêèé, ì î ù í ûé, áî ãàòûé ðóññêèé í àðî ä æèâåò; æèçí ü åãî òàê ì î ãó÷à, ÷òî ï åðåä í åþ Âàø è ï î ÷òåí í ûå ì åëêèå æèçí è äî ëæí û ñóù åñòâî âàòüñÿ (ðóêî ï ëåñêàí èÿ ñï ðàâà)"…..

რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი ალექსეი მიტროფანოვი: „არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ რუსები აფხაზებს დაეხმარნენ. ჯარი აფხაზებთან ურთიერთშეთანხმებით მოქმედებს და მათ ეხმარება. ჩვენ არასოდეს მივცემთ აფხაზეთს და ეს ყველამ ბრწყინვალედ იცის". ტელეკორესპონდენტის კითხვაზე (12 ოქტომბერი 2001წ.) - ვინ არ მისცემს აფხაზეთს - მიტროფანოვი პასუხობს: „რუსული ისთებლიშმენტი... მას თქვენი საქართველო სძულს ისევე, როგორც ამერიკელები. ის იძულებულია ამერიკელებს ანგარიში გაუწიოს, მაგრამ თქვენ არ ხართ ანგარიშგასაწევი, თქვენ უნდა დაგახრჩოთ, რადგან ჩვენ ძალა გვაქვს, 6000 საბრძოლო ქობინი (áî åãî ëî âêè), ჩვენ უზარმაზარი ქვეყანა ვართ და საერთოდ რატომ გელაპარაკებით".

რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი - დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინე ზატულინი რუსეთის ორმაგი სტანდარტების პოლიტიკასთან დაკავშირებით აცხადებს: „არ შეიძლება რუსეთისა და საქართველოს ერთმანეთთან შედარება. ამის ნიადაგზე არაფერი რეალობასთან ახლოს არ წარმოიშვება. ეს სხვადასხვა სახელმწიფოებია. ერთი, ადგილით უსაფრთხოების საბჭოში და ატომური იარაღით, მეორე კი, რომელსაც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საკუთარი ტერიტორიების შეკოწიწება არ შეუძლია." „...ამიტომ ინტერესებიდან გამომდინარე კმარა საუბარი იმის შესახებ, რომ რადგან ჩვენ ვიცავთ აფხაზებს, ამით საკუთარ თავს უფლებას ვართმევთ ჩეჩნეთში ოპერაცია ვაწარმოოთ. ეს ზოგიერთი კომენტატორისთვის საყვარელი თემაა. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დიადი სახელმწიფო ვართ და ამ რაიონში ვაკეთებთ იმას, რასაც საჭიროდ ვთვლით. მე მინდა გითხრათ, რომ მე და არამარტო მე უკვე დიდი ხანია მივედით, ერთ, შესაძლოა, ცინიკურ დასკვნამდე, ეს დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ დიადი სახელმწიფო იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც მის პოლიტიკაში ორმაგი სტანდარტებია, იმიტომ რომ მთელს მსოფლიოში რომის იმპერიის დაარსების დღიდან მოქმედებს პრინციპი: „რაც ნებადართულია იუპიტერისთვის, ნებადართული არაა ხარისთვის". - დასძენს ზატულინი.

აქედან გამომდინარე უდავოა, რომ რუსეთი, აგრესორისა და ოკუპანტის იარლიყს გულხელდაკრეფილი არ შეეგუება. ამ სიტუაციიდან ერთადერთ მისთვის ხელსაყრელ გამოსავალს რუსეთი ისევ და ისევ საქართველოზე ზეწოლის მოხდენაში ეძებს. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ თავად საქართველო სეპარატისტულ რეჟიმებთან გარკვეულ დათმობებზე ნებაყოფლობით წავა, მაშინ რუსეთს ხელ-ფეხი გაეხსნება. ე.წ. რუსული დიპლომატია მასში ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმებით ამუშავდება და მისთვის დამახასიათებელი მანიპულაციების წყალობით თავიდან ირიბად, ხოლო შემდგომ ზაქარეიშვილის თქმის არ იყოს, დინამიკიდან გამომდინარე, უკვე პირდაპირ ოკუპირებული ტერიტორიების საქართველოს მიერ აღიარებასაც შეძლებს - ýòî óæ äåëî òåõí èêè.... მოვლენების ასეთი განვითარება გამოიწვევს:

1. რუსეთის დიპლომატიურ და სამართლებრივ რეაბილიტაციას;

2. მის მიერ საქართველოზე წარმოებული აგრესიის სამართლებრივ დაკანონებას;

3. საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობის დაკნინებას, შემდგომ უკვე მის სრულ შთანთქმას და ამის ხარჯზე კავკასიისა და ევროპის კონტინენტზე პრივილეგირებული მოთამაშის სტატუსის დაბრუნებას;

4. ცივი ომის შედეგად ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ურთიერთობათა გადასინჯვას.

5. საქართველოს შესაძლო დათმობებისა და უკანდახევის ახალი პოლიტიკის გამო, საერთაშორისო საზოგადოებისა და დასავლელი პარტნიორების სრულ იმედგაცრუებას, რომლებიც 20 წლის მანძილზე მყარად იდგნენ ერთ პოზიციაზე და ერთსულოვნად აღიარებდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

და ბოლოს მოვლენათა განვითარების ამ გლობალურ ჭრილში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას წერტილი დაესმევა და ის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტს.

ცხადია, რუსეთი ჯერ კიდევ ათი წლით ადრე გეგმავდა ჩანაფიქრის განხორციელებას, რომლისთვისაც თავდაპირველ ეტაპზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო იდეოლოგიური სარჩულის მომზადება და შესაბამისად ამ იდეოლოგიის გამხმოვანებელთა მოძიებაც.

**2012 წლის 3 მარტი, 15:48 წთ.**

ალმანახი „Þ æí û é Êàâêàç"-ის მეორე ნომრის პრეზენტაციისას სტეფანაკერტში, ვინმე მწერალი და ჟურნალისტი ბესო ხვედელიძე ბოდიშის თხოვნით მიმართავს აფხაზ ხალხს: „ყველა უღირსი ქართველის გამო, რომელიც სოხუმში აფხაზების გვერდი-გვერდ ცხოვრობდა, გადამწყვეტ მომენტში არ დაიცვეს სამშობლო და ღირსება და ამის სანაცვლოდ აფხაზებს სროლა დაუწყეს." - დასძენს ბატონი ბესო.

მისივე სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ 20 წელზე მეტი გავიდა, არ გამოჩნდა ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც იტყოდა, რაც მან დღეს თქვა. - „მოვიყვან უბრალო მაგალითს: როცა ოჯახის ერთ წევრთაგანი გადაწყვეტს იცხოვროს ცალკე, მას ხომ ამის გამო არავინ ცემს და კლავს, უბრალოდ უშვებენ. თავის დროზე ჩეხეთი და სლოვაკეთი ასე გამოეყო ერთმანეთს. როგორც ჩანს კავკასიაში არ ეყოთ წესიერება, ადამიანობა და განათლება, იმისათვის, რომ საკითხის გადაწყვეტას სხვანაირად მიდგომოდნენ, შედეგად კონფლიქტები გვაქვს, რის გამოც რეგიონში თავისუფალი გადაადგილება შეუძლებელია". - დასძენს ხვედელიძე.

შემდეგ ეს ვაიჭკუის ჟურნალისტ-მწერალი ყარაბაღის პრობლემასაც გადაწვდა და ბრძნული რჩევით მიმართა ჩვენს მეზობელ ქვეყანას: „აზერბაიჯანი ასევე უნდა შეგუებოდა აზრს ყარაბაღის დამოუკიდებლობის შესახებ და უბრალოდ „გაეშვა".



თვალწინ წარმომიდგა ფრაგმენტი ფილმიდან „მონანიება"- დოქსოპულო! დედა გყაავს?

ზაქარეიშვილთან და ხვედელიძესთან ერთად ასპარეზზე ცნობილი კავკასიის საქმეთა ექსპერტი მამუკა არეშიძე ჩნდება. ის თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, რომელიც ორიგინალურ იდეებს შედარებით „უწყინარ ფორმებში" გამოთქვამს, მიუხედავად პროლოგ-ეპილოგში შეუთავსებლობისა, მეტი პირდაპირობით და შემტეობით გამოირჩევა.

ცნობილი ექსპერტი ინიციატივით გამოდის და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას აფხაზეთის დამოუკიდებლობა სცნოს. არეშიძის თქმით, აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის ამაღლება ერთადერთი რესურსია, რომელსაც აფხაზური ეთნოფონდის შენარჩუნება, გაუცხოებულ ქართველებსა და აფხაზებს შორის ყინულის ლღობა და მათი შერიგება შეუძლია.

„მოკლედ, სიტუაცია ჩიხშია შესული. დღევანდელი მდგომარეობით, აფხაზეთი დაკარგული გვაქვს, მაგრამ გარდა იმისა, რომ დაკარგული გვაქვს, არც სიტუაციის შეცვლის პერსპექტივა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის მხრიდან აღიარებულია ტერიტორიების ოკუპაცია და რუსეთი ამ თვალსაზრისით, დისკომფორტს გრძნობს, ის მხოლოდ დისკომფორტს გრძნობს და მორჩა."- ნიშანდობლივია ამ ციტატის ბოლო ფრაგმენტი, სადაც არეშიძე ხაზს უსვამს, რომ რუსეთი დისკომფორტს გრძნობს და მორჩა. განა რუსეთი რომ მხოლოდ დისკომფორტს გრძნობდეს, არეშიძის მგავსი ექსპერტები საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე იარსებებდნენ? თავად კავკასიის საქმეთა მცოდნის ინიციატივაშია ცხადი პასუხი იმისა, რომ რუსეთი საკუთარი შერყეული, საყრდენგამოცლილი ეროვნული უსაფრთხოების გამო არა დისკომფორტს, არამედ რეალურ საშიშროებას განიცდის. ამიტომ ცრუობს არეშიძე, როცა აცხადებს „დისკომფორტს გრძნობს და მორჩა".

ამის საპასუხოდ საინტერესო იქნება რუსი პოლიტოლოგის სერგეი მარკედონოვის მოსაზრება მოვიყვანოთ, რომელიც თავის სტატიაში „საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური პერსპექტივები, იდეოლოგია და პრაგმატიკა" აქტიურად განიხილავს საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებს და ამბობს: „არცერთი სერიოზული ამერიკელი პოლიტიკოსი იგნორირებას არ გაუწევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ნატოში წევრობა რუსეთისთვის არამხოლოდ გამაღიზიანებელი ფაქტორია, არამედ თავდასხმა მის განსაკუთრებულ ინტერესებზე ევროაზიაში."

არეშიძის მოსაზრებას რაც შეეხება, იმის შესახებ, რომ პროცესი ჩიხშია შესული და სამომავლო პერსპექტივაც არ ჩანს, ეს რუსული დიპლომატიის ერთ-ერთი ნიუანსია, რომელიც საზოგადოებაში აპათიისა და უიმედობის დათესვას ცდილობს, სხვადასხვა სარჩულებითა და ყალბი მოტივაციებით ერთადერთ მიზანს ემსახურება, საქართველო მორალურად ისე გადატეხოს, რომ განაჩენი საკუთარ თავს თავად გამოუტანოს. მსგავსი ნიუანსების ნათელი მაგალითი ისევ მამუკა არეშიძის ერთ-ერთ განცხადებაშია.

„რადგან ვხედავ ჩიხურ სიტუაციას და მისი გამოსწორების უპერსპექტივობას, მიმაჩნია, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება საინტერესო პროცესის დასაწყისი უნდა იყოს. აუცილებელია პროცესის შექმნა. იმისთვის კი, რომ ეს ასე მოხდეს და აფხაზები მოუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, საჭიროა სამართლებრივი სტატუსის მაქსიმალურად მაღლა აწევა. ამ სიტუაციაში, ჯერ ერთი, ახალი სტიმული მიეცემათ დასავლელ პარტნიორებს, უპირველესად გაეროს, მეორე მხრივ კი, ის რუსეთს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს" - აცხადებს ექსპერტი. სიტუაციის შესაცვლელად მამუკა არეშიძე ერთადერთ გამოსავალს საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაში ხედავს. „საინტერესო პროცესის" ერთადერთ და ძირითად არგუმენტად მოლაპარაკების პროცესში აფხაზების ჩართვის პერსპექტივას ასახელებს. არეშიძისეული ლოგიკით იმისთვის, რომ აფხაზებმა საუბრის პატივი დაგვდონ, ჩვენ მათი დამოუკიდებლობა უნდა ვაღიაროთ, რაც ბუნებრივ კითხვას ბადებს: იმ შემთხვევაში, თუ საქართველო კაპიტულაციას გამოაცხადებს, რა საკითხი იქნება მოლაპარაკების საგანი? და არსებობს თუ არა ამ შემთხვევაში საერთოდ მოლაპარაკებების წარმოების საფუძველი? თუმცა, არეშიძის მოსაზრებით, საქართველოს მიერ მისი ტერიტორიის აღიარებას მოულოდნელობის ეფექტი უნდა მოყვეს, რაც მისთვის ახალ პერსპექტივებს შექმნის. კერძოდ, ერთის მხრივ, რუსეთი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება იმით, რომ ოკუპანტის იარლიყი მოეხსნება, ხოლო მეორეს მხრივ -საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე მყარად და თანმიმდევრულად ცნობდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებს საქართველოს განუყოფელ ნაწილებად, თურმე სტიმული მიეცემა მარტო იმით, რომ მისი ძალისხმევა საქართველოს მხარდასაჭერად ამაო და ფუჭი დროის ფლანგვა იყო.

საბოლოო ჯამში მთელი ეს კაპიტულანტური აბდაუბდა თავის კულმინაციას აღწევს, როდესაც არეშიძე განმარტავს: „არასოდეს მითქვამს, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უპირობოდ უნდა ვაღიაროთ. მე განვაცხადე, რომ უნდა დავიწყოთ აფხაზეთის ცნობის პროცესი". აქამდე ვიცოდით, რომ „აღიარება" და „ცნობა" ერთმანეთის სინონიმები იყო, მაგრამ როგორც ჩანს არეშიძის ენაზე ანტონიმებია. ამაოდ ცდილობს არეშიძე აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხი სამომავლო სჯა-ბაასისა და დისკუსიის თემად გაასაღოს. როგორც ამბობენ სიცრუე თავისივე პირით ემხილებაო. არეშიძემაც არ დააყოვნა:

„ჩვენ გვაქვს შანსი შევქმნათ ორი ქართული და ქართულ-აფხაზური სახელმწიფო" - აცხადებს არეშიძე. აი, ესეც მთელი ამ მიკიბულ-მოკიბული, აბსურდული მოსაზრების პრიმიტიული, რუსული წარმოების თეთრი ძაფებით ნაკერი ფინალი.

არეშიძისეულ საქართველოს „ნათელი მომავლისათვის" შემუშავებულ სქემაში, მისი თქმის არ იყოს ერთი „საინტერესო პროცესი" შეიმჩნევა. რუსულ დიპლომატიას მეთოდები გაუცვდა და გაუცვდა იმდენად, რომ ამ ძალად შეკოწიწებული ბოდვის მხოლოდ მას და მისი იდეოლოგიის გამხმოვანებლებს ჯერათ. ასევე ვენესუელას, ნიკარაგუასა და "ვეებერთელა" ნაურუს. და მაინც, სანამ ადამიანთა ეს ჯგუფი ეშმაკთან გარიგებას დათანხმდებოდა, ნუთუ ერთი წამით მაინც არ გაახსენდათ 27 სექტემბერს (1992 წ.) სამშობლოს სიყვარულისთვის სანთლად ჩაღვენთილი მამულიშვილნი, მათ ხომ საქართველოს ერთიანობისთვის დაცემულ ათასობით გმირს სულში ჩააფურთხეს!

სასურველია, არეშიძემ და თანამოაზრეებმა აშშ-ს ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტის დევიდ უილსონის ცნობილი გამოსვლა გაიხსენონ, სადაც ის მოუწოდებს ალიანსს საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე უარი არ უთხრას იმ მოტივით, რომ საქართველოს ტერიტორიები რუსეთს ოკუპირებული აქვს, რადგან ამ შემთხვევაში რუსეთს ვე-

ტოს დადების უფლება მიენიჭება, ეს კი არ უნდა მოხდეს. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია რუსეთის მხრიდან შორს გამიზნული ნაბიჯი იყო. რუსეთი მიზნად ისახავდა საქართველოს დასავლური ინტეგრაციისკენ პოტენციური მისწრაფების იმთავითვე აღმოფხვრას. რუსეთი იმედოვნებდა, რომ ტერიტორიული პრობლემების მქონე ქვეყნისთვის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა. რუსეთთან, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ გავლენიან და ანგარიშგასაწევ ძალასთან, საქართველოს გამო მსოფლიოს არც ერთი წამყვანი ქვეყანა დაპირისპირებაში არ შევიდოდა. საქართველოს, როგორც შიდა მოხმარების პროდუქტს, რუსეთი თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მოექცეოდა ისე, როგორც თავად ჩათვლიდა საჭიროდ. მიუხედავად ამისა, 20 წლის მანძილზე მსოფლიო პოლიტიკაში ბევრი რამ შეიცვალა და არა რუსეთის სასარგებლოდ. ამ პერიოდში საქართველოს გეოპოლიტიკურმა მნიშვნელობამ ევროპისთვის მეტი აქტუალობა შეიძინა და დასავლეთის მოთხოვნაც მასზე საგრძნობლად გაიზარდა. ამიტომ რუსეთს მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებით მანიპულირება დღითიდღე უძნელდება.

შეშფოთება, რომელსაც რუსეთი საქართველოს ევრო-ატლანტიკური პერსპექტივების გამო განიცდის, რუსეთის პირველი დიპლომატის სერგეი ლავროვის განცხადებებში მკაფიოდ იკვეთება. ის გამოთქვამს შეშფოთებას ნატოს პარტნიორების მიერ საქართველოს ასპირანტი ქვეყნის სტატუსით მოხსენიებასთან დაკავშირებით. „საქართველოს რემილიტარიზაციის პროცესი 2008 წლის შემდეგ სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რაც რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის გამომწვევი მიზეზი ხდება“. - აცხადებს ლავროვი. ლავროვის ეს განცხადება პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა, რომელსაც რუსეთი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მთავარ შემაფერხებლად მოიაზრებდა, არსებობს რეალური პერსპექტივა იმისა, რომ საქართველო მაინც გახდეს ევროატლანტიკური ალიანსის წევრი.

ვუბრუნდები პაატა ზაქარეიშვილს, რომელსაც საქართველოსთვის ნომერ პირველი პრობლემის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი აბარია. ნიშანდობლივია მისი ამა წლის 24 ოქტომბრის პასუხი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის მისამართით, სადაც რეინტეგრაციის მინისტრობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის რიტორიკა ქართულ მხარესთან პირდაპირი დიალოგის თაობაზე ექვს თვეში შეიცვლება. როგორც ცნობილია, ანქვაბის განცხადებით საქართველოსთან პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკებები გამორიცხულია.

“ჩვენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხები არ გვაინტერესებს, დევნილების თემას და ა.შ., შექმნილ პოლიტიკურ რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ჩვენ საერთაშორისო გარანტიებით საომარი მოქმედებების განუახლებლობის იურიდიული ვალდებულების შესახებ შეთანხმება უნდა განვიხილოთ. სხვა საკითხები არ გვაინტერესებს'', - განაცხადა ანქვაბმა. მაოცებს ანქვაბის მბრძანებლური ტონი და თავდაჯერება, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ გამარჯვებულისთვის. ამ ფონზე ზაქარეიშვილი დათმობებისა და ბოდიშის მოხდისკენ მოგვიწოდებს. რაც შეეხება დათმობებს ეს უკვე განვლილი ეტაპია, რისი თვითმხილველიც შევარდნაძისა და გამსახურდიას პერიოდში ჩვენ ვიყავით.

ზაქარეიშვილი შესაშური ოპტიმიზმით აღნიშნავს, რომ ექვს თვეში ყველაფერი კარდინალურად შეიცვლება და ანქვაბს ასეთი განცხადებების გაკეთება არ დაჭირდება. აცხადებს პიროვნება, რომელსაც 20 წლის მანძილზე აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში ერთი აგური არ დაუდია. რას გულისხმობს ზაქარეიშვილი, როცა ამბობს ანქვაბს არ დაჭირდებაო? რა სახის არგუმენტით აპირებს ზაქარეიშვილი დე ფაქტო პრეზიდენტისთვის აპელირებას? კონკრეტულად რა ფაქტორი გამოიწვევს ანქვაბში ფერისცვალებას, რომელსაც რეინტეგრაციის მინისტრი წინასწარმეტყველებს? შესაძლოა კლასიკური და “უწყინარი ფორმების” შეთავაზებით ეცდება დე ფაქტო პრეზიდენტის გულის მოლბობას, მაგრამ რამდენად დაცული იქნება ამ შემთხვევაში საქართველოს სტრატეგიული ინტერესები?

ნიშანდობლივია ზაქარეიშვილის ინტრევიუ, გამოქვეყნებული ჟურნალ „ტაბულაში“, სადაც ის აღნიშნავს: „გადაბარების პროცესს ძველი ხელისუფლება მთელი გულწრფელობით ეკიდება, არ არსებობდა თემა, რომელიც ჩაღრმავებულად არ აეხსნათ, ვეთანხმები თუ არ ვეთანხმები სხვა საკითხია“. იმ ფონზე, როდესაც ძველი მთავრობის მინისტრები ერთმანეთის მიყოლებით გარბიან ქვეყნიდან, გადაბარების პროცესი ზაქარეიშვილთან საკმაოდ თბილ და კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობს.

აქვე გულწრფელად გამაოცა მინისტრის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ ჟენევის ფორმატი შექმნილია საქართველო-რუსეთის ომის შემდგომ და სწორედ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ფორმატს წარმოადგენს, სადაც აფხაზი და ოსი მონაწილეები პრაქტიკულად რუსეთის პოზიციებს აჟღერებენ. „ფაქტია, რომ ეს ფორმატი არაეფექტურია, მაგრამ საჭირო. სულ არაფერს ეს სჯობს. მგონი საჭიროა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა – ძირითადი ხაზი, რუსეთ-საქართველოს კონტექსტი, უნდა დარჩეს უპირატესად. საქართველოს ხელისუფლებას სურს, რომ ეს იყოს რუსეთ-საქართველოს ფორმატი და ამაში ვეთანხმები. რუსეთს სურს, რომ ეს იყოს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ფორმატი, რაშიც მე რუსეთს არ ვეთანხმები'' -ამბობს ზაქარეიშვილი.

კონკრეტულად ამ განცხადებას და ზოგადად ინტერვიუში გამოთქმულ მოსაზრებებს სიმართლე გითხრათ წუნი ვერ ვუპოვე, აშკარად შეინიშნებოდა პრემიერ-მინისტრის ზეგავლენა და ვიფიქრე, რომ სავლე პავლედ იქცა, მაგრამ იქვე სათაურის სრულმა შეუსაბამობამ შინაარსთან გამაკვირვა. ხოლო უკვე რამოდენიმე დღის მერე ზაქარეიშვილის მიერ გაჟღერებულმა განცხადებებმა დამარწმუნა, რომ ჩემი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა.

მთელი ეს ბრძნული ინტერვიუ დასათაურებულია შემდეგნაირად:

„ჩვენი ხელისუფლების პირობებში აფხაზეთის აღიარების საკითხი არ დადგება''-ირწმუნება ზაქარეიშვილი.

რას გულისხმობს მინისტრი, როცა აცხადებს აღიარების საკითხი არ დადგებაო? რა ქვეტექსტია ჩადებული ფრაზაში, რომლის ფორმულირება ძირეულად და იმთავითვე არასწორია? აღიარების საკითხი არ დადგება ამბობს ზაქარეიშვილი, რაც ბუნებრივ კითხვას ბადებს: რა შეიძლება რომ დადგეს? ამ თითქოს ერთი შეხედვით „უწყინარ“ განცხადებაში, საკმაოდ საშიში ტენდენცია შეინიშნება. ახალი მთავრობის ახალი მინისტრი ვალდებულია საზოგადოებას მყარი გარანტიები მისცეს იმისა, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფო აფხაზეთს აუცილებლად შემოიმტკიცებს. ამის სანაცვლოდ ზაქარეიშვილი ორაზროვან განცხადებას აჟღერებს და ამბობს აფხაზეთის აღიარების საკითხს არ დავაყენებთო, თითქოს საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებობდეს ალბათობა და საჭიროება ამ საკითხის დაყენებისა. მსგავსი ფორმულირებების არა თუ გაჟღერება, არამედ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არსებობაც კი კატეგორიულად დაუშვებელი, დასაგმობი და ამორალურია.

როგორც ცნობილია, ეს ყველაფერი იმ ფონზე ხდება, როდესაც აფხაზეთის საკითხის განხილვა ჯერ ახალ მთავრობას არ დაუწყია. ზაქარეიშვილს მსგავსი განცხადების გაჟღერება მისი კონფლიქტოლოგად მოღვაწეობის დროს შეეძლო და არა ეხლა, როდესაც ის ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობაზე იმყოფება და ყოველგვარი წინასწარი სტრატეგიული შეთანხმების გარეშე თავს უფლებას აძლევს მსგავსი უპასუხისმგებლო განცხადებები გაახმოვანოს.

ზაქარეიშვილისა და მის თანამოაზრეთა იდეოლოგიის არსებობა დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში, ჩემის აზრით, ხელს უწყობს ქვეყნის სახიფათო საგარეო კურსის ჩამოყალიბებას. საფრთხე ძირითად ოსტატურად შენიღბულ მეთოდებში მდგომარეობს, რის ხარჯზეც ქართული საზოგადოების დაბნევა და შეცდომაში შეყვანაა გამიზნული. ზაქარეიშვილის მორიგი განმარტება, რომელიც აფხაზური და ოსური პასპორტების „ცნობა-აღიარების“ საკითხს ეხება, როგორც ყოველთვის პროლოგ-ეპილოგში რბილად რომ ვთქვათ მოიკოჭლებს, თუმცა განმარტება ამ იდეოლოგიის მიმდევართა შენიღბული მეთოდების ნათელი მაგალითია.

ამა წლის 7 ნოემბერს „რია ნოვოსტის“ პრეს-კლუბში ზაქარეიშვილი გავრცელებულ ინფორმაციას, ოსურ-აფხაზური პასპორტების აღიარების თაობაზე, მისთვის ჩვეული დამაიმედებელი შესავლით უარყოფს. ის აცხადებს, რომ ეს პასპორტები, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს და ეს არის უკანონო ორგანოების მიერ გაცემული რაღაც დოკუმენტი, რომელსაც ის პასპორტად არ აღიარებს. თუმცა ამ დამაიმედებელ განმარტებას კარდინალურად განსხვავებული შინაარსის განცხადება მოყვება:

“თუმცა არ გამოვრიცხავ, ამ ტიპის დოკუმენტები ვცნოთ და არა ვაღიაროთ – ეს ორი განსხვავებული ტერმინია, როგორც საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, რათა მათ ისარგებლონ იმავე უფლებებით, რაც საქართველოს მოქალაქეებს გააჩნიათ'', - განმარტა ზაქარეიშვილმა.

დამაინტერესა „ცნობა-აღიარების“ ტერმინოლოგიურმა სხვაობამ - „ვცნოთ და არა ვაღიაროთ“. ამიტომაც ქართულ გრამატიკას თვალი გადავავლე.

სინონიმები იდენტური მნიშვნელობის, ესეიგი საგნობრივი მიმართებით ერთგვარი, სხვადასხვა სიტყვებია. მაგ., სინონიმებია სიტყვები: “პროსპექტი” და “გამზირი”, რადგან ორივე ერთიდაიგივეს აღნიშნავს. აგრეთვე სინონიმებია “მოსწავლე” და “მოწაფე”, “ავადმყოფი” და “სნეული”, სინონიმებს რომლებიც ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან დუბლეტები ეწოდებათ(ასეთებია: არქიტექტურა და ხუროთმოძღვრება).

ქართული განმარტებითი ლექსიკონი: აღიარება სახელი აღიარებს - ზმნის მოქმედების. განმარტება: 1. ცნობა, მართებულად მიჩნევა, გაზიარება (რისამე).

ცნობა სახელი ცნობს ზმნის - მოქმედების, განმარტება: 1. აღიარება. დამნაშავედ ცნობა (რისამე ან ვისამე), ან მართებულად ცნობა (რისამე ან ვისამე).

მაშასადამე „ცნობა-აღიარება“ სიტყვებია, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით ერთმანეთის სინონიმებს წარმოადგენენ და მეტიც, მათ შეიძლება დუბლეტებიც ვუწოდოთ.

და მაინც, რას გულისხმობს ზაქარეიშვილი, როცა აცხადებს „ვცნოთ და არა ვაღიაროთ“? ზაქარეიშვილისეულ ტერმინ „ცნობაში“ შესაძლოა სიტყვიერი, საჯარო დეკლარირების ფორმა იგულისხმებოდეს, რომელიც ერთი შეხედვით იურიდიულ ვალდებულებებს არ მოიცავს. მსგავს შემთხვევაში მხარეები ოფიციალურად აცნობენ, ანუ დეკლარირებენ ერთმანეთის მისამართით ამა თუ იმ მისწრაფებებს.

დეკლარირება ნიშნავს ცნობას, საჯარო და საყოველთაო გამოცხადებას, რომელიც გარკვეული მტკიცებულებებით გამაგრებული არ არის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ „ტერმინების განსაზღვრებებში“ „დეკლარაცია-დეკლარირება“ შემდეგნაირად განიმარტება.

„ტერმინი “დეკლარაცია” სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტების განსაზღვრისთვის გამოიყენება. თუმცა, დეკლარაცია ყოველთვის იურიდიულად სავალდებულო არ არის. ეს ტერმინი ხშირად შეგნებულად გამოიყენება იმის დემონსტრირებისთვის, რომ მხარეები იურუდიული ვალდებულებების დამყარებას არ აპირებენ, არამედ სურთ მხოლოდ გარკვეული მისწრაფებების დეკლარირება. ამავე დროს დეკლარაციები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, ზოგადად სიტყვებს, რომლებსაც უნდა ქონდეთ სავალდებულო ძალა საერთაშორისო სამართლის ენაზე. ამასთან დაკავშირებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს აპირებენ კი მხარეები იურიდიულად სავალდებულო ვალდებულებების დამყარებას. ხშირ შემთხვევაში მხარეების მისწრაფებების გარკვევა შეიძლება რთული ამოცანა იყოს. ზოგიერთ დოკუმენტს დასათაურებულს „დეკლარაციით“, არ უნდა ქონოდა სავალდებულო ძალა, როგორც დასაწყისში ვარაუდობდნენ მხარეები, თუმცა მოგვიანებით მათი მდგომარეობა ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლის ანარეკლი გახდა, ან სამართლის ჩვეულებრივი ნორმის აუცილებელი ხასიათი შეიძინა“.

დავუშვათ, რომ ზაქარეიშვილი ტერმინ „ცნობაში“ საქართველოს მხრიდან ოკუპირებული რეგიონების მისამართით გარკვეული მისწრაფებების გაცნობას, საჯარო, ოფიციალურ გამოცხადებას გულისხმობს, ყოველგვარი იურიდიული ვალდებულებების დამყარების გარეშე, რაც ორივე მხარისთვის შესაძლო დაახლოების საწინდარი გახდეს. ამ შემთხვევაში ბუნებრივი კითხვა იბადება: ვაცნობთ რას? რა სახის ინფორმაციას ვაჟღერებთ, იმისათვის, რომ რეგიონებთან კონტაქტზე გავიდეთ? ზაქარეიშვილის განცხადებით აფხაზურ-ოსური პასპორტები, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს და ეს არის უკანონო ორგანოების მიერ გაცემული რაღაც დოკუმენტი, რომელსაც ის პასპორტად არ აღიარებს. მისი თქმით ჩვენ ვაცნობთ, ანუ ვდეკლარირებთ, რომ ამ უკანონო ორგანოების მიერ გაცემულ რაღაც დოკუმენტებს არ ვაღიარებთ და ეს არის დაახლოების ზაქარეიშვისეული ხედვა? ან ჩვენ ამ რაღაც დოკუმენტებს, რომელსაც არ ვაღიარებთ, ვცნობთ იმ დოზით, რომ საქართველოს მოქალაქეების პირადობის მოწმობებს გაუტოლდეს? გულწრფელად გეტყვით ამ სიტყვათა და ე.წ. ტერმინთა თამაშში ვირეშმაკობას ვხედავ ზედმეტი ვაიჭკუისაგან, სადაც ძნელია თვალყური მიადევნო ზღვარი აღიარებასა და ცნობას შორის სად გადის.

მსგავსი „უწყინარი“ განცხადებების გამოცდილება საქართველოს უახლეს ისტორიაში უკვე ქონდა, რაც ქვეყნისთვის სავალალო შედეგით დამთავრდა, როდესაც რუსეთმა 16 წლის თავზე თავისი „უწყინარი“ სურვილი გააფორმა. არ მესმის, რა საჭიროა დანაღმულ ველზე ძალით სიარული, წერტილის ან უხერხულად დასმული მძიმის გამო გაუთავებელ დავაში ნებაყოფლობით საკუთარი თავის ჩათრევა. ფრაზა „ვცნოთ და არ ვაღიაროთ“, რომელიც ერთი შეხედვით ქვეყნის გამთლიანების კეთილი სურვილითაა გამსჭვალული არაერთ გაუგებარ და ურთიერთგამომრიცხავ დამოკიდებულებას იწვევს.

გაეროს „ტერმინთა განმარტებებში“, როგორც ზემოთაა მოყვანილი, მსგავს განცხადებებს, რომლებსაც მხარეების თავდაპირველი ვარაუდით არ უნდა ქონოდათ სავალდებულო ძალა, დროთა განმავლობაში სამართლებრივი ხასიათი შეიძინეს. აქვე ჩვეულებრივი სამართლის ენაზეც ცნობასა და აღიარებას სამართალმცოდნეთა განმარტებით თითქმის იდენტური სამართლებრივი ხასიათი გააჩნია. ზაქარეიშვილის დამოკიდებულებას ამ ტერმინთა მიმართ კი, რომელსაც ის ხაზგასმით განასხვავებს ერთმანეთისგან, საჯარო გაცნობისა და გაცხადების ელფერი დაკრავს. თუმცა ისევ და ისევ მსგავს ვითარებაში მკაფიოდ გამოკვეთილი საზღვრის გავლება რთულია. ვფიქრობ, ეს უკვე გარკვეული პროცესის დასაწყისი იქნება, რომლის გაკონტროლება საქართველოსთვის დიდი თავსატეხი შეიძლება გახდეს.

აქედან გამომდინარე შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ ფრაზა „ვცნობთ და არ ვაღიარებთ“ , შესავალი იყოს ხანგრძლივი და დროში წელვადი პროცესის საბოლოო აღიარებისკენ.

რუსეთ-საქართველოს შორის შესაძლო სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ საკითხი პაატა ზაქარეიშვილმა განხილვის ერთ-ერთ თემად გაახმოვანა, რამაც აზერბაიჯანელი ექსპერტების უკმაყოფილება გამოიწვია. „რია ნოვოსტის“ პრესკლუბში ჟურნალისტებთან შეხვედრისას ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ აზერბაიჯანს შეშფოთების საფუძველი არ გააჩნია და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. მან სარკინიგზო მიმოსვლა მხოლოდ ერთ-ერთ თემად დაასახელა, რომელზეც საუბარი შეიძლება, თუმცა ეს შეიძლება, მოლაპარაკებების საგნად არც იქცეს.

“აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან არანაირი განცხადებები იმის თაობაზე, რომ ეს შემაშფოთებელია, არ გამიგია. რაც შეეხება საექსპერტო წრეებს, მათ შეიძლება, ბევრი რამე თქვან. აზერბაიჯანს შეშფოთების საფუძველი არ გააჩნია. ის არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და გამორიცხულია, რომ ისეთი ნაბიჯი გადაიდგას, რაც ამ ურთიერთობას ჩრდილს მიაყენებს''-აცხადებს ზაქარეიშვილი. ზაქარეიშვილის მიერ გაჟღერებული სარკინიგზო მიმოსვლის შესაძლო აღდგენის საკითხს ნიადაგის მოსინჯვის ხასიათი აქვს. ეს ერთგვარი ტესტია, იმისა თუ რამდენად შესაძლებელია უახლოეს მომავალში ამ საკითხის განსახილველად დაყენება. ის, რომ მსგავსი „პერსპექტივა“ აზერბაიჯანის, როგორც მეგობარი ქვეყნისა და საქართველოს ძირითადი ენერგო მომმარაგებლის შეშფოთებას იწვევს, მისთვის ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ყარაბაღის საკითხში, ცხადია. მიმოსვლის აღდგენა რუსეთს საშუალებას მისცემს ენერგოდერეფანზე თავისი ზეგავლენა დააწესოს, რაც მას მუდმივი დესტაბილიზაციის საფრთხეს შეუქმნის. ყველაზე მთავარი, რაზეც ზაქარეიშვილი განზრახ ყურადღებას არ ამახვილებს, ეს საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორი - ამერიკის შეერთებული შტატებია. მიმოსვლის აღდგენა რეგიონში ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებს, ვფიქრობ, პირდაპირ დაარტყამს, რაც შეერთებული შტატების გაღიზიანებას გამოიწვევს. ვშიშობ ირანთან მიმართებაშიც ბევრი

16 gv.

15 gv.

კითხვა შეიძლება გაჩნდეს. ასევე საინტერესოა რა კონტექსტით იქნება მოხსენიებული ოკუპირებული ტერიტორია, როდესაც მასზე სარკინიგზო მაგისტრალი გავა. აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლება მოითხოვს მაგისტრალი აფხაზეთის, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფოს" ტერიტორიაზე გავიდეს. ამ შემთხვევაში იქნება თუ არა მსგავსი გარემოება საქართველოს მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის ირიბი აღიარება?

ამა წლის 7 ნოემბერს, „რია ნოვოსტის" პრეს-კლუბში ზაქარეიშვილს ჟურნალისტმა 2001 წელს სოჭში "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ასპექტების" დისკუსიის ფარგლებში გაკეთებული განცხადება შეახსენა, სადაც ის აფხაზეთის აღიარების მოხდენაზე საუბრობდა.

"აფხაზეთის აღიარება (ღმერთმა ქნას) მოხდება მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს პირობებში, მაგრამ ეს ძალიან ხანგრძლივი პროცესი იქნება, შესაძლოა, ბოლო აკორდიც კი გახდეს. აფხაზეთის აღიარებით საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრიობა დაიწყება, მაგრამ ეს იმდენად გვიან მოხდება, რომ თქვენ ამდენ ხანს ცდა არ უნდა გიღირდეთ".

„საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრიობის დაწყებას" ზაქარეიშვილი რეინტეგრაციის მინისტრის რანგში უკვე შეუდგა. ჯერ აფხაზურ-ოსური პასპორტების ცნობის სურვილს გამოთქვამს, ინფორმაციული ველის გარღვევას ცდილობს, რკინიგზის მიმოსვლის შესაძლო აღდგენის საკითხს აჟღერებს. ჯერ ხომ უნდა განგვანათლოს, „უწყინარი ფორმებით" მოგვთაფლოს და შემდეგ უკვე „ნამდვილი სახელმწიფოებრიობის" დაწყებაც არ დააყოვნებს, რადგან „აფხაზეთის აღიარება (ღმერთმა ქნას) მოხდება მხოლოდ ძლიერი სახელმწიფოს პირობებში."

ჟურნალისტებთან შეხვედრისას ზაქარეიშვილი წინა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ეპიზოდს იხსენებს და ამბობს, რომ „მე მონაწილე ვიყავი იმ კონცეფციის შექმნისა, სადაც აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი საქართველოს ფარგლებში ჩაწერილი იყო. ეს კონცეფცია მე არ დამიწერია, ის დავით ბაქრაძემ, კოტე კუბლაშვილმა, დავით დარჩიაშვილმა დაწერეს, იმ ადამიანებმა, რომლებიც ძალაუფლებაში იყვნენ და შემდეგ უარყვეს ეს დოკუმენტი"- გამოთქვამს სინანულს ზაქარეიშვილი. ირკვევა, რომ თავად კონცეფციის ავტორებიც კი მიხვდნენ ამ იდეის აბსურდულობას, რომელსაც ზაქარეიშვილი, როგორც ჩანს, დღესაც მისტირის და რომელშიც ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

ჩემთვის ყოვლად მიუღებელია ის, რომ აფხაზეთის ბედს განიხილავენ ადამიანები, რომლებსაც აფხაზეთთან საკურორტო მოგონებების გარდა არაფერი არ აკავშირებთ, ხოლო აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლები მშობლიური კუთხის განხილვის პროცესს მთლიანად გამოთიშულნი არიან. ამდენად, ვერანაირად ვერ გავიზიარებ გ. ვოლსკის მოსაზრებას, რომელიც ირწმუნება, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის ლეგიტიმური ხელისუფლებები დევნილობაში საზოგადოებას ორივე მხრიდან აღიზიანებენ.

„ახალი ხელმძღვანელობა მზად არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების დევნილობაში სტატუსს გადახედოს. თბილისში მათ ასევე უწოდებენ ლეგიტიმურ მთავრობებს" - ამბობს ვოლსკი. თბილისში ლეგიტიმურს უწოდებენო მთავრობებს აღნიშნავს ვოლსკი, თითქოს მათი ლეგიტიმურობა სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს.

„ჩვენ ვსაუბრობთ ლეგიტიმურობაზე იმ სტრუქტურების, რომლებიც 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში აირჩიეს და პრაქტიკულად უმოქმედონი არიან. არაფერს არ აკეთებენ გარდა იმისა, რომ საზოგადოებას ორივე მხრიდან აღიზიანებენ"-აგრძელებს თავის მოსაზრებას ვოლსკი და იქვე დასძენს, რომ ამ სტრუქტურების წარმომადგენლები მოლაპარაკებების ყველა ფორმატიდან გადაყენებულნი იქნებიან. რაც შეეხება აფხაზეთისა და ცხინვალის ლეგიტიმური სტრუქტურების უმოქმედობას, სათავეს მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში იღებს. თავდაპირველად მან აფხაზეთის ლეგიტიმური, აფხაზეთში არჩეული დეპუტაცია პარლამენტიდან გამოაძევა. ლეგიტიმური სტრუქტურების პოლიტიკური პროცესებიდან გამოთიშვამ გამოიწვია მათი ხელოვნური იზოლაცია და შემდეგ უკვე პრაქტიკული უმოქმედობა. რას ნიშნავს ვოლსკის თქმით, ამ სტრუქტურების სტატუსის გადახედვა? ამ შემთხვევაში მოლაპარაკებების პროცესიდან მათი ნაჩქარევი გარიყვა იმ ძველი პოლიტიკის გაგრძელება ხომ არ იქნება?!

ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილ გაზეთ „Àáõàçñêèé ìåðèäèàí"-სთვის 2004 წელს მიცემულ ინტერვიუში პაატა ზაქარეიშვილი მასზე პროაფხაზური წარმოდგენის ჩამოყალიბების საკითხს ეხება და ამბობს:

„ჩემს შესახებ საქართველოში ჩამოყალიბდა წარმოდგენა, როგორც პროაფხაზურად განწყობილ ადამიანზე. მაგრამ მეც კი დღეს მომხრე არ ვარ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებისა".- ამბობს ზაქარეიშვილი. ის არ უარყოფს თავის პროაფხაზურობას. ის აცხადებს: „მაგრამ მეც კი დღეს მომხრე არ ვარ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებისა". ანუ ზაქარეიშვილიც კი, როგორც პროაფხაზი, აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების მომხრე არ არის. ის მოსურნეა იმისა, რომ „ხელშეკრულება, რომელიც აფხაზეთთან შესაძლოა დაიდოს, აუცილებლად უნდა შეიცავდეს აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის მექანიზმს, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში რაღაცა გარკვეული ეტაპის შემდეგ ამოქმედდება".

დღეს ცხადად ვხედავ სურვილს ზაქარეიშვილისა და არეშიძის მხრიდან საქართველოს საგარეო კურსში ორმაგი სტანდარტების შემოღებისა. მიუხედავად იმისა, რომ მინისტრი ეთანხმება საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულ და უკვე დადგენილ კონფლიქტის ორ დაპირისპირებულ მხარეს საქართველოსა და რუსეთის სახით, მაინც შეფარვით ცდილობს საზოგადოებას თავს სხვა „მცნებები" მოახვიოს. 2008 წელს მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და სისხლიანი აგვისტოს მოვლენები შეფასდა, როგორც რუსეთ-საქართველოს ომი. შესაბამისად რუსეთი დიპლომატიურ დონეზე გამოცხადდა ოკუპანტად და ქართული მიწები მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად. 2008 წლის მდგომარეობით ჩამოყალიბდა კონფლიქტის ორი მხარე - რუსეთი და საქართველო. მოლაპარაკებები მხოლოდ და მხოლოდ ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის უნდა მიმდინარეობდეს. სხვა მხარეების ძებნა გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, რაც გამოიწვევს საქართველოს გაურკვეველი, ყოვლად უპრინციპო, სამარცხვინო პოზიციის დაკავებას მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში. ხაზგასმით ვიმეორებ, რომ მსგავსი ვითარება გამოიწვევს მსოფლიოს მეგობარი ქვეყნების იმედგაცრუებას, რომლებიც 20 წლის მანძილზე მყარად იდგნენ ერთ პოზიციაზე და იცავდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. გაუწიეს ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური, დიპლომატიური და მორალური მხარდაჭერა. ნუთუ ეს თანადგომა მთელი ამ დროის მანძილზე ფუჭი დროის ფლანგვა იყო? წარმატება, რომელსაც საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე მიაღწია, არეშიძისა და ზაქარეიშვილის აკვიატებულ და აბსურდულ კონცეფციებს შეეწიროს? ამ კონცეფციების მიხედვით ის საფასური, რომელიც საქართველომ აფხაზებთან მოლაპარაკების დასაწყებად უნდა გადაიხადოს, ქვეყნის ნებაყოფლობითი დაშლა და დანაწევრებაა.

თავის დროზე მე ზაქარეიშვილს პასუხი გავეცი, როდესაც ბოდიშის მოხდისკენ მოგვიწოდებდა: „ ჩემი აზრით, არ არის ბატონი პ. ზაქარეიშვილი ის კაცი, რომელმაც ჩვენ, როგორც პატარა ბავშვებს ჭკუა უნდა დაგვარიგოს და აფხაზებთან ურთიერთობა გვასწავლოს, მან არ უნდა გვიკარნახოს: „საქართველომ ბოდიში უნდა მოუხადოს აფხაზებს". ვინ მისცა პ. ზაქარეიშვილს იმისი უფლება, რომ საქართველოს სახელით ბოდიშები არიგოს. ვინ და რისთვის უნდა მოიხადოს ბოდიში ან პასუხი ვის უნდა მოეთხოვოს, რომელ მხარეს, ისეთ სიტუაციაში, როდესაც ჩემს აფხაზ მეგობარს, გრიშა მარღანიას ქართველები მიკლავენ, ხოლო კეთილშობილ აფხაზს იური ანუას - თვით აფხაზები!"

გარკვეული ჯგუფის აკვიატებული იდეებითა და ქადაგებებით არაერთხელ აღშფოთებულმა, ჩემი აზრი პრესის საშუალებით რამოდენიმეჯერ გამოვთქვი, მაგრამ მათი მხრიდან პასუხს ვერ ვეღირსე. ამჯერადაც, ორაზროვანი, ბუნდოვანი, მიკიბულ-მოკიბული აზრების გამო, რომელიც ჩემი სამშობლოს მომავალს ეხება, ისევ ვიფიქრე საჯაროდ ჩემი პოზიცია გამომეხატა, რადგანაც როგორც ყველა რიგით ქართველს, მეც მამულიშვილური ვალდებულება მაკისრია, ასევე გენეტიკური ქართულ-აფხაზურიც.

ბატონო ბიძინა, თქვენდამი, როგორც გამორჩეული მამულიშვილისადმი უსაზღვრო პატივისცემისა და ნდობის გამო გადავიფიქრე ჩემი წერილისთვის საჯარო სახე მიმეცა. დღეს, როდესაც რევანშისტულად განწყობილი პოლიტიკური ძალა ყველა საკადრო წვრილმანის უარყოფითი შეფასებითაა დაკავებული, ასეთი კრიტიკული შეფასება მათთვის, შესაძლოა, ხელსაყრელი მასალა გამხდარიყო. იმ დროს, როდესაც ავტორიტარულმა რეჟიმმა ქართველ ხალხს ცვლილებების იმედი გადაუწურა და შექმნა მისი მმართველობის უსასრულობაში გადაზრდის წარმოდგენა, თქვენ ერთი შეხედვით შეუძლებელი შესაძლებლად აქციეთ. თქვენმა ავტორიტეტმა, გონივრულმა სტრატეგიულმა გათვლამ, ჭრელ პოლიტიკურ გაერთიანებაში სუფთა წარსულის მქონე ადამიანების და მათ შორის, გონიერი ოპოზიციონერ-დიპლომატების შემოერთებამ, რომლებიც პირველნი აღუდგნენ სამარცხვინო "ერთი მსახიობის თეატრს", განუკითხაობით განებივრებული, საკუთარ დაუსჯელობაში დარწმუნებული სისტემა დაამარცხა.

**მერწმუნეთ, რომ ჩემთვის აფხაზეთი, მსგავსად აფხაზეთის ქართველობის თითოეული წარმომადგენლისა, ეს წინაპრების საფლავებია, ტაძრები, მონასტრები, მშობლიური კერა, გაგრა-ტრიგლიტი, „სოხუმ-კალე"-ცხუმ-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი, კამანი, ცაგერა, არადუ, ჭუბერი, გალი, ათასობით აფხაზეთის სიყვარულისთვის ნაწამები, ცოცხლად დამწვარი, მიწას მიუბარებელი, წესს- აუგებელი - ვოვა, დათო... ჟიული, გურამი, რაული, გენო, მამია, ჯუმბერი, ზურიკო, დიმა...მამა ანდრია, იპოდიაკონი გიორგი... მირონ, გრიშა,... უდიდესი ტკივილი, მოუშუშებელი იარა, მონატრება, ნათელ-მირონობა, მორდუობა, ძიძა-შვილობა, ძუძუმტეობა, მსოფლიოში არნახული ურთიერთობა, სითბო, სიყვარული, ზღვა, სულ სხვა ცა... ბავშვობა... დედა...**

მაშინ, როდესაც 20 წელიწადზე მეტია დედისა და წინაპრების საფლავებს ვერ მოვფერებივარ, მახსენდება სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ ამავე დროს ბრძნული და შორსმჭვრეტელური გადაწყვეტილება.

თქვენო უწმინდესობავ, იმ დღიდან, როდესაც საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლების წინაშე დადგა, ვერცერთმა, თუნდაც ყველაზე ნიჭიერმა და გამოცდილმა პოლიტიკოსმა, მეტიც - ერთად აღებულმა პოლიტიკოსებმა, მთელი ამ დროის მანძილზე ვერ მოახერხა ოკუპირებულ ნაწილებთან ქვეყნის ერთი ნაბიჯით დაახლოება. მიუხედავად არაერთი მცდელობისა და ხანგრძლივი მსჯელობისა, ვერ მოხერხდა საქართველოს გამთლიანების საქმეში მნიშვნელოვანი გარღვევის მიღწევა. თქვენ კი ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, ერთი შეხედვით უბრალო გადაწყვეტილებით, საქართველოს გაბნეული ნაწილები ისევ დაუბრუნეთ. თქვენს წოდებაში მცხეთა-თბილისის გვერდით ბიჭვინთა და ცხუმ-აფხაზეთი აჟღერდა, როგორც სულიერი სიმბოლო საქართველოს ერთიანობისა, განმტკიცებისა, მარადიულობისა. მთელს მსოფლიოში, როცა თქვენ, საქართველოს სულიერ საჭეთმპყრობელს მოგმართავენ, ახსენდებათ, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ასევე მოგმართავთ სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილეც. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ქართველმა ერმა თქვენ სიცოცხლეშივე წმიდანად შეგრაცხათ.

ჩემს გენეტიკურ, ქართულ-აფხაზურ მოვალეობას თქვენ სულიერი მისიაც დააკისრეთ. პატივი მარგუნეთ აფხაზეთის სიყვარულისთვის - „ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთობაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის და დევნილთადმი გაწეული უანგარო დახმარებისთვის" საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო წმ. გიორგის ოქროს ორდენი მეტარებინა. ამიტომაც ამ საკითხის მიმართ ორმაგ, მამულიშვილურ და სულიერ პასუხისმგებლობას განვიცდი.

მაშინ, როდესაც აფხაზეთში ილორის წმ. გიორგის ეკლესიის, საქართველოს შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი სალოცავის ხელყოფა მოხდა, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II-მ აკურთხა ჩვენი თხოვნა, ილორის წმ. გიორგის მეტოქიონი აქ, თბილისში აგებულიყო.

დღეს ილორის წმ. გიორგის მშენებარე კომპლექსში შემავალი წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის მშენებლობა უკვე დასრულდა, რომელიც ამჟამად მოქმედია და მასში წირვა-ლოცვა აღევლინება.

თავად ილორის წმ. გიორგის ეკლესია უმოკლეს დროში უნდა იკურთხოს, რის შესახებაც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამღვდელოებასა და აფხაზეთის საზოგადოებასთან გამართულ თბილ და უშუალო შეხვედრაზე ბრძანა.

პატრიარქმა ასევე აკურთხა ილორის წმ. გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე მშენებარე ამბროსი ხელაიას სახელობის ქართულ-აფხაზური კულტურულ-საგანმანათლებლო სასულიერო ცენტრი და მუზეუმი.

**უწმიდესის თქმით ილორის ეს წმინდა სალოცავი ორივე მხარეს გადებული ხიდია ხელყოფილი სულიერებისა, შეწყვეტილი ადამიანური ურთიერთობებისა, ურთიერთ შენდობისა, პატიებისა, შერიგებისა, სიყვარულისა, ერთად ყოფნისა, გამთლიანებისა.**

**მადლიერების გრძნობა მინდა გამოვხატო „ქართული ოცნების" მიმართ, რომელმაც გამოთქვა მზადყოფნა ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობის, სახელმწიფო სახსრებით სრულად დაფინანსებისა.**

საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სულიერი და საერო საჭეთმყრობელობის ერთიანი მცნება ჩამოყალიბდა, როგორც მყარი საფუძველი ქვეყნის აზრობრივი და ფიზიკური ერთიანობისა. ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების ეს უმთავრესი პრინციპი ბოლო წლებში დავიწყებას მიეცა. თუმცა ბოლო ხანს განვითარებულმა მოვლენებმა სასოწარკვეთილ საზოგადოებას - და მათ შორის მეც - იმედი ჩაუსახა. იმედის მომცემი იყო თქვენი შარშანდელი ინტერვიუც („საერთო გაზეთი" №49) სადაც თქვენ ბრძანეთ: **„ქართული ოცნება" ჩემთვის, როგორც უმრავლესი ქართველისათვის, ესაა გამთლიანებული, გაძლიერებული, დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობა; ამ ბოლო დროს ეს ოცნება მე ვალდებულებად**

## უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა კურთხევით თბილისში შენდება ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მეტოქიონი



ვიქციე; ეს არის ჩვენი ვალდებულება წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე, რომ ჩვენ ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული ყველასათვის საოცნებო საქართველო“. ამიტომაც ვისურვებდი, რომ თქვენ, ქვეყნის ამჟამინდელ საჭეთმპყრობელებს, აფხაზეთისა და ცხინვალის ერთიან ქართულ სახელმწიფოში შემომტკიცების ოცნება, სინამდვილედ გადაგექციოთ.

*P.S. იმ ფონზე, როდესაც უწმიდესისა და პრემიერ-მინისტრისადმი ჩემს მიმართვას ვუგზავნი კიდევ 14 პოლიტიკოსს, ჩავთვალე 615-ე ყოფილიყო ბერა ივანიშვილი, ახალგაზრდა კაცი, მამულიშვილი, რომელიც ძნელბედობის ჟამს, მსგავსად მისი თანატოლებისა სამშობლოს ფარად გადაეფარა, მამას გვერდში კაცურად დაუდგა და ბრძოლის ველი ღირსეულად - სიმღერით განვლო. მინდა გავუზიარო მას ჩემი ფიქრები საპირწონედ ზოგიერთი ფიქრისა, რომელმაც ხვალ მის თაობას შესაძლოა უდიდესი და გამოუსწორებელი პრობლემები შეუქმნას, თაობას, რომელმაც უნდა აღადგინოს თარაშ ემხვარის, გიორგი შერვაშიძის, ალექსი ანჩაბაძის, ჰაკიაძბას, ასტამურ ინალიფას, გუჯუჯი მარღანიას, მირონ ძიაფშ-იფას, გიორგი მარშანიას, ზურაბ ჩქოტუას, მიხეილ დელბას, მიხეილ ბლაჟბას, ქიაზიმ აგუმაას, ივანე ამიჩბას, ბორის ადლეიბას, ვალერი ხინთბას, ვოვა ხიშბას, ივანე თარბას, არშბას, ჩააბალურხვას, შატიბას... მოდგმასთან ურთიერთობა და მათთან ერთად გააღრმავოს, მოეფეროს და ააშენოს ახალი აყვავებული ქართული ერთიანი სახელმწიფო, სადაც აფხაზეთს ექნება გამორჩეული, ღირსეული ადგილი, მსგავსად „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა...“ - რაც იყო სიმბოლო ერთიანი დიადი სახელმწიფოსი.*

*ამიტომაც ჩემი შვილიშვილის ტოლ ახალგაზრდას მივმართავ, როგორც ჩემს თანასწორს, ღვაწლისა გამო.*

*ფიქრებმა, ჩემდა უნებურად, ამერიკის ელჩთან მიმიყვანა, რომელმაც ორჯერ გამაკვირვა თავისი ამერიკელ-ქართველობით, პირველად, მეუღლესთან ერთად რომ ჩადგა უკიდურესად დაძაბულ ამბოხებულ ზუგდიდში და ვინ იცის რა ხიფათს აგვაცილა და მეორედ - ჭირისუფლობდა დაღუპულ ქართველ ჯარისკაცს; ელჩისა, რომლის ქვეყანა 20 წელი ერთგულებითა და თანადგომით, თანმიმდევრულად მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ერთიანობას და გზას უკაფავს „ნატოსკენ“ მეგობარ ქვეყნებთან ერთად, რითაც ჩემი ქვეყნის მთლიანობა, სიძლიერე, უსაფრთხოება და ხვალინდელი ღირსეული ადგილი მსოფლიოს მართალთა და ძლიერთა ოჯახში გარდაუვალია. ამიტომაც ელჩი რიჩარდ ნორლანდი ჩემს სიაში არის №16, რადგან ვთვლი, რომ ის ჩვენიანია.*

*რაც შეეხება „ცდომილებს“ - ისინიც, თუმცა განსაკურნი.*

*სიამოვნებით ვიხილავდი ჩემიანად რუსეთსაც... ოღონდ არა მარკოვის, მიტროფანოვის, ზატულინის, ჟირინოვსკის...*

*მამული, ენა და სარწმუნოება კი ყველაფერზე მაღლა.*

მოკრძალებითა და უღრმესი პატივისცემით ერთიან ქართულ სახელმწიფოებრიობაზე მლოცველი **ზურაბ ჩიქოვანი**.

# ადრესატები:

სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარ ეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი **ილია მე-II**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი
**ბიძინა ივანიშვილი**

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი
ირაკლი ალასანია
საქართველოს ვიცე-პრემიერი
კახი კალაძე
საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე
დავით უსუფაშვილი
საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის
პირველი მოადგილე მანანა კობახიძე
საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის
მოადგილე ზურაბ აბაშიძე
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის
საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და
ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის
საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი
საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის
ლიდერი დავით საგანელიძე
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი
მაია ფანჯიკიძე
საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი
საქართველოს კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია
საქართველოს დევნილთა და განსახლების
მინისტრი დავით დარახველიძე
„ქართული ოცნების წევრი“ გია ვოლსკი
„ქართული ოცნების წევრი“ მამუკა არეშიძე
„ქართული ოცნების წევრი“ ბერა ივანიშვილი
ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში
**რიჩარდ ნორლანდი**



საფოსტო წესების თანახმად, საჩივარი საფოსტო გზავნილებათა დაძებნის ან ზარალის ანაზღაურების შესახებ, გამგზავნისაგან ან ადრესატისაგან მიიღება გზავნილების მიღების დღიდან 6 თვის განმავლობაში

GEORGIA TBILISI 12 12 2012 თბილისი

(კალენდარული შტემპელი)

რეალიზებული საფოსტო ნიშნები დაბრუნებას არ ექვემდებარება



შპს „საქართველოს ფოსტა“ ფ. №1

ქვითარი № 000015

მიღებაზე

(განსაკუთრებული დანიშნულება)

ფასგამოცხადებული
ფასდადებული
სად
ვის

| წონა | ანაკრეფი | თანხა ლარი | თანხა თეთრი | მიიღო |
|---|---|---|---|---|
| | ტარიფი | | | |
| | დაზღვევისა | | | |
| | ჩაბარებისა | | | |



იყიდება სამ ეგ ზემპლარად

გასაგზავნი შეკვეთილი წერილების
სია №

გამგზავნი

(გამგზავნის დასახელება და მისამართი)

(საფოსტო განყ. დასახელება)

| № | სად | ვის (ადრესატის დასახელება) | წონა (გრამებში) | გადაგზავნის ღირებულება | № ფ.1-დან | შენიშ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1. | მთაწმინდის რაიონი ინგოროყვას ქ. №7 | ბიძინა ივანიშვილი | | | | |
| 2. | მთაწმინდის რაიონი ინგოროყვას ქ. №7 | პაატა ზაქარეიშვილი | | | | |
| 3 | მთაწმინდის რაიონი ინგოროყვას ქ. №7 | ალექსი პეტრიაშვილი | | | | |
| 4. | მთაწმინდის რაიონი ინგოროყვას ქ. №7 | მამუკა არეშიძე | | | | |
| 5. | მთაწმინდის რაიონი ინგოროყვას ქ. №7 | გია ვოლსკი | | | | |
| 6. | ქუთაისი, [illegible] ი. აბაშიძის ქ. №22 | დავით უსუფაშვილი | | | | |
| 7. | ქუთაისი, [illegible] ი. აბაშიძის ქ. №22 | მანანა კობახიძე | | | | |
| 8. | ქუთაისი, ი. აბაშიძის ქ. №22 | ზურაბ აბაშიძე | | | | |
| 9. | ქუთაისი, ი. აბაშიძის ქ. №22 | დავით საგანელიძე | | | | |
| 10. | თბილისი, [illegible] ქ. №6 | კახი კალაძე | | | | |
| 11. | თბილისი, [illegible] №15 | დავით დარახველიძე | | | | |
| 12. | თბილისი, [illegible] №11 | ირაკლი ალასანია | | | | |
| 13. | თბილისი, [illegible] ქ. №4 | მაია ფანჯიკიძე | | | | |
| 14. | თბილისი, [illegible] ქ. №19 | გურამ ოდიშარია | | | | |
| 15. | თბილისი, გორგასლის ქ. №24 | თეა წულუკიანი | | | | |
| 16. | თბილისი, [illegible] ქ. №20 | რიჩარდ ნორლანდი | | | | |
| 17 | თბილისი, [illegible] | ბერა ივანიშვილი | | | | |
| | სულ | | | X | X | X |

1. / /
2. / /

(წარმომადგენლობის პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა)

მიიღო: / /

(საფოსტო განყოფილების მუშაკის ხელმოწერა)

ბეჭდის ადგილი

კალენდარული შტემპელი

# დაგეგმილი ეკონომიკური ფორუმი ასტანაში



კონსტანტინე გამსახურდია

ფინანსური დარეგულირების რეფორმები, შემოთავაზებულნი **G20**-ის მიერ, არ არის საკმარისი მსოფლიოს ფინანსური სისტემის სტაბილურობის აღსადგენად. ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებიათ საერთაშორისო ექსპერტებს. ამ თვალსაზრისით, ინტერაქტიურმა ფორუმმა **G-Global**-მა, რომელშიც 14 ნობელის პრემიის ლაურეატი მონაწილეობს, მოკლე ხანში მომხმარებელთა ყურადღება მსოფლიოს 160 ქვეყნიდან მიიპყრო.

ყაზახეთის მიერ შეთავაზებული ვირტუალური ფორუმი, ამ ქვეყნის მხრიდან გლობალური დიალოგისკენ გადადგმული მეორე ნაბიჯია. პირველ შესაკრებ ადგილად მოიაზრება ასტანის ეკონომიკური ფორუმი, დაგეგმილი 2013 წლის 22-24 მაისს, რომელიც უკვე მეექვსედ ტარდება. მასზე გადაწყვეტილია მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი სპეციალისტების, 1200-მდე სტუმრის, 10 ნობელის პრემიის ლაურეატის და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოწვევა, რათა განიხილონ გამოწვევები, დღევანდელი კაცობრიობის წინაშე თავს რომ იჩენენ.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორის, კომპანია **RGE Monitor**-ის უფროსის ნურიელ რუბინის გამონათქვამის მიხედვით, ასტანის მე-5 ეკონომიკურ ფორუმზე,გ8-ის სისტემა მოძველდა, ხოლო **G20**-ის ფორმატი კი საერთოდ ვერ ასახავს დღევანდელობის რეალიებს; ამიტომაც საჭიროა განვითარებადი ბაზრებისკენ სწრაფვა.

რამდენადაც ამ ფორუმის ჩატარება ყაზახეთმა კრიზისის დროს დაიწყო, ანტიკრიზისული ზომების საკითხი წითელ ხაზად გასდევს ყველა თემატურ ღონისძიებას. ფორუმის ჩატარების 3 დღეს მანძილზე 22 მაისიდან 24 მაისამდე დაგეგმილია 55 დისკუსია 5 ძირითადი მიმართულებით: მდგრადი ეკონომიკური ზრდა, ფინანსური სტრატეგია, სოციალური ასპექტები, სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის და რეგიონების საკითხები, ასევე ინოვაციების განვითარება.

ღია წერილები დიდი ოცეულის ლიდერების მიმართ უკვე ტრადიციული ხდება. ჯერ კიდევ 2011 წელს ასტანას ფორუმის მონაწილეების მხრიდან **G20**-ის მისამართით გაგზავნილი რეკომენდაციები 6 სხვადასხვა მიმართულებითაა გაშლილი. რეკომენდაციების პირველი დიდი ბლოკი შეეხება მსოფლიო საფინანსო-სავალუტო სისტემის ფუნქციონირებას. მეცნიერებმა მიმართეს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს, რათა შექმნან მუდმივმოქმედი კომიტეტი ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი საკითხების განსახილველად, ზენაციონალური მსოფლიო ვალუტის შემოღებას რაც შეეხება; აგრეთვე რათა შექმნან მუდმივმოქმედი ორგანო **G20**-ის ცენტრალური ბანკების საბჭო, მსოფლიო სავალუტო რეგულაციათა მდგრადობის ასამაღლებლად.

საკითხების მეორე მსხვილი ბლოკი განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობათა და კერძო სექტორის გაფართოებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებების მიღების კვალდაკვალ. ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატების თქმით, დროა ამ ფონდის და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობის ღია არჩევანები დაუშვან, სადაც კანდიდატებს ამ პოსტებზე ერთნაირი შესაძლებლობა ექნებათ. "ამასთან როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ისე მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ არ უნდა დაკარგონ გავლენა არც კრიზისულ პერიოდში, არც კრიზისისშემდგომ სიტუაციებში მსოფლიოში ფინანსური რეგულაციების კონტროლს რაც შეეხება." – ხაზგასმით აღნიშნეს მათ.

დიდი ოცეულის ქვეყნებისადმი რეკომენდაციების საგანგებო პუნქტად იქცა არა მარტო გადაწყვეტილების ოპერატიულად მიღება, არამედ პრაქტიკაში მათი ეფექტური განხორციელება. დიდი ოცეულის ქვეყნებს ურჩიეს დაეხვეწათ მონიტორინგი ფინანსური დარეგულირების და ზედამხედველობის თვალსაზრისით, ჩაეტარებინათ ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და სხვა ფინანსური ინსტიტუტების ტესტირება, რომ მათ საიმედოობაში დარწმუნებულიყვნენ.

ასტანას ეკონომიკური ფორუმის მონაწილეთა აზრით, საჭიროა შეიცვალოს მთავარი სავაჭრო რეგულატორის, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის (**WTO**) პრინციპები. ექსპერტების აზრით, ამ ორგანიზაციაში უნდა შეწყდეს განვითარებადი ქვეყნების მხრიდან საექსპეტო საფუძველზე კრედიტის გაცემა და სუბსიდირება, რაც იწვევს მონოპოლიზაციას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტიორი ქვეყნების ბაზრებზე. ეკონომისტების აზრით, მსოფლიო ვაჭრობის განვითარებისთვის საჭიროა განვითარებადი ქვეყნიდან წამოსული იმპორტული ნაწარმის მიმართ შეწყდეს მკაცრი მოთხოვნების დაწესების პრაქტიკა. აგრეთვე მოხდეს დამატებით მოთხოვნილებების, ე.წ. **WTO** პლუსის ლიკვიდაცია.

იმისთვის, რომ ურთიერთქმედების მექანიზმი მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებს და განვითარებად ქვეყნებს შორის იყოს არა ფორმალური, არამედ რეალური, ასოციაცია "სწავლულთა ევრაზიული ეკონომიკური კლუბის" წარმომადგენლებმა ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის მითითებით ორგანიზება გაუწიეს ვირტუალურ ფორუმს **G-Global**-ს. ამ ინტერნეტ-პლატფორმამ გააერთიანა 88 000-მდე მომხმარებელი მსოფლიოს 160 ქვეყნიდან. პროექტის ინიციატორმა, ყაზახეთის პრეზიდენტმა გაახმოვანა კომუნიკაციის ამ ფორუმის ფუნქციონირების 5 პრინციპი.

მან ხაზი გაუსვა, რომ დღეს კაცობრიობა ფლობს უზარმაზარ პოტენციალს, როგორც წარმატებული განვითარებისთვის, ისე თვითგანადგურებისთვის, იქნება ეს პოლიტიკური თუ ეკოლოგიური პროცესები ან გლობალური კომუნიკაციები. ამ უკანასკნელთ დღეს შეუძლიათ შეამცირონ ყველანაირი დისტანცია და ბარიერი, იქცნენ "საინფორმაციო პროვოკაციების იარაღად, რომელიც ხელს შეუწყობს მორალური საფუძვლებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის მიზანმიმართულ ძირის გამოთხრას ე.წ. მიუღებელ საზოგადოებებში".

მისი თვალსაზრისით, ინიციატივის უპირველეს და ფუძემდებლურ პრინციპად უნდა იქცეს პრინციპი "ევოლუცია და არა რევოლუცია". "კაცობრიობამ ამოწურა რევოლუციებისა და ომების ლიმიტი ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში, ამიტომაც დღეს მთელი კაცობრიობის სიბრძნე მშვიდობის შენარჩუნებაში მდგომარეობს - სხვა შემთხვევაში კი თვითგანადგურებაა", – აღნიშნა ნაზარბაევმა. რევოლუცია დაშვებული უნდა იქნეს სამეცნიერო სფეროში და ტექნოლოგიებში, მაგრამ არამც და არამც პოლიტიკურ პრაქტიკასა და სოციალურ სფეროში.

ყაზახეთის პრეზიდენტის შეთავაზებით, მეორე პრინციპია "სამართლიანობა, თანასწორობა და კონსენსუსი". "21-ე საუკუნეში გამოყოფა დიდი და მეორეხარისხოვანი, ასევე წარმმართველი და მართული ქვეყნებისა ცივილიზაციური თვალსაზრისით, მოძველებულია." ასეთი გეოპოლიტიკური პრაქტიკის ალტერნატივას წარმოადგენს გლობალური ეკონომიკის, სავალუტო სისტემის და პოლიტიკის განვითარების სამართლიანი საფუძვლები, რაც დაეყრდნობა ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პერსპექტივაში გლობალური გადაწყვეტილებები საერთაშორისო ორგანიზაციების, რეგიონალური გაერთიანებების, ფორუმების და სამიტების ყველა დონეზე, მხოლოდ კონსენსუსის საფუძველზე იქნას მიღებული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძირეული ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში შეუძლებელია ვაშინგტონური კონსენსუსიდან მსოფლიო კონსენსუსზე გადასვლის გარეშე. აქ ლაპარაკია, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ინტერესების გლობალური მართვის ახლებურ სისტემაზე", – აღნიშნა ნაზარბაევმა.

მესამე პრინიციპია გლობალური ტოლერანტობა და ნდობა. სახელწმიფოთაშორისი ურთიერთობები ტოლერანტული უნდა იყოს მათი გეოპოლიტიკური წონის, გავლენის, ისტორიული გამოცდილების, ეკონომიკის და საზოგადოების განვითარების დონისგან დამოუკიდებლად.

შემდგომი პრინციპია გლობალური გამჭვირვალობა. მსოფლიო გ-გლობალ-ის ფორმატში - ეს ერების გამჭვირვალე თანამეგობრობაა. აქ არ უნდა იყოს რაიმე ორმაგი სტანდარტი, რაც დაამცირებდა ერების ღირსებას, როგორც დიდების, ისე საშუალოთა და მცირეთა. საჭიროა მაქსიმალური ღიაობა და გამჭვირვალობა საერთაშორისო საკითხებში. მხოლოდ ამ შემთხვევაში განვითარდება გლობალური ეკონომიკა უფრო წარმატებულად." – აღნიშნა ყაზახეთის პრეზიდენტმა.

მეხუთე პუნქტად კი მან გამოყო „კონსტრუქტიული მრავალპოლარულობის პრინციპი." მისი თქმით, საჭიროა გეოპოლიტიკური შეკავებების და საპირწონეების დაბალანსებული სისტემა, ბლოკური ფსიქოლოგიის გარეშე, რაც არის ბიოპოლარული სამყაროს ნეგატიური მემკვიდრეობა. "მასში აღარ უნდა დარჩეს ადგილი გეოპოლიტიკურ სნობიზმისთვის, მასში მშვიდობიანად უნდა თანაარსებობდნენ და მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ მძლავრი ინტეგრაციული გაერთიანებები", – აღნიშნა ნურსულთან ნაზარბაევმა.

---

Financial regulatory reforms proposed by G20 are not sufficient to restore the stability of the global financial system.This was repeatedly stated by international experts. The world is in search of a new interactive platform that would combine the best minds to develop scenarios for the world economy development.In recent years,developing countries have intensified in this matter.

Interactive platform G-Global,which involves 14 Nobel laureates,in a short time has already gained the interest of users from 160 countries.

Virtual Forum, proposed by Kazakhstan, is the second step of the country towards a global dialogue.As the first site it can be mentioned the Astana Economic Forum (AEF), which on May 22-24th, 2013 plans togather the world's leading economists in the young capital ofthe state,geographically located at the crossroads of Europe and Asia.

This year, the AEFis held the sixth time. It is assumed that it will be attended by more than 1.2 thousands of overseas visitors, 10 Nobel Prize winners,and heads of international organizations to discuss the challenges facing humanity.

According to the professor of economics at Harvard University, president of RGE Monitor Nouriel Roubini's opinion expressed in Astana at theVth Astana Economic Forum (AEF), the system G-8 is already out of date, and the "G-20 format does not reflect the realities of today.And therefore it is necessary to shift towards emerging markets. "

And since this forum was held by Kazakhstan during the crisis years, the issue of anti-crisis measures cuts across all thematic events. In just three days of the Forum, from May 22d to 24th,55 discussions are scheduled to take place on 5 key areas:sustainable economic growth, financial strategy, social aspects, the competitiveness of countries and regions and the development of innovation.

Open letters to the leaders of Big Twenty are already becoming traditional.In 2011, the recommendations of the AEFto the G-20 countries were presented in six areas. The first big set of recommendations touched ont he functioning of the global financial system.The scientists asked the leading countries of the world to forma permanent committee to discuss the long-term issues introducing a supranational world currency.And also they asked to form a permanent body- the Council of G20 central banks to increase the stability of the global currency regulation.

The second major set of issues touched upon the capacities of developing countries and the private sector while decidingin the International Monetary Fund. According to Nobel laureates in economics, it's time to ensure an open selection of IMF and the World Bank management by providing equal opportunities for candidates to these positions. "At the same time, the management of the IMF and World Bank should not lose political influence in times of crisis and post-crisis regulation to monitor the financial situation in the world" -they stressed.

A separate item of recommendations to the Big Twenty countries was not only a rapid decision-making, but their effective implementation in practice. Countries of Big Twenty were advised to improve monitoring of all obligations committed by G-20 countries on financial regulation and supervision, as well as to conduct stress tests for banks, insurance companies and other relevant financial institutions to ensure their sustainability.

According to participants of the AEF, it is also necessary to change the principles of the main shopping regulator – the World Trade Organization. According to experts, the WTO should stop the practice of expert lending and subsidizing by developed countries, leading to the monopolization of markets of countries, which are net importers of agricultural products. According to economists, it is needed to curtail the practice of presenting stringent technical requirements for imports from developing countries for the development of world trade by developed countries. And also eliminate the practice of presenting to acceding countries additional requirements" WTOplus".

In order to keep the mechanism of interaction between the major world powers and developing countries not naked, but real, the representatives of the "Eurasian Economic Clubof Scientists"on behalf of the President of Kazakhstan Nursultan Nazarbayev, organized a virtual platform G-Global.This web platformduring the year brought together more than 88,000 people from 160 countries.

The initiator of the project, the head of Kazakhstan, during last year's forum voiced five main principles of functioning of communicative platform G-Global

He stressed that currently the humanity has great potential for the successful development as well as forself-destruction, whether environmental, political processes and global communication. Recent ones are now able to reduce both the distance and all sorts of barriers as well as to "be an instrument of informational provocations, to promote purpose ful collapse of moral principles and public order in the so-called undesirables companies".

In his view, the first and fundamental principle of the initiative should be a principle of "evolution, not revolution.""Humanity has exhausted the limit on the revolution and World wars back in the twentieth century.Today, therefore, all human wisdom is to keep the peace- otherwise it will be a self-destruction, "-noted Nazarbayev, adding that the revolution should be allowed only in the sphere of science and technology, but in any case not in the political practice and social life.

For the second principle of initiative Kazakh president has suggested to choose" justice, equality and consensus." "In the XXI century, the division of countries to the great and minor, leading and trailing is civilizationall youtdated ...An alternative to such geopolitical practices are fair basis for the development of the global economy, the monetary system and policies based on the equality of all nations...It is vital that in perspective global solutions at all levels of international organizations, regional organizations and forums, summits will be made only on the basis of consensus.It is important to note that the radical changes in the world economic system are impossible with outmoving from Washington to the global consensus. This, above all, is to consider new system of global management of interests of both developed and developing countries", -said Nursultan Nazarbayev.

The third principle- a global tolerance and trust. The relationship between states, regardless of their geopolitical clout, influence, historical experience, the level of development of the economy and society should be tolerant.

The next principle is a global transparency. "The world in the format of G-Global is a transparent community of nations. There should be no double standards, degrading nations–both large, medium and small.It is needed a maximum openness and transparency in international affairs. Only in this case the global economy will be successfully developed, the prosperity of every nation will be higher, "- said the president of the Republic of Kazakhstan.

As the fifth paragraph Kazakh President outlined the principle of"constructive multilateralism." "There must be a balanced system of geopolitical checks and counterbalances, no blockpsychology as negative legacy of the bipolar world. There shall be no place for geopolitical snobbery. The powerful integration associations should co-exist peacefully and work closely", -said Nursultan Nazarbayev.

KONSTANTIN GAMSAKHURDIA

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან:

## მამა ბასილი:

# ჩემს მრევლთან ერთად ვიწყებ „ჭინჭრების რევოლუციას" მამათმავლების წინააღმდეგ



ჩემო სულიერო შვილნო, ძმანო და დანო, დღეს საქართველო მძიმე განსაცდელშია.

17 მაისს „მამათმავლებს" დაგეგმილი აქვთ ზნედაცემული მსვლელობა მოაწყონ რუსთაველის პროსპექტზე.

ეს ჩვენი ღვთივრჩეული ერის შეურაცხყოფაა. ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა დავუშვათ.

მე და ჩემი მრევლი ჭინჭრებით ხელში 17 მაისს 11 საათზე ვიკრიბებით პარლამენტის ყოფილი შენობის წინ.

შემოგვიერთდით!

**— მამაო, ოთხი თვის წინათ ჩვენი გაზეთის მეშვეობით განაცხადეთ მოსკოველი ბერის წინასწარმეტყველებაზე, რომელიც ამბობდა, რომ მაისის თვეში საქართველოში მოხდებოდა საშინელი რამ. მაისიც მოვიდა, რა გველის?**

## რუსმა ბერმა უშუალოდ მე მომწერა, რომ მაისში საქართველოში მოხდებოდა საშინელი რამ...

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი. პირველ რიგში, გილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

დიახ, რუსმა ბერმა უშუალოდ მე მომწერა, რომელსაც თამარ მეფის გამოცხადება ჰქონდა. სახელოვანი მეფე გვაუწყებდა, რომ მაისის თვეში მოხდებოდა ისეთი რამ, რომელიც შეურაცხყოფდა მართლმადიდებლობასა და ქართველ ერს, ანალოგიური გამოცხადება ჰქონდა ბევრს. დადგა მაისიც და ვიგებთ, რომ ქალაქის ცენტრში რუსთაველის პროსპექტზე მამათმავლები, ლესბოსელები და სხვა უზნეოთა წარმომადგენლების ხროვა მართავს მსვლელობას მოთხოვნით — დაიცვან მათი უფლებები.

**— მამაო, როგორც ვიცით, მათ არასამთავრობო ორგანიზაციიდან ბევრი, წარმოიდგინეთ, ზოგიერთი პარლამენტარიც კი უჭერს მხარს.**

— როგორც წმიდა ბერი მოგვიწოდებდა, ამ განსაცდელის ჟამს სამღვდელოება უნდა გაერთიანდეს, არ უნდა მიეცეთ საშუალება ეს სამარცხვინო მსვლელობა ჩაატარონ, თორემ საქართველოს სოდომ-გომორის ცოდვა არ ასცდება და რისხვაც მოიწევა ჩუენ ზედა.

როცა ეკლესია ხედავს, რომ საერო ხელისუფლება უსუსურია და ერის სასარგებლოდ რადიკალურ ზომებს ვერ ახორციელებს, მით უმეტეს, როცა საკითხი ერის ტრადიციებსა და ზნეობის სფეროს ეხება, სამღვდელოებამ უნდა თქვას თავისი სიტყვა, ამხილოს ხელისუფალი და არა ისე, როგორც უკვე ვადაგასულ პრეზიდენტს რომ ისევ აქებენ და პატივს მიაგებენ.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. შორიდან ვერ ვუყურებ ამდენ უმსგავსოებას. მიუხედავად ჩემი ჯანმრთელობისა, ჩემი მრევლით 17 მაისს 11 საათზე შევიკრიბებით ძველი პარლამენტის შენობის წინ ჭინჭრებით ხელში. ამ გადაგვარებულებს არ მივცემთ „წარმოდგენების" გამართვის საშუალებას.

**— ჭინჭრებით რატომ?**

— ეს იქნება მამათმავლების წინააღმდეგ გამართული სიმბოლური ნიშანი. გახსოვთ როგორ მოხდა საბედისწერო ვარდებისა და ცოცხების „რევოლუცია". ეს რევოლუციები ერის გასანადგურებლად იყო მიმართული. რაც შეეხება ჭინჭრების რევოლუციას, ის მიმართული იქნება ზნეობის დასამკვიდრებლად, რამეთუ ჭინჭრებით უნდა დაისუსხოს და ამოიშანთოს საქართველოში ყოველგვარი უზნეობა და გარყვნილება.

**— მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ოფიციალურადაა ნებადართული მამათმავლების, ერთსქესიანების ურთიერთობა. მათი ჯვრისწერაც კი ხდება.**

— სწორედ ამ ქვეყნებიდან მოდის ყოველგვარი გარყვნილება.

საქართველო ოდითგანვე დაფუძნებულია ქრისტეს სჯულზე და კანონებზე. ყოველგვარი წარმართული მიუღებელია მართლმადიდებელთათვის. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში მომრავლდნენ მამაკაცები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ქალები კი გაუთხოვრები რჩებიან.

მე დიდი ხნის წინ ვამხელდი როგორც სექტანტებს, ასევე ყოველგვარ უზნეობას, ვამხელდი თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლებს, სოროსის ლეკვებს, საქართველოს დაუძინებელ მტრებს, მართლმადიდებლობის მოღალატეებს. მაშინ არ მისმენდა საქართველო და სამწუხარო ფაქტი სახეზეა. საზარელი სურათი გვიდგას თვალწინ. ანდრია პირველწოდებულის და წმიდა ნინოს მოქცეულ ქვეყანაში ტარდება მამათმავლების აღლუმი. ამას საქართველოს მთავრობა, ქართველი ერი რატომღაც სიმშვიდით ხვდება. ეს ხომ 20-საუკუნოვანი მონაპოვრის უარყოფაა. საით მივექანებით, წარმოუდგენელია ყოველივე ეს.

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები რომ არა, რომლებიც საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან და იმართებიან, ასევე ზოგიერთი პარლამენტარი, რომლებიც პატრიოტებად წარმოგვიჩნდებიან, ორ ბატონს ემსახურებიან და მათი მხარდაჭერა რომ არა, გეკითხებით, ეს ზნედაცემული ხალხი ქალაქის ცენტრში ასეთი გამოსვლების მოწყობას მოახერხებდნენ? რა თქმა უნდა, არა. ღრმად რომ ჩაფიქრდე, შოკისმომგვრელია, როცა უძველესი კულტურისა და მართლმორწმუნეთა ძირძველ ქვეყანაში მსგავსი რამ ხდება.

დაახლოებით ცნობილია კონკრეტული პიროვნებები, ვინ დგას მათ ზურგს უკან. „არა არს დაფარულ, რომელი არა განცხადნეს". სწორედ მათ წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს ქართველი ერი. ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება გარდა სულიწმიდის გმობისა და უფლის ღალატისა. სწორედ ეს არ უნდა ეპატიოს მათ. საქართველო და მართლმადიდებლობა ერთი მცნებაა, ურთიერთის განუყოფელი. საქართველოს ღალატი იგივე ღმრთის ღალატია. ყველა მიიღებს სამაგიეროს იმ საზარელი ქმედებისათვის, რაც ჩვენ თვალწინ ხდება, რაზედაც თვალის დახუჭვა იგივეა, რომ უყურო შენი ერის ზნეობრივ და სარწმუნოებრივ გადაგვარებას და არც კი შეშფოთდე.

მე, პირადად, ჩემი მრევლით არ დავუშვებ დედა ღმრთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მსგავსი რამ ხდებოდეს. ამას ყოველთვის წინ აღვუდგებით, ჩვენ პირნათელნი უნდა წარვდგეთ უფალთან საშინელ სამსჯავროზე, რომელიც თითოეულ ჩვენგანს მოგველის.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# კომპანია „მექანიზატორის“ მაღალჩინოსნების დაკავება შეიძლება „ჯი თი ჯგუფის“ ლობისტების მიერ იყო ინსპირირებული, რომლის უკან ვანო მერაბიშვილი მოიაზრება



მიმდინარე წლის 1 მაისს შსს-ს ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სახელმწიფო კომპანია „მექანიზატორის“ რვა მაღალჩინოსანი დააკავა. მათ ბრალად ედებათ სამსახურებრივი გულგრილობა, ექსპერტებზე ზეწოლა და საბიუჯეტო თანხების (ორმილიონნახევარი ლარი) გაფლანგვა და ა.შ. საქალაქო სასამართლომ შვიდ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით, წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლე ზვიად ესებუამ, მხოლოდ ექსპერტებზე ზემოქმედების მოხდენაში ბრალდებულ თეო ურუშაძის მიმართ გამოიჩინა „გულმოწყალება“ და გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. ბრალდებულების ადვოკატებმა სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს, თუმცა ამ უკანასკნელმა სარჩელი წარმოებაში არ მიიღო და განუხილველად დატოვა. სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ აღნიშნულ სს-ის საქმეში ბრალდებულად ცნობილი ღვაწლმოსილი მეცნიერები, რომელთა ბრალეულობაც, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვს იწვევს, გისოსებს მიღმა დატოვა.

საქმე ეხება 2012 წლის დეკემბერში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვას, 54 მილიონ ლარად 160 ტრაქტორის საქართველოში შემოყვანას. ოფიციალური ვერსიით, სპეციალურმა კომისიამ თავიდან არჩევანი „ნიუ ჰოლანდის“ მარკის ტრაქტორებზე შეაჩერა, თუმცა მოგვიანებით დასკვნა შეცვალა და 10.000 ევროთი უფრო ძვირად ღირებული ჩეხური „ზეტორ პროქსიმა პაუერ-120“-ის ტრაქტორები იქნა შეძენილი. სხვათა შორის ამ ტრაქტორების თბილისურ პრეზენტაციას ჩეხეთის



საგარეო საქმეთა მინისტრი კარელ შვანცენბერგიც დაესწრო. ამ საქმის ერთ-ერთი ზედამხედველი პროკურორი ზვიად ფხაკაძე აცხადებს, რომ თავიდან 28.500- ევროიანი „ნიუ ჰოლანდი“ შეარჩიეს, მაგრამ მოგვიანებით კომისიამ გაცილებით ძვირადღირებულ ტრაქტორებს აუნთო „მწვანე შუქი“, ჩეხური ტრაქტორების სასარგებლოდ იყო ზეწოლა და ფაბრიკაცია იმ მიზნით, რომ შესყიდული ტრაქტორების უპირატესობა დადგენილიყო შესასყიდ ტრაქტორებთან მიმართებითაში. გამოძიება იმასაც ამტკიცებს, რომ ექსპერტებზე ზეწოლას თბილისის პოლიციის ყოფილი შეფი სოსო ალავიძე ახდენდა, რომელიც სახელმწიფო კომპანია „მექანიზატორის“ გენ.დირექტორის, ვაჟა ნახუცრიშვილის ახლო ნათესავია (მძახალი). ნახუცრიშვილი შევარდნაძის მმართველობისას სახელმწიფო ხაზინის უფროსი გახლდათ და იგი 2002 წელს 2 მილიონი ლარის გაფლანგვაში დაადანაშაულეს. სხვა ბრალდებულებთან ერთად, „ეჭვმიტანილი“ სოსო ალავიძეც კატეგორიულად უარყოფს საკუთარ ბრალეულობას და აცხადებს, რომ მას ტრაქტორების შერჩევასთან და საერთოდ მექანიზაციასთან არანაირი შეხება არ აქვს და ეს მოსაზრება ვიღაცის ავადმყოფურ ფანტაზიაში დაბადებული მორიგი პასკვილია.

ბრალდებულთა ადვოკატები მიიჩნევენ, რომ წაყენებული ბრალდებები დაუსაბუთებელია. ისინი არ გამორიცხავენ, რომ გამოძიება კომპანია „ჯი.თი ჯგუფის“ ლობისტების მიერ იყოს ინსპირირებული, რადგან ხსენებული კომპანია სერიოზულად დაზარალდა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორებს, რომელთა იმპორტსაც ეს კომპანია ახორციელებს, ჩეხური „ზეტორი“ რომ ამჯობინა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ჯი.თი ჯგუფი“ ნაცხელისუფლების დროს ბევრ სფეროში იყო მონოპოლისტი, მათ შორის სასოფლო სამეურნეო ტექნიკის იმპორტის კუთხითაც და არაერთი მსხვილი სახელმწიფო ტენდერიც აქვს მოგებული. „საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, ყბადაღებული თურქეთში აწყობილი ყვითელი „მარშრუტკებიც“, რომელთა ვარგისიანობაც თავიდანვე ეჭვის ქვეშ იდგა, სწორედ „ჯი.თი ჯგუფის“ მიერაა შემოყვანილი. სანდო წყარო „საერთო გაზეთს“ ისიც უთხრა, რომ ამ კომპანიის უკან ქვეყნის ექს-„ხერხემალი“ ვანო მერაბიშვილი დგას. თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეეფერება, გამოდის მერაბიშვილის გავლენები ახალი ხელისუფლების პირობებშიც არ შესუსტებულა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ კომპანიაში არ უარყოფენ, რომ მათ მართლაც ჰქონდათ პრეტენზია ზემოხსენებული კომისიის გადაწყვეტილებების გამო და კირვალიძის უწყებას წერილობითაც მიმართეს. ისიც გახდა ცნობილი, რომ შსს-ს ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა (ეს სამსახური სოდ-ისა და კუდ-ის გაუქმების შემდეგ მათსავე ბაზაზეა შექმნილი) ორჯერ დაკითხა „ჯი.თი ჯგუფის“ დირექტორი, თუმცა კომპანიაში კატეგორიულად უარყოფენ, რომ გამოძიების მოთხოვნით, მათ მიმართეს შსს-ს.

ადვოკატი სოსო ბარათაშვილი, რომელიც ვაჟა ნახუცრიშვილის გარდა, სხვა ხუთი ბრალდებულის ინტერესებსაც იცავს, აცხადებს, რომ ბრალის დადგენილებაში რატომღაც ჩაწერეს, რომ თითქოს აპრიორი წინასწარ პრიორიტეტი უნდა მიენიჭებინათ „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორებისთვის, ანუ კომპანია „ჯი.თი ჯგუფისთვის“. რატომ მოხდა ეს ძნელი ასახსნელია, ეჭვი გვაქვს, რომ ლობირებას უნდა ჰქონდეს ადგილიო. ეს ეჭვი ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც გავარკვიეთ, ამ ტენდერში „ნიუ ჰოლანდისა“ და „ზეტორის“ გარდა სხვა კომპანიებიც მონაწილეობდნენ, მაგალითად ჩინური ბრენდები, რომლებსაც იგივე ტექნიკური მახასიათებლები ჰქონდათ, რაც „ჯი.თი ჯგუფის“ შეთავაზებულ ტრაქტორებს, მაგრამ გამოძიებას რატომღაც მათი ტენდერში დამარცხება, ასე მტკივნეულად არ განუცდია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად დაკავებულები არიან სპეციალური კომისიის წევრებიც, რომელიც ტენდერის საკითხებს იხილავდა, სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები, რომელთაგან სამის ინტერესებს ადვოკატი ლევან სამუშია იცავს. საქმის დეტალებში უკეთ გასარკვევად „საერთო გაზეთი“ მას გაესაუბრა.

**ლევან სამუშია:** „მე ომარ თედორაძის, ზაზა მახარობლიძის და თეთვაძის ინტერესებს ვიცავ. ომარ თედორაძე, ზაზა მახარობლიძე და ბატონი ქარჩავა, რომელიც ასევე დაკავებულია, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგის საუკეთესო სპეციალისტები, პროფესორები არიან. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ვინც ამ დარგში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტია, ყველა გლდანის მე-8 საპყრობილეშია მოთავსებული. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფები თავიდან სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით დააკავეს. ეს ბრალდება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება, 2-დან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მათ რომ შევხვდი, გაოცებულები იყვნენ, ახსნას ვერ უძებნიდნენ, რაზე შეიძლება ყოფილიყვნენ დაკავებულნი. ბრალდების ოფიციალურად წარდგენის დროს, მათ რატომღაც ბრალი დაუმძიმეს, ახლა უკვე სახელმწიფო თანხების გაფლანგვაში დახმარებაც წაუყენეს, რაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, წაყენებული ბრალი არის აბსურდული და არანაირად არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. ჩემი აზრით, ეს ადამიანები ბრალდებულებად კი არ უნდა გამოეცხადებინათ, მადლობა უნდა ეთქვათ, იმ შრომისთვის, რაც მათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასახმარებლად გასწიეს. ბრალის დამძიმება სასამართლოზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენის მიზნით გაკეთდა. არც ერთი ბრალდებული, მათ შორის ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებიც თავს დამნაშავედ არ ცნობენ.

ეს საქმე მოცულობით დიდია, 28 ტომი ძალზე შთამბეჭდავად ჟღერს, მაგრამ იქ მათი ბრალეულობის დამამტკიცებელი ერთი ფურცელიც კი არ არსებობს. მე იმედი მაქვს, რომ ის პროფესიონალი იურისტები, რომლებსაც დიდ პატივს ვცემ, გაეცნობიან ამ საქმეს და სიმართლე დადგინდება. არ შეიძლება, წინა ხელისუფლების მეთოდებით ისტუმრებდნენ უდანაშაულო ხალხს ციხეში. რაც შეეხება ბრალის აბსურდულობას - ამ ხალხს გაფლანგვას ედავებიან, რაც განზრახი დანაშაულია, რასაც უნდა ჰქონდეს მიზანი და მოტივი, გამოძიებამ კი ვერაფერი გამოკვეთა, შთაბეჭდილება მრჩება, რომ უბრალოდ მათ სურვილი ჰქონდათ, ეს ხალხი ციხეში ჩაესვათ და მეტი არაფერი. საზოგადოებამ მინდა გაიგოს, რომ ამ ხალხს ოფიციალურად ერთი თეთრის მითვისებასაც კი არ ედავებიან, ვერც მოედავებიან, რადგან ამის მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს. არადა, აქტიურად ვრცელდება აზრი, რომ თითქოს მათ მილიონზე მეტი თანხა მიითვისეს, თუ ვიღაცას მისცეს, რითაც შეგნებულად ქმნიან შავ პიარს ამ ხალხის გარშემო. ხსენებული კომისიის წევრები, როგორც დარგის საუკეთესო სპეციალისტები მიწვეულნი იყვნენ იმისთვის, რომ დაედგინათ, რომელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იყო უკეთესი საქართველოს პირობებისთვის. ბევრი კვლევა-მსჯელობის შემდეგ (ამის დამადასტურებელი ოქმები არსებობს) მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში უამრავი ყამირი მიწებია, ფერდობიანი ფართობები, განსხვავებული გრუნტი, ამიტომ კარგი იქნებოდა თუ 110 ცხენისძალიანზე (შეთავაზებული „ნიუ ჰოლანდის“ ტრაქტორები ამ სიმძლავრისაა) უფრო მძლავრი ტექნიკა იქნებოდა შეძენილი (შეძენილია 120 და 140 ცხენისძალიანი „ზეტორის“ მარკის ტრაქტორები – მ.ს.). აქ საუბარი არ ყოფილა „ნიუ ჰოლანდის“ უარყოფაზე, რასაც ამ ხალხს გამოძიება ედავება (ამის მეტს არც არაფერს ედავებიან). კომისიის წევრებმა მხოლოდ რეკომენდაციები გასცეს, რის შემდეგაც ტენდერი ჩატარდა და ბუნებრივია, უპირატესობა უკეთეს ტექნიკას, ამ შემთხვევაში „ზეტორს“ მიენიჭა, რომელიც ადაპტირებული იყო საქართველოს ნიადაგთან და პირობებთან. „ზეტორი“ სერიოზული ბრენდია. არც „ნიუ ჰოლანდია“ ცუდი, მაგრამ როგორც სპეციალისტები ამბობენ თურქეთში აწყობილ „ნიუ ჰოლანდსა“ და ევროპაში აწყობილ იმავე მარკის ტრაქტორების ხარისხს შორის დიდი სხვაობაა. მეცნიერების მხრიდან კი აქცენტი ხარისხზე გაკეთდა. შემოეყვანა „ჯი.თი ჯგუფს“ ევროპაში აწყობილი, 110 ცხენისძალიანზე გაცილებით მძლავრი ტრაქტორები „ზეტორზე“ ნაკლებ ფასად და მათ მიანიჭებდნენ უპირატესობას.

სიმართლე გითხრათ, არ მეგონა თუ ისევ გაგრძელდებოდა ასეთი გამოგონილი და უსუსური ბრალდებებით ხალხის ციხეში შეყრა, ისევ იქნებოდა პროკურატურის დიქტატი სასამართლოზე“.

- **რომელ დიქტატზე საუბრობთ? წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების საქმეებზე რაღაც არ მახსოვს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით, სასამართლოს პროკურატურის მოთხოვნა გაეზიარებინა. ერთადერთი გამონაკლისი მხოლოდ ბაჩო ახალაიაა.**

- გეთანხმებით, რომ ხდება საქმეების კლასიფიკაცია და დაყოფა. მე ადვოკატი ვარ და არავის პატიმრობის მომხრე არ ვარ, მაგრამ შედარება მაინც მინდა გავაკეთო. თუ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს მოსამართლე ზვიად ესებუამ უსიტყვოდ შეუფარდა წინასწარი პატიმრობა, თუნდაც გიგი უგულა-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ვასა და ნიკა გვარამიას შემთხვევაში, როდესაც მილიონობით თანხების გაფლანგვაზე იყო საუბარი, ანუ მათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში ედებათ ბრალი, გვარამია გირაოთი გაათავისუფლეს, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა პატიმრობას ითხოვდა, უგულავა კი საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვეს. აქ შესაძლოა თქვან, რომ სასამართლომ იმ წმინდა სტანდარტით იხელმძღვანელა, რასაც სამართლიანი სასამართლოს პრინციპით ჰქვია, მაგრამ რატომღაც სხვა საქმეებში ეგ პრინციპი დავიწყებული აქვთ, როგორც სასამართლოს, ისე პროკურატურას. პროკურატურამ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კომისიის წევრები ღვაწლმოსილი მეცნიერები არიან, არასოდეს ემალებოდნენ გამოძიებას, ჩვენებებსაც აძლევდნენ, არ არიან წარსულში ნასამართლევი, ანუ ფაქტობრივი გარემოებები, რაც წინასწარი პატიმრობის საფუძვლად შეიძლება იქცეს, არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ დაუსაბუთებელი ბრალით მაინც მოითხოვა წინასწარი პატიმრობა, მოსამართლე ზვიად ესებუამ კი ისევ განაგრძო პროკურატურისადმი უსიტყვო მორჩილება. თუმცა ამ შემთხვევაში, როგორც უკვე გითხარით, საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან. ისე, ეს მარტო სასამართლოს კი არა, პროკურატურის ბრალიცაა.

რამდენიმე დაკავებულს ექსპერტებზე ზეწოლის ბრალდება აქვს წაყენებული. თურმე ზეწოლა ის ყოფილა, რომ ვიღაცამ მათ უთხრა, იქნებ წესიერად შეისწავლოთ საქმე, შეცდომაში არ შეგიყვანონო. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გამოძიებამ ამ ექსპერტებს შეცდომით სხვა პარამეტრები მიაწოდა, დამალული აქვთ ტრაქტორის წონა, რასაც, როგორც სპეციალისტები ამბობენ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორის მარგი ქმედების კოეფიციენტზე. რაც ყველაზე მთავარია, როგორც ჩემი


ლევან სამუშია

დაცვის ქვეშ მყოფები ამბობენ, არცერთი ეს ექსპერტი არ არის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალისტი, რაც ბუნებრივია, ამ ექსპერტიზის მიმართ ეჭვს აჩენს. გამოძიება აცხადებს, რომ თითქოს კომისიამ დასკვნა შეცვალა „ზეტორის" სასარგებლოდ, ესეც სრული სიცრუეა, არავითარი დასკვნა არ შეცვლილა, ეს საქმის მასალებიდანაც აშკარად ჩანს. თანაც, როგორც გითხარით, კომისიამ ტრაქტორის მარკაზე კი არა სიმძლავრესა და ხარისხზე იმსჯელა. სასამართლო სხდომაზე, როცა ადვოკატები პროკურორებს (ფხაკაძე, რიჟამაძე და სხვ.) კითხვებს ვუსვამდით, ვერცერთ კითხვაზე პასუხი ვერ გაგვცეს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ზაზა მახარობლიძე აცხადებს, რომ პროკურორი რიჟამაძე მასზე გარკვეულ ზეწოლას ახორციელებდა.

- **რას გულისხმობთ?**

- რიჟამაძე მაიძულებდა, რომ გამოძიებისთვის სასარგებლო ჩვენება მიმეცაო. მახარობლიძეს სანამ დააკავებდნენ, მოწმის სახით დაკითხეს რა დროსაც უთქვამს მისთვის რიჟამაძეს, თუ იმას არ გააკეთებ, რასაც გეუბნებით, ტელევიზიებს მოვიწვევთ, საქვეყნოდ გამოგაჭენებთ, მოგაკერებთ კორუმპირებულისა და მექრთამის იარლიყს და მერე მიდი და იმართლე თავიო. ამის გამო მახარობლიძე თავიდან ფსიქოლოგიურად ძალზე ცუდ მდგომარეობაში იყო. ისინი უპატიოსნესი ადამიანები არიან, მაღალი დონის მეცნიერები, რომლებმაც მართლაც თავი შესწირეს ქვეყანას და მათთვის მართლაც კატასტროფაა, ასეთი რამის დაბრალება.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გამოძიება ჩიხშია, ფაქტობრივად არ არსებობს ამ ხალხის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ჩემი აზრით, ამ ხალხის დაჭერა ნაჩქარევად არის გადაწყვეტილი, რაღაცამ უბიძგა გამოძიებას ამ ქმედებისკენ, უცბად მიღებული გადაწყვეტილებაა. მთელი საპროკურორო სისტემის პროფესიონალიზმში ეჭვი შემაქვს-თქო ვერ გეტყვით, მაგრამ საქმე მართლაც აბსურდამდე მიდის. წინა მთავრობის დროს რომ იყო საჩვენებელი, „შეკერილი" საქმეები, ხსენებული საქმე მათ შორის ერთ-ერთი „მოწინავე" შეიძლება ყოფილიყო. ამ საქმეში პროკურატურა ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ადეიშვილის პროკურატურა, სასამართლოზე აღარაფერს ვამბობ. რაც შეეხება პოლიციას, მის მიმართაც შეიძლება იყოს კითხვები, მაგრამ მაინც ყველაფერზე პასუხისმგებელი პროკურატურაა, რადგან ყველა შემთხვევაში ის არის პოლიციის ზედამხედველი. პროცესზე ბრალმდებელი, პროკურორია, ის უყენებს ბრალს, ის შედის სასამართლოში შუამდგომლობით აღკვეთის ღონისძიების შესახებ და ა.შ ასე რომ, ყველა ნაბიჯზე პასუხისმგებელი არის პროკური (ჩემთვის ამ შემთხვევაში მთავარი პროკურორი) და არა პოლიციის ოპერატიული მუშაკი. თუ ამ უკანასკნელმაც ჩაიდინა გადაცდომა, რა თქმა უნდა, მასაც პასუხი უნდა მოეთხოვოს.

*რატომ იცავს გამოძიება-პროკურატურა ასე თავგამოდებით თურქეთში აწყობილ დაბალი სიმძლავრის ტრაქტორებს, მართლაც დიდ ეჭვს ბადებს. თანხები დაიზოგებოდაო, ამით აპელირებს გამოძიება, თუმცა ის ავიწყდებათ, რომ წლობით დაუმუშავებელი, გაყამირებული მიწების დამუშავება ამ იაფიანი ტექნიკით შეუძლებელია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, პროკურორებს იქნებ ის მაინც მოეკითხათ „ჯი.თი ჯგუფის" მიერ წინა წლებში შემოყვანილი თურქეთში აწყობილი ანალოგიური მარკის ტექნიკა, დღეს რა მდგომარეობაშია. მათი უმეტესობა რომ უკვე ამორტიზებულია და ფარეხებშია დაყრილი, ეს ჟურნალისტებმაც კი გავარკვიეთ. პროკურატურას ამდენ იწილო-ბიწილოს ის ურჩევნია ჩაატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი, გაიყვანონ „ნიუ ჰოლანდის" ეს მათ მიერვე „ფართოდ რეკლამირებული" ტრაქტორები და „ზეტორები" მინდორში და საველე პირობებში შეამოწმონ, რომელი რის მაქნისია. ერთი საგულისხმო დეტალიც, საზოგადოებაში აქტიურად დადის ხმები, რომ ხსენებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები შეგნებულად მოიშორეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კიდევ 800 ტრაქტორი ჰყავს შემოსაყვანი. მათი შემფასებლები ციხეში გაუშვეს და ახლა „ჯი.თი ჯგუფს" თავისუფლად შეუძლია იმოქმედოს, ხელის შემშლელი აღარავინ ჰყავთო.*

**ლევან სამუშია:** „პროკურატურას ტრაქტორების ხარისხის გარკვევა რომ სდომებოდა, ამ ექსპერიმენტს დიდი ხნის წინ ჩაატარებდა და სიმართლესაც დაადგენდა. ჩვენ რა სახის ექსპერტიზებს და მოქმედებებს ჩავატარებთ, ამაზე ღიად ვერ ვისაუბრებ. ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფების ინტერესების დასაცავად, კანონის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებთ. ჩვენს მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს თანაბარი ძალა ექნება სასამართლში, მთავარია დაცული იყოს ვადა და ფორმალური მხარე, რაც საჭიროა მტკიცებულებების მოგროვებისა და დამაგრებისთვის. ეს საქმე ფაქტობრივად იმას ნიშნავს, კარგის მაგივრად ცუდი რატომ არ იყიდეთო. ასე შეგვიძლია მთავარ პროკურატურას, შსს-ს, სხვა სამინისტროებსა და მაღალჩინოსნებსაც შევედავოთ შესყიდვებზე, რატომ დადიან ძვირადღირებული „ლენდ კრუიზერებითა" და „პრადოებით", იყიდონ მაგალითად „ნივა", ათ ასეთ ავტომანქანას იყიდიან „ტოიოტას" ერთი ჯიპის ფასად, შესაბამისად ბიუჯეტის ფულიც დაიზოგება. ანალოგიური ბრალდებით მათაც შეიძლება ოდესმე ვინმე მოედავოს. შეიძლება უხეში შედარება იყოს, მაგრამ ერთ შემთხვევაში საუბარია მდგრად, გამომდგარ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე, რომელმაც წლები უნდა იმუშაოს, მოემსახუროს სოფლის მეურნეობის აღორძინებას, ამ ავტომანქანების შემთხვევაში კი, კომფორტზე. მაღალჩინოსნებმაც მოიკლონ მაშინ კომფორტი და დაზოგონ ბიუჯეტის ფული, თუ არა და მათაც წავუყენოთ ამ ხალხის ანალოგიური ბრალი".

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

**ძვირფასო მკითხველო!**

ამას წინათ, ავტობუსში ბილეთის აღებისას ბილეთი ბოლომდე არ გამოვიდა აპარატიდან და მხოლოდ თავი მოვხიე, ჩამოსული კი, პირდაპირ ოცდაათიოდე წლის კონტროლიორ ქალს შევეჯახე. მან პირდაპირ შეტევაზე გადმოსულმა ბარათიც გამომტაცა (უკანონოდ), ჯიბეში ჩაიდო და მალევე პატრულიც გამოიძახა, რომელიც ოპერატიულად მოგვადგა და მაშინვე მე გამომესარჩლა. დავა და კამათი გაგრძელდა და საქმის გარჩევისას ორივე მხარემ რატომღაც მე მისაყვედურა.

ასე იყო თუ ისე, პატრულმა და კონტროლიორმა ჯარიმა მაინც გამომიწერა რაც კონტროლიორისავე რჩევა-დარიგებით, მეორე დღესვე გავასაჩივრე. ორიოდ კვირის შემდეგ მერიაგასული ბილეთების და სხვისი ბარათების გამოყენება.

ეტყობა, კონტროლიორის ფუნქციაც იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა ქართული თავმოყვარეობისთვის, რომ მგზავრები გაერთიანდნენ კონტროლიორთა არმიის წინააღმდეგ და მათ გასაცურებლად ერთმანეთისთვის საკუთარი ბილეთების ჩუქებაც დაიწყეს, და ა.შ. ეს კი მართლაც, ალბათ, მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს.

სალარო აპარატებიც ფულიყლაპია ნაციონალებს დაემსგავსნენ და თუ არ მოეწონე, ფულსაც სიამოვნებით ჩაგიყლაპავს და ბარათიდანაც სიამოვნებით ჩამოგაჭრის ზედმეტს.

არც ეს საწყალი კონტროლიორები აღმოჩნდნენ კარგ დღეში. ეს სფეროც „ნ.აცმოს" თვალთვალს, მოსმენა-



# ჯარიმების ქვეყანა

ში დამიბარეს. ჩემი „საქმე" ოცდაორიოდე წლის მოსამართლე გოგონამ განიხილა (ფრუნზიკ მკრტიჩიანი ხომ გახსოვთ, „მიმინოში" — „ეი, იშჩო, ვკუკლი იგრაც..."), რომელმაც ღიმილით მითხრა, რომ ჩემი ბილეთის საფასური გადახდილია, ბარათმა დააფიქსირა გადახდა და შემპირდნენ, რომ ჯარიმა გამიუქმდება.

ამას წინათ, ქალბატონმა სევდია უგრეხელიძემ სევდიანი კმაყოფილებით გვამცნო მუნიციპალურ ტრანსპორტზე ახალი სმს სერვისის ამოქმედების შესახებ.

ევროინტეგრაციისთვის მზადება რომ დავიწყეთ, სატრანსპორტო საშუალებების გამოცვლაც გახდა საჭირო, აბა, ძველი სამარშრუტო ტაქსებით ვინ მიგვიღებდა ევროკავშირში და ახალი კარუსელი დატრიალდა. ტენდერების და გარიგებების სახით მაშინ ლეიბორისტები სააკაშვილს „მარშრუტკების" ბიზნესის წილში ჩაჯდომაშიც სდებდნენ ბრალს.

ტრანსპორტის გაძვირება თავის დროზე არავის გაუპროტესტებია და ტარიფმა რომ მზარდი პროგრესიით ზრდა დაიწყო და ორმოცდაათ და ოთხმოც თეთრს მიაღწია, მივხვდით, რომ ეს ჩვენს ისედაც მწირ ბიუჯეტს სერიოზულ დარტყმას აყენებდა და ამასაც ტრადიციულად ქართულად მივუდექით, ავტობუსით უბილეთოდ დავიწყეთ მგზავრობა, რისთვისაც „კონტროლიორთა ინსტიტუტის" შემოღება გახდა საჭირო. ამით დამატებით სამუშაო ადგილებიც შეიქმნა და დამატებით ღრენის, ბღვერის და გაწევა, გამოწევის კერებიც...

ევროპელობა თუ გვინდა, ტაბლოც უნდა გვედგეს გაჩერებაზე და მეტიც უნდა გადავიხადოთ, ოღონდ საიდან, არავის უკითხავს, ჰოდა, წავიდა ვადასმენის მეთოდზე აუგია, თურმე გენინსპექციის თანამშრომლები, რომლებსაც კონტროლიორები სახეზე არ იცნობენ ამოწმებენ და უთვალთვალებენ მათ მუშაობას. თუ შემთხვევით რომელიმე მგზავრი შეუმოწმებელი გამორჩა, საყვედურს უწერენ, რაც ხელფასიდან თანხის ჩამოჭრას გულისხმობს.

როგორც მერიაში მისულს სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენელმა მითხრა, სალარო აპარატები კორუფციის დაძლევის მიზნით დადგეს, ქართველ კაცს ფული არ უნდა ჩაუვარდეს ხელში. ამას ვერცხლისმოყვარეობა ჰქვია და ამ ცოდვას ეკლესიაც ებრძვის: რამდენად დაძლია წასულმა ხელისუფლებამ კორუფცია, ეს სამართალდამცავების საქმეა, მაგრამ თუ ტექნიკური ხარვეზის გამო უსამართლოდ დაგაჯარიმეს, „რკინის ქალამნები" უნდა ჩაიცვა და მინიმუმ სამი ინსტანცია, სატრანსპტორტო ინსპექცია, საქართველოს ბანკი და მერია უნდა მოიარო „სამართლის" საპოვნელად. ამას კი ბევრი ჯარიმის გადახდას ამჯობინებს,

მოკლედ, ქალაქში მუშაობს მხოლოდ პატრული და კონტროლიორები (პარლამენტიც ქუთაისში გადავიდა...) მათ შორის შუა ხნის ხალხი მეტ სიბრძნეს იჩენს და ერიდება მგზავრთან კონფლიქტს, პატარა ქვეყანა გვაქვს, ყველა ერთმანეთის ნათესავ-მეგობარია, ახალგაზრდები განსაკუთრებულ მონდომებას იჩენენ, ერთგვარ აზარტშიც შევიდნენ და პირდაპირ ქუჩაში დასდევენ მგზავრებს, ჯარიმებიც ბევრი იწერება, თუმცა, მათივე თქმით, სიტუაცია მაინც უკონტროლო რჩება და ვისი ბარათი ვის ხელშია და ვინ ვის უწერს საჩივარს, კაცმა არ იცის.

**ნინო კობაიძე**

[illegible]

# „ნედლი ნამხრევი“

წიგნის სათაურით დავიწყე და გავხაზე... ასე მაქვს ჩვევად, როცა რამე მომწონს, ვაფერადებ. მერე მივყევი... მივყევი კი არა, თვითონ წამიღო... ბოლოს შევნიშნე, რომ სულ ამიჭრელებია შავით თეთრზე ნაწერი, ყველაფერი საჩემოდ მომინიშნავს, უამრავი რამ მეძვირფასა!..

მერე ვთქვი, რომ ამ წიგნს („ნედლი ნამხრევი“, რედაქტორი — სოსო მეშველიანი, მხატვარი — გოგი წერეთელი, გამომცემელი — ვაჟა წოწკოლაური) ფერები არ აკლია, პირიქით, მთელი პალიტრა მოუხმია ავტორს,



სებში ციმციმებს, საკრალურია ლოცვასავით — რა ოსტატურად ახერხებს მანონი საკუთარი და საზოგადო შეაფარდოს, არაფერი მოგახვიოს, ბელურასავით შეყუჟულ თუნდაც ერთ რომელიმე სახეში ჩაატიოს ცისხელა დარდი. არადა, სამურზაყანოს ცის ფერით სავსეა წიგნი:

„შენს თვალებში რომ საბერიოს ცის ფერი ჩადგა,
ჯერ ხომ არ იცი, რატომ! მაინც, ტიტინებ როცა,
ასე მგონია, ყველა ბგერა იქით გეწევა,
საითკენ ილტვის ჩემი ფიქრი და ჩუმი ლოცვა.
გზა ბევრია და ერთადერთი — სამურზაყანო,
იქ ჩემი (შენი მამიკოსიც!) ბავშვობა დარჩა.
ხვდები, პატარავ? ცამ გაჩუქა თვალების ფერი,
ცამ, სულ რომ ფხიზლად დაგყურებს და აქედან არ ჩანს!“

შვილისადმი, ილიასადმი, მიძღვნილი ეს უსათაურო ლექსი წავიკითხე და მინდა უნდა დაგაცრას გამჩენმა, როგორი სიტყვა უნდა დაგანათლოს!..

„რას აიჩემე, რომ პატარა ხარ, / დაბადება შენი ვის ახსოვს?! / სიკვდილი კი — რამდენიც გინდა!“ — აი, ეს არის სამშობლო პოეტთან და ამით ყველაფერი თქმულია!..

უსიყვარულოდ ნამდვილი არაფერი იწერება და ასეა „ნედლ ნამხრევშიც“ — უფაქიზესი ძაფებით არის ნაქარგი ყველა ლექსი, არცერთი ზედმეტი სიტყვა, არცერთი გადაცდენა!..

მარადიულ თემათა ინდივიდუალური ხედვა აქვს ავტორს: „აქ დაყოვნებას სიცოცხლე დაარქვესო“, — ამბობს, — „ვეძებ ხიფათს, რომელიც სარკმლის მაგივრობას გამიწევსო...“

„გამჭვირვალე სევდის ცისფერში შუქად ჩამდგარმა
მიწის სიმძიმე დამაძლევინე, მაგრამ...
განა მარტო ამისათვის მიყვარხარ, მზეო?!“ —

მისტიკურ სახეთა კორიანტელია წიგნში. მისტიკა ფერისცვალებას, გასხივოსნებას, მზეს, სისხლის ფერს უკავშირდება მანონ ბულისკერიას პოეზიაში. „ყველა სიმაღლე მზესთან ახუნიჭიერეს ახალგაზრდა პოეტს — მანონ ბულისკერიას.

მხოლოდ სათაურში ბარე ათასი გამაა — „ნედლი ნამხრევი“... წარმოიდგინეთ, ვრცელი მინდორი, წყებად დაფენილი ბალახი, სინედლის სუნი, მზეში გადატეხილი ზურმუხტი... რა ტევადი სიტყვაა ქართულში „ზღვა“, საკუთარ თავს ხომ მოიაზრებს, სხვა, კონკრეტულ თუ აბსტრაქტულ, სახელებსაც განმარტავს... ბალახის ზღვაა სათაურში, უფრო ზუსტად, ზღვა ბალახია. უოლტ უიტმენამდე მივედი — კიდევ რამდენჯერმე წავაწყდები მის ხმას წიგნში, ძლიერი ხმაა, ყველა ზღვას რომ ერთბაშად აალელვებს, იმგვარი!.. მაგრამ, ამავე დროს, „ჩემთვისნათქვამივით“ ჩუმია, რადგან მანონი უხმაუროდ იტყვის, იტყვის ისე ზუსტად და მართლად, სინედლე სამუდამოდ შერჩება ნამხრევს!

არსებობს კიდევ ღრმა და უღრმესი ზღვები... უღრმესი ზღვის ფსკერამდე ჩასვლა რთულია. იგი რომ მარგალიტებს იტევს!.. „ნედლი ნამხრევია“ ასეთი — ფერადი, მეტყველი და უღრმესი!..

ნელ-ნელა, ყლუპ-ყლუპად მივყვები ლექსებს. გულთან მიჭერს, მერე ვეღარ მოძრაობენ თვალები — ხევდებიან. რა სხვანაირია აქ აფხაზეთი — გადმოსაღვრელ ცრემლს ჰგავს, ირი-

მთლიანად გავუზიარო მკითხველს, რადგან არ განიყოფა აქ მოტანილი სევდა და სინათლე.

პირველ ჯერზევე ვიცოდი ზეპი-




რად, თუმცა, ისევ და ისევ წავიკითხე... მივხდი, რომ დიდი ხანია, არაფერი წამიკითხავს ამაზე ნაღდი ჩემს მშობლიურ კუთხეზე. არ მახსოვს როდის ავტირდი და როდის გავიღიმე. საოცარია: შვილი, წარსული, აწმყო, სინანული, სიყვარული, ცრემლი, ლოცვა და იმედი ერთ ორსტროფიან ლექსში მოაქციო — რამხელა მადლი

ლოაო“, — ასე ამბობს პოეტი, — „უკიდეგანო მზე წამეკიდა გამხდარ ხელებზეო“...

და ლირიკა — თვით ყველაზე ტკივილიან სათქმელშიც ლირიკა... ფეხდაფეხ მოგდევს... ბრწყინავს! „ხომ მხოლოდ მაშინ ეპირები ჩემთან ლაპარაკს, როცა ჯიუტად მოგდგები და გულზე გაბიჯებ!“ — კვლავ ბალახია ამ სიტყვების ადრესატი. ყველაფერი საუბრობს წიგნში, ყველაფერი ცოცხალია, საგანთა სუნთქვაც კი ისმის...

ცალკე თემაა მანონის ლექსის ფორმა და მუსიკა — აქ ისეთივე სიმრავლეა, როგორც ფერთა შემთხვევაში. ყველაფერი უნისონშია — რითმა, რიტმი... ყოველთვის განუმეორებელი და ინდივიდუალური! ეს ამ წიგნის (და მისი ავტორის) კიდევ ერთი დიდი ღირსებაა!

„იქნებ, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, / რომ გულწრფელი ხარ, / მე შენ პოეზია დაგარქვი!“ — ასე ამბობს მანონი ერთ-ერთ ლექსში, როცა პოეზიას და მის დანიშნულებას განმარტავს. არა მხოლოდ ამიტომ, არამედ ბევრი სხვა მიზეზის გამოც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, — ასე ვიტყვი მე, როგორც პოეზიის მკითხველი, რომელმაც უზომო სიამოვნება განმაცდევინა პოეტის ახალ კრებულთან შეხებამ.

**როზერტ მესხი**

# თამაზ ვეშაგურის გახსენება



ვერასდროს წარმოვიდგენდით, რომ ასე უცებ, ერთი სიტყვის თქმის გარეშე შეიძლებოდა ადამიანი გამქრალიყო, წასულიყო, როგორც სიზმარი და დაეტოვებინა გულსაკლავი მოგონება და უდიდესი მონატრება.

მწუხარება უფრო და უფრო ძლიერდება მას შემდეგ, რაც 40 დღე გავიდა, ჩვენო თამაზ, შენი უეცარი გარდაცვალებიდან.

ჩვენო კეთილო, ჩვენო იმედო, თამაზ! არ ვიცი, როგორ ვანუგეშოთ ჩვენი ერთადერთი და უსაყვარლესი პატარა ქეთი.

თავს მხოლოდ იმით ვიიმედებთ, რომ არა მხოლოდ ახლობლებისა და მეგობრების, არამედ ნაცნობების უამრავი ცრემლი და გულისტკივილი გაიყოლე.

შენი მოგონება ჩვენი სიცოცხლის მუდმივი თანამგზავრი იქნება.

გვიყვარხარ და გვენატრები.

**ოჯახი**

# ხვამლი — საქართველოს საიდუმლო სახელმწიფო ხაზინა?

**„საერთო გაზეთის“ სტუმარია კინორეჟისორი და მკვლევარი, ხვამლის ექსპედიციის წევრი, ბატონი დავით გოგუაძე.**

— ყველაფერი გურამ გაბიძაშვილის თაოსნობით დაიწყო, ის იყო ხვამლის ექსპედიციის სულისჩამდგმელი. გურამი წარმოშობით იქედან იყო, სოფელ დერჩიდან. 2006 წელს შეადგინეს პროექტი, დააინტერესა და იპოვეს დამფინანსებელი („თიბისი ბანკი“, „ელიტ ელექტრონიქსი“), ასე ავედით პირველად ხვამლზე 2007 წელს და პირველი ფილმი დავამთავრეთ 2008 წელს — თავდაპირველად კვლევა დაიწყო როგორც ქართველ მეფეთა განძთსაცავისა.

**— საიდან მოუვიდა აზრად ბატონ გურამს (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!), რომ იქ შეიძლებოდა რაიმე მნიშვნელოვანი ყოფილიყო.**

— უზარმაზარი მასა არის ამოწეული ორ ხეობას შორის და ქმნის მნიშვნელოვან მიკროკლიმატს. ქუთაისელები დღესაც ხვამლის მთას გახედავენ და ისე საზღვრავენ ამინდს. ადგილობრივები „ელიას მთას“ უწოდებენ, ელია კი, მოგეხსენებათ, ამინდის ღმერთია, პარალელს თუ გავავლებთ ბერძნულ მითოლოგიასთან, იგივე ზევსია, ტაროსი და ა.შ იქ უბერავს ქარი, „ხაბარულას“ ეძახიან. ადრიან დილაზე ხაბარულამ თუ არ დაუბერა ხვამლიდან, აუცილებლად ცუდი ამინდი იქნება. შესახედად ძალიან შთამბეჭდავია, უზარმაზარი კლდეა ამოშვერილი, ყველა ადგილიდან მოჩანს, ხვამლიდან კი კარგ ამინდში შავი ზღვაც ჩანს, ძალიან დიდ მანძილზე წვდება მზერა იქედან. 2000 მეტრზეა, არც ისე მაღალია თითქოს, მაგრამ გაბატონებული მდებარეობა უჭირავს დასავლეთში. როგორც ჩანს, თავიდან ერთი კლდოვანი მასივი იყო, მაგრამ შემდეგ გაჭრა ცხენისწყალმა და გამოცალკევდა ასხის მასივი. ისიც ძალიან საინტერესოა, ზემოდან რომ დახედოთ, თევზს ჰგავს, კლდოვანია და ქერცლებივით აქვს — 1600 მეტრზეა ჩაჭრილი. მთელი ცხოვრება უყურებდა ამ მისტიურ მთას გურამი და ბოლოს ეცადა გაერკვია, რა საიდუმლოს მალავდა.

ხვამლზე ისეთი ქანებია, რომ ალპინისტები ვერ ადიან, მხოლოდ ზემოდანაა ჩასვლა შესაძლებელი. 1945 წელს ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ხვამლზე 11-კაციანი ექსპედიცია იყო ასული, რამდენიმე დღე დაჰყვეს და დაასკვნეს, რომ განძი დიდი ხნის გატანილი იყო. საინტერესოა, რომ მანამდე, 1939 წელს, ალიოშა ჯაფარიძე ორ მუშასთან ერთად იყო ასული ხვამლზე — როგორც ამბობენ, იგი სტალინის პირადი დავალებით მოქმედებდა. 1942 წელს გერმანიის მთავრობამ სრულიად გაუგებარი მანევრი განახორციელა, კავკასიის მთებში დესანტი გადმოსხა — არის მოსაზრება, რომ ისინი საიდუმლო რელიქვიებს ეძებდნენ.

**— ჰიტლერის მისტიკით გატაცება ცნობილია, კავკასიის მთებში საიდუმლო ქალაქი, უკვდავების ელექსირი და მსგავს მისტიკური გამოვლინებები ეგულებოდა, ისევე როგორც ტიან-შანში.**

— ხვამლზე არის ქვაბული, რომელიც, თუ არ იცი მისი არსებობა, შეუმჩნეველია, თუმცა, რომც შეამჩნიო, ვერ ახვალ — საერთოდ, წარმოუდგენელია, როგორ გააკეთეს თავის დროზე, დაცვა ხომ იყო, ჩათვალეთ, მთელი საქართველოს ბიუჯეტი იქ ინახებოდა. მემატიანის ცნობაა, როცა ულუ და დავით ნარინმა რომ გაყვეს ქვეყანა, მაშინ გაყვეს საგანძურიც, მაგრამ ცოტა გამოიღესო „დაამტკიცეს, რათა გაყონ სამეფო და საჭურჭლე ორად. და განყვნეს სამეფო და საჭურჭლე გარნა ხვამლისა ქვაბსა რომელ ედვა, გამოიღეს და გაიყვეს. უფროსი ქვაბსვე დაუტოვეს...“ მერე აღარ ვიცით, რა ხდება, მაგრამ მაინც არის რაღაც ცნობები, ვთქვათ, ის, რომ მაცი ხვიტიას განძიც იქ ინახებოდა...

თავდაპირველ დაინტერესებას უამრავი საინტერესო თემა დაემატა — გამოჩნდა ეგვიპტესთან კავშირი, არგონავტებთან კავშირი... მითოლოგიას რომ გავყევით, პრომეთეს მიჯაჭვასთან მივედით.

**— ანუ კავკასიის მთაზე მიჯაჭვულ ამირანთან.**

— დიახ. ხომ საინტერესოა, „ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხვამლმა გადაარჩინოსო“, რატომ უნდა დაწერილიყო „ქართლის ცხოვრებაში“ ეს წინადადება, რა დანიშნულება აქვს?

იურული პერიოდის ხვამლი მთლიანად კარსტულია, მის ქვემოთაა წყალტუბოს რაიონში „პრომეთეს მღვიმე“ რომ დაარქვეს რატომღაც და არა ამირანის, ფაქტიურად ხვამლის გაგრძელება, 15 კმ აშორებს. მთელი მასივი მღვიმეებია. ძაბრებია, სადაც წყალი გროვდება და საიდღაც ჩადის. თვითონ ციხე-ქვაბულშიც, საიდანღაც წყალი გამოდის, მაგრამ იმდენადაა ჩახერგილი, ისეთი გასაწმენდია, რომ ადამიანი ვერ ჩავა. ციხე-ქვაბულის კედელზე პიქტოგრამები ვნახეთ ზოდიაქოს ნიშნების გამოსახულებებით. მაგალითად, გოგას მღვიმე ჰქვია, შიგნით მუდმივად ყინულია. შალიბაშვილის ჯგუფმა სცადა 1984 წელს შიგ ჩასვლა, მაგრამ 70 მეტრზე ქვევით ვეღარ ჩავიდნენ, იმდენად ძნელია იქ მუშაობა, თან ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული, ენთუზიაზმზე რომ მუშაობ, ვერ გამოდის საქმე ბოლომდე... ერთ-ერთი გამოქვაბულიდან წლის სხვადასხვა პერიოდში მდინარის მძლავრი ნაკადი გადმოდის, რომელიც ხან ცხენისწყლის ხეობისკენ მიედინება, ხან რიონის ხეობისკენ, როგორც ჩანს, გამოქვაბულში არსებობს რაღაც სისტემა, რომელიც წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად მოქმედებს და რაღაცასთანაა კავშირში. მასში შეღწევა, ისიც 50 მეტრის მანძილზე, მხოლოდ შემოდგომაზეა შესაძლებელი, მაგრამ მხოლოდ სპალეოლოგები თუ შეძლებენ მის გამოკვლევას — ამ ქვაბულს „ვერძისთავა“ ჰქვია, რაც გვაფიქრებინებს, რომ დაკავშირებულია არგონავტებთან და ოქროს საწმისთან. იმავე ადგილზეა მინიშნება მითოლოგიაში, რომ ჰერაკლე იოს დავალებით უნდა აუყვეს ფაზისს, ანუ რიონს, მარცხენა მხარეს მიადგეს გამოქვაბულს, საიდანაც წყალი გადმოედინება, გადააგდოს ეს წყალი, შევიდეს შიგ და პრომეთე გაათავისუფლოს — ასე რომ, ძალიან საინტერესოა...

**— დაზვერვითმა კვლევებმა რა გამოავლინა?**

— მძლავრი მეტალურგიული კერები ჩანს. ისეთი შთამბეჭდავი მასალაა, რომ აუცილებლად სჭირდება სერიოზული გათხრები. აპოლონიოს როდოსელს უწერია, რომ აქ მოესმათ არგონავტებს პრომეთეს გმინვა... რა თქმა უნდა, სიმბოლური გამოხატვაა, მართლა ხომ არ იყო კაცი მიჯაჭვული, მაგრამ ჩვენთან რაც შემორჩა, ბერძნებიდანაა და რატომ წერდნენ, თუ არაფერი იყო რეალურად? პლატონი წერდა, მითების გაგების 12 საფეხურიაო და ჩვენ რომელ საფეხურით ვიგებთ — შლიმანმაც ასე არ მიაგნო ტროას?

**— ვთანხმდებით, არგონავტების მიერ ოქროს საწმისის მიტაცების ინტერესიც სიმბოლურია, რეალურად რაღაც ცოდნის მოპარვაზეა საუბარი...**

— ბოლო პერიოდში დასავლეთში პაპუაშვილი მუშაობს და ისიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არგონავტების მთავარი მიზანი იყო ლითონის დამუშავების ცოდნა — იმდროინდელი მსოფლიოსთვის ეს იყო როგორც დღევანდელი ატომური ბომბი, ვინც მას ფლობდა, ის იყო ძლიერი.



ირა ღამბაშიძემ საყდრისის მსოფლიოში უძველესი შახტები აღმოაჩინა კაზრეთთან და ახლა მთელი ბრძოლაა იმაზე, რომ კობა ნაყოფიას მოთხრა უნდა, არადა, გამოცხადებულია მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად. კვლევებმა დაადასტურა, რომ აქ მოიპოვებდნენ ოქროს, ხდებოდა პირველადი გადამუშავება და აქედან გადიოდა ეგვიპტეში.

ძველი მსოფლიო ასე ჩაკეტილი არ იყო, პირიქით — რაჭაში, გობეჯიშვილის ბრილის გათხრების დროს ეგვიპტური სკარაბეები, 12 კილოიანი შუშის მძივები და სანელებლები რომ ნახეს, რა უნდოდა რაჭაში ეგვიპტურ ნივთებს? კავშირები იყო წარმოუდგენლად დიდი — რაჭაშიც საბადოებია და იმიტომ. სპილენძი, მოლიბდენი, ოქრო, ვერცხლი, რკინა — თითქმის ყველაფერია. „რკინის კაცები“ ერქვათ, XIX საუკუნეშიც კი საგულდაგულოდ ინახავდნენ სოფლები მადნის გამოდნობის ტექნოლოგიის საიდუმლოს — მჭედლები რაჭიდან გადიოდნენ. დააკვირდით, რაჭველები ვითომ ნელი ხალხიო, მაგრამ მთელ მსოფლიოს არიან მოდებულები...

რაჭა-ლეჩხუმი ძალიან უცნაურია, მაგრამ შეუსწავლელია, შემთხვევით მონაპოვრებზეა დამოკიდებული, მაგალითად, ღნორისის განძი ცნობილია, იქვეა, დერჩის თავზე, უამრავი კოლხური თეთრია ნაპოვნი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი ცენტრი იყო...

**— ითქვა, რომ ბატონი ივანიშვილი დაინტერესდა ხვამლით...**

— ვერ გეტყვით, მხოლოდ ის ვიცი, რომ ამბროლაურში წინასაარჩევნო შეხვედრისას გამოხატა ბატონმა პრემიერმა ხვამლის შესახებ ცოდნა და ინტერესი.

უპირველესად, კულტურის სამინისტროს უნდა მივაკითხოთ და თუ სახელმწიფომ მხარი დაგვიჭირა და ხვამლის არქეოლოგიური გამოკვლევა დაიწყო, იგი ძველი მსოფლიოს ისტორიის ისეთ რანგში დადგება, დღეს რომ წარმოუდგენლად გვეჩვენება...

როგორც პრომეთეს მიჯაჭვის ადგილი, ეს ისეთი რამ არის, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა ხელიდან არ გაუშვებდა...

**თამარ მჭავია**


## ირმა სიხარულიძე — უებარი მკურნალი



ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართეთ, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობით და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდს და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მადლიერი პაციენტები.

ქალბატონი ირმას კოორდინატები: მის: თბილისი, ფოთის ქ.№2, (მეტრო წერეთელთან) ტელეფონები: 2 34 21 63, 557 35 89 00


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ — უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

**კურო** — ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

**ტყუპები** — ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.

**კირჩხიბი** — სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.

**ლომი** — თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

**ქალწული** — თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

**სასწორი** — ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

**მორიელი** — ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

**მშვილდოსანი** — მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.

**თხის რქა** — სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

**მერწყული** — საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

**თევზები** — ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.

ISSN 2233-3983
9 772233 398001